საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2013
№35 (222)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ბრაიზა სააკაშვილის წინააღმდეგ, ანუ განტევების მიშა
4

# გადატრიალება რესპუბლიკურად



2

## ის, რაც ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში მოხდა, წმინდა წყლის საკონსტიტუციო გადატრიალებაა

ცვლილებების პროექტი პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს. რა გასაკვირია, რომ ცვლილებას მხარი საპარლამენტო უმცირესობამაც დაუჭირა — ახლა მათი, გაყალბებებით მითვისებული მანდატების „წონა“ ერთიორად იზრდება, ხოლო პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრისა — შემცირდება.

# ვლადიმერ პუტინი — ეროვნული ლიდერი




«უახლოესი წლები იქნება გადამწყვეტი და, შესაძლოა, გარდამტეხიც და არა მხოლოდ ჩვენთვის, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც კარდინალური ცვლილებების და, შესაძლოა, შოკისმომგვრელი ცვლილებების ეპოქაში შედის» 12



ჯუმბერ პატიაშვილი:

## შენ არ გინდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება!
6

# არჩევნების შემდეგ ივანიშვილი საქართველოს დატოვებს
8

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქუთაისის ან თბილისის დაკვლას ვიღა ჩივის, როცა ამათ ქართული დემოკრატიის დაკვლის რიტუალი უკვე დაწყებული აქვთ და ყველას, ვინც ამას ივანიშვილის ხათრით მდუმარედ შეჰყურებს, დემოკრატიის ცისფერ სისხლში აქვს ხელი გასვრილი!**

# გადატრიალება რესპუბლიკურად

**რუსული ანდაზა „დავერიაი, ნო პრავერიაი“ („ენდე, მაგრამ შეამოწმე“) თვით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმაც კი დაისწავლა, ივანიშვილი კი კვლავაც საკუთარი გარემოცვისადმი ნდობის ეიფორიაშია და მის შემოწმებას არ ჩქარობს; ენდიაი რომ ენდიაია, ისიც კი ამბობს, რომ პრემიერმინისტრის წასვლას მოსახლეობის 71% უარყოფითად აფასებსო, „ქართულ ოცნებაში“ თავმოყრილი ამერიკელების „შემოწმებული“ კადრები კი კმაყოფილ ღიმილს ძლივს მალავენ და ამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებენ!**



## ის, რაც ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში მოხდა, წმინდა წყლის საკონსტიტუციო გადატრიალებაა

თუ დღემდე ამომრჩეველი ივანიშვილის ხათრით იტანდა პარლამენტში იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც საპარლამენტო ბარიერის გადალახვა სიზმარშიც არ შეეძლოთ, ახლა უკვე იმასაც აჩვევენ, რომ ამათ ხელში სულ უფრო მეტი ძალაუფლება აღმოჩნდება.

**ის, რაც ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში მოხდა, წმინდა წყლის საკონსტიტუციო გადატრიალებაა: ცვლილებების პროექტი პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს. რა გასაკვირია, რომ ცვლილებას მხარი საპარლამენტო უმცირესობამაც დაუჭირა – ახლა მათი, გაყალბებებით მითვისებული მანდატების „წონა“ ერთიორად იზრდება, ხოლო პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრისა – შემცირდება.**

„ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანის“ შემსრულებელმა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, მის მიერ რეანიმირებულ უმცირესობას საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ამგვარად, საქართველოს ივანიშვილის წასვლის შემდეგ სწორედ ის ძალები მართავენ, რომლებიც არავის აურჩევია. ხალხი მაშინ უნდა აყვირებულიყო, როცა ივანიშვილის ლოკომოტივით პარლამენტში შესული რესპუბლიკელების ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, ახლა კი, მის მიერ კიდევ უფრო მეტი ძალაუფლების უზურპაცია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ **2012 წლის 1 ოქტომბერს სააკაშვილის წინააღმდეგ მიცემული ხმები რესპუბლიკელების პოლიტიკურ ყულაბაში ჩაჩხრიალდა და სამომავლოდაც „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენისა და შენარჩუნების „დემოკრატიულ“ ამოცანას მოხმარდება!**

თუმცა ბედმა საქართველოს ესეც არ აკმარა და, **როგორც ირკვევა, საქართველოს პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, შემცვლელად დავით უსუფაშვილის კანდიდატურა განიხილება. ივანიშვილის წასვლის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს ერთხანს იმით ამშვიდებდნენ, რომ მისი მემკვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ან ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო იქნებოდა, ახლა კი ისევ რესპუბლიკელს ატენიან და ენდეთო, ეუბნებიან!**

რესპუბლიკელებს ვინც ენდო, სიკეთე არავის უნახავს, მაგრამ ისინი მომენტით სარგებლობენ და, რასაც არჩევნების გზით ვერასოდეს მოიპოვებდნენ, ივანიშვილის ყურზე მიმჯდარნი ახერხებენ. ეს ის რესპუბლიკური პარტიაა, რომლის დამფუძნებელი — ლევან ბერძენიშვილი ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადების მეორე დღესვე აცხადებდა: **„ეს საქართველოში პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბიზნესმენი პოლიტიკაში მიდის. დაახლოებით უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, ხმების რამდენი პროცენტის აღებას შეძლებს ივანიშვილი არჩევნებში – 7 პროცენტის და ეს მაქსიმუმია, ისევე, როგორც ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში მოხდა. იმის, რომ ივანიშვილი, როგორც პოლიტიკური ლიდერი, საქართველოს ისტორიას შეცვლის, არ მჯერა“.**

ადრე შევარდნაძის „სჯეროდა“, მერე მასაც ისევე უგანა, როგორც გამსახურდიას. **ივანიშვილის არ სჯეროდა, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში მან რესპუბლიკელები გულში ჩაიხუტა და ბერძენიშვილმაც „მყისიერად“ დაიჯერა, რომ ივანიშვილი საქართველოს ისტორიას შეცვლის და თანაც რესპუბლიკელების სასაგებლოდ. დაიჯერა და გაუმართლა კიდეც!**

ეს სიტუაცია არც „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ეხატებათ გულზე, მაგრამ „შაჰზე უფრო გულადი“ ჯერჯერობით მხოლოდ ომარ ნიშნიანიძე აღმოჩნდა, თუმცა ისიც ფრთხილობს და „ყოვლისშემძლე“ რესპუბლიკელების ხსენებას ერიდება — უფრო დავით საგანელიძეს ესხმის თავს: **„საკმაოდ მკაცრად გამოვედი და მერე საგანელიძემ „მიკბინა“ კიდეც... მე ვთქვი, რომ თავის დროზე პარტიულ მშენებლობაში არ ჩაგვრიეს, მერე იყო და საარჩევნო შტაბებს არ გაგვაკარეს, ანუ ჩაფიქრებული იყო ჩვენი ნელ-ნელა ჩაჩოჩება, ეს ბატონ ბიძინასთან ვთქვი. ამ მხრივ მან დამიჭირა მხარი, ძალიან მკაცრად თქვა ივანიშვილმა იმაზე, რომ ჩვენი მომხრეები პრაქტიკულად „გადააგდეს“.**

**ბატონმა ბიძინამ საგანელიძეს პირდაპირ უთხრა: — მე ხომ გითხარი, ის ხალხი ჩასვით შტაბებში, რომელმაც მხარი დაგვიჭირა, ჩვენთან ერთად ბრძოლა გაბედა და რისკზე წამოვიდაო, გააკეთე ეს, ახლაც არ არის გვიან, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოსო. ვიმეორებ, ეს ძალიან მკაცრად მიუთითა. საგანელიძემ თავის მართლება დაიწყო, მაგრამ არ გამოუვიდა. ის მუდმივად ცდილობს, ჩვენი თანამებრძოლები გასწიოს და თავის კადრები მოიყვანოს; მერე თქვა, — ოთხი დეპუტატის ჭკუაზე ვერ გავივლიო; არ ვართ ჩვენ ოთხი დეპუტატი, ჩვენი ფრაქციის უდიდესი ნაწილი ასე ფიქრობს, ყოველთვის ამ აზრზე ვიყავით“.**

ეჰ, ბატონო ომარ, ჩაჩოჩება ისეთი უნდა, რესპუბლიკელები რომ გისრულებენ, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეზე აუგის თქმა ძნელია: მივლინებები, კაბინეტები, პრემიები და სხვა სიკეთეები ხომ მის ხელშია. უნდა, მოგცემთ, უნდა — არა. პარტია და შტაბები რომ ცოცხალი თავით არ შეაქმნევინეს ივანიშვილს, ეს ჯერ კიდევ არჩევნებამდე იყო ცნობილი და ახლა ან თქვენ რა გიკვირთ, ან ბიძინა ივანიშვილს?!

**თუ თქვენი ფრაქციის უდიდესი ნაწილი ხვდება, ქარი საიდან უბერავს, რას აძლევთ ყველაფერს ცხვარივით ხმას, ერთხელ მაინც გაცხარებულიყავით! თუნდაც ამ საკონსტიტუციო გადატრიალებისთვის არ მიგეცათ ხმა, რომლითაც არარჩეულმა პარტიამ მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და ივანიშვილის წასვლის შემდეგ არც თქვენ გკითხავთ რამეს და არც დავით საგანელიძეს!**

ამ უკანასკნელს ისიც ეყოფა, რომ ხონში „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსად აკაკი ბობოხიძის ახლო მეგობარი, ხონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, კანონიერი ქურდის გია ფარცხალაძის „დუდუკას“ ძმა – რეზო ფარცხალაძე დანიშნა! ღვინო, დუდუკი და ქალები სააკაშვილს რომ უყვარდა, ისეთი უნდა, მაგრამ იმანაც კი ვერ იგუა „ნაციონალი“ ფარცხალაძე და 2006 წელს საკრებულოს თავმჯდომარეობიდან ახალი ავტომობილის შეძენის გამო გადააყენა.

თუმცა საგანელიძეს რა ეყოფა, როცა რესპუბლიკელებს მითვისებული ძალაუფლება აღარ ჰყოფნით და სულ უფრო და უფრო მეტის მიტაცებას ლამობენ! შტაბის უფროსებისთვის ვის სცალია – მთავარია, მეორე ადგილზე ბაქრაძე გაათრიონ და საბოლოოდ მოიწყონ ცხოვრება.

2010 წელს, როცა კონსტიტუცია კუზოკრული პიჯაკივით მოირგო, სააკაშვილსაც საკუთარი ცხოვრება საშვილიშვილოდ მოწყობილი ეგონა, მაგრამ ახლა გზააბნეული დაეხეტება დინოზავრების ნაკვალევზე და ისტერიულად იძახის: **„ხელისუფლება ქუთაისის დაკვლას აპირებსო“! პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნება თუ ქუთაისის დაკვლაა, გამოდის, რომ სააკაშვილს დედაქალაქი შარშან უკვე დაუკლავს, მაგრამ ვინაა მისთვის ამის მთქმელი, რესპუბლიკელები?**

დავით აღმაშენებლისა და ვახტანგ გორგასლის დიდება დღესაც არ ასვენებს სააკაშვილს და იმავე არარჩეული რესპუბლიკელების წყალობით, საიქიოდან მობრუნებული, კოპიტნარის აეროპორტში გაიძახის: **„ვამაყობ ამ აეროპორტით და იმ ხალხით, რომელმაც ეს გააკეთა. ეს აეროპორტი დროზე მოვასწარით, ესაა პროდუქტი აღმშენებლობის ეპოქის, რომელიც შეცვალა ნგრევის ეპოქამ. ხვალ აპირებენ ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას. გააჩერეს ახალი თბილისის პროექტი, რომლითაც ამოისუნთქავდა დედაქალაქი, გააჩერეს სამეგრელოს მთავარი პროექტი — ლაზიკა, გააჩერეს ბათუმის და საქართველოს მთავარი პერსპექტივა — ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ახლა აპირებენ ქუთაისიდან პარლამენტის გადატანას ხვალინდელი კენჭისყრით, რაც ნიშნავს მცდელობას, რომ ჰაერში აფრენილი ქუთაისი იქედან ჩამოაგდონ ერთი გასროლით. ვფიქრობ, ეს არ გამოვა. ეს აეროპორტი არის სიმბოლო, რომ ქუთაისს აქვს მომავალი“.**

ქუთაისს ხოხბის ჩამოგდებამდეც ჰქონდა მომავალი და ხვალაც ექნება, მაგრამ რა მომავალი ექნება საქართველოს რესპუბლიკელების ხელში? ივანიშვილი მიდის; მარგველაშვილისგან, თუ პრეზიდენტობა ეღირსა, რასაც უნდათ, იმას გამოძერწავენ, ადგილობრივ თვითმმართველობაში საგანელიძე და „რესპები“ გაიყოფენ ადგილებს და საქართველომ ამას მშვიდად უნდა უყუროს, რათა რიჩარდ ნორლანდი და თინა ხიდაშელი არ შეშფოთდნენ!

**ქუთაისის ან თბილისის დაკვლას ვიღა ჩივის, როცა ამათ ქართული დემოკრატიის დაკვლის რიტუალი უკვე დაწყებული აქვთ და ყველას, ვინც ამას ივანიშვილის ხათრით მდუმარედ შეჰყურებს, დემოკრატიის ცისფერ სისხლში აქვს ხელი გასვრილი!**

ქართველო ხალხო! გილოცავ, შენ არავინ არაფერს აღარ გეკითხება. ხვალიდან ისინი გმართავენ, ვისთვისაც ხმა არასოდეს მიგიცია და ვინძლო ერთ მშვენიერ დღეს ამაზეც ხელი ჩაიქნიო და თქვა: — მაინც ეგენი გვმართავენ და, აბა, ხმა ვიღას მივცეო!

**თამარ დავითულიანი**

მოკლედ

## თომას ჰამარბერგის რეკომენდაციები — ხელისუფლებას

**საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის ანგარიშთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება სრულად გაითვალისწინებს თომას ჰამარბერგის რეკომენდაციებს.**

ანგარიშში აღნიშნულია მნიშვნელოვანი პროგრესი საქართველოში და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები დარჩენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის აუცილებელ შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით. ანგარიშში მოწონებულია ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ხელშეწყობის, მოსახლეობაში ადამიანის უფლებათა დაცვის დონის გაზრდის, დასაქმების სფეროში პროგრესული რეფორმების შემუშავების, აგრეთვე, გამჭვირვალობისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მასშტაბის გაზრდისა და წარსულში არსებული „ელიტური კორუფციისა“ და დაუსჯელობის აღმოფხვრისკენ.

ჰამარბერგის თანახმად, უკანასკნელ თვეებში საქართველომ შეძლო „საკმაოდ დიდი რაოდენობის გადაუჭრელი და რთული პრობლემების მოგვარება, მათ შორის ისეთი პრობლემებისა, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების სისტემის მუშაობას“. შეფასების დასასრულს, ჰამარბერგი მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, კერძოდ კი, ევროკავშირს, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში მისი როლის შესრულების გაგრძელებისკენ.

**გაურკვევლობაში ყოფნა აღარ შეიძლება. უნდა დამტკიცდეს რაღაც მყარი პრინციპები, რომლებიც შექმნის კალაპოტს სამართლიანობის აღდგენის პროცესისთვის. თუ უნდა მოხდეს ყოფილი ჩინოვნიკების ამნისტირება (ეს, ცხადია, არ ეხება მძიმე დანაშაულს), შესაბამისი კანონი უნდა მივიღოთ. თუ ამნისტირება არ მოხდება, ამის შესახებაც გარკვევით უნდა ითქვას.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ათწლიანი პრეზიდენტის» რვათვიანი პანაშვიდი

**ნდობა ენ-დი-აის გამოკითხვების მიმართ საქართველოში ძალიან დაბალია, რადგან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ეს ორგანიზაცია რეალობასთან აშკარად შეუსაბამო მონაცემებს ავრცელებდა, რომელთა თანახმად „ნაციონალური მოძრაობის“ ტრიუმფალური გამარჯვება გარდაუვალი იყო. ამ გარემოებისა და საზოგადოების უნდობლობის გათვალისწინებით, ალბათ, აზრი არ აქვს იმ ციფრებზე მსჯელობას, რომელთაც ენ-დი-აი პოლიტიკური პარტიების ან საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებთან დაკავშირებით აქვეყნებს. მაგრამ არის სხვა მონაცემებიც, რომლებიც უშუალოდ არჩევნებს არ ეხება და რეალობასთან ასე თუ ისე ახლოს დგას და სხვა (მათ შორის ინტერნეტ) გამოკითხვების შედეგებს, ასე თუ ისე ემთხვევა. ენ-დი-აის ბოლო მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ გამოკითხულთა „71 პროცენტი, განსხვავებით 18 პროცენტისგან, ნეგატიურად აფასებს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ იგი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე გადადგება“, ალბათ, მაინც ყურადღებას იმსახურებს, რადგან ეს განწყობა, დაახლოებით ასეთი პროპორციით, არაერთგზის აისახა სხვადასხვა გამოკითხვაში და საკმაოდ ხშირად ფიქსირდება მედიაში, სოციალურ ქსელებსა თუ ქუჩაში.**



**კოჰაბიტაციამ, ასე თუ ისე, კარგად წარმოაჩინა, ვინ რას წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში და რა მისწრაფებები აქვთ. სასარგებლო გამოცდილების გამოტანა, პრინციპში, ამ პროცესიდანაც შეიძლება, მან ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა**

ეს ციფრები, ალბათ, ასახავენ არა მხოლოდ ნდობას ივანიშვილის მიმართ, მისი მხარდამჭერების გულისწყომას მის გადადგომასთან დაკავშირებით და მათ პოზიციას, ვინ მიიჩნევს, რომ ივანიშვილი არ უნდა წავიდეს, ვიდრე ყველა დაპირებას არ შეასრულებს, არამედ ბანალურ შიშს ბუნდოვან მომავალთან და შესაძლო დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით. **ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, უბრალოდ, არ ენდობა იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ივანიშვილის გადადგომის შემდეგ ავანსცენაზე დარჩებიან. ბევრი მათგანი მოთმინებით ელოდა იმ კოშმარულად რთული გარდამავალი პერიოდის დასრულებას, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში დაიწყო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დასრულდება, მიიჩნევდა, რომ ქვეყანა ცხოვრებას გაცილებით სტაბილურ გარემოში დაიწყებდა და ამ სტაბილურობის გარანტად ხელისუფლებაში მყოფ ბიძინა ივანიშვილს განიხილავდა.** ახლა კი გაირკვა, რომ ეს ესოდენ ნანატრი „სიმშვიდის პერიოდი“ სერიოზულ გაურკვევლობას და, დიდი ალბათობით, ხელისუფლებისთვის მუდმივი გააფთრებული ბრძოლის ახალ რაუნდებს დაუკავშირდება. მარტივად რომ ვთქვათ, **ამომრჩეველი ელოდა პოზიტივს ამ ერთწლიანი პოლიტიკური ქაოსის შემდეგ, რომლისთვისაც არა მხოლოდ ძველ, არამედ ახალ ხელისუფლებასაც აკრიტიკებდა.**

**საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია, მოძებნო ადამიანი, რომელსაც მოსწონს ეს გაუგებრობით სავსე გარდამავალი პერიოდი, რომელიც 2012 წლის არჩევნებს მოჰყვა და, იმედია, მალე დასრულდება. მაგრამ ყოველივე უარყოფითში, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში, პოზიტიური გამოცდილების აღმოჩენაც შეიძლება.**

ახალ ხელისუფლებას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ იანვარში კონსტიტუციას გადააბიჯა და უცხოელი პარტნიორების ზეწოლის პირობებში მიხეილ სააკაშვილის პოსტზე ყოფნის ხელოვნურ გახანგრძლივებას დათანხმდა. ამ პერიოდში ჰალსტუხების მწარმოებელთა საუკეთესო მეგობარმა გააკეთა ბევრი ისეთი რამ, რაც შეფასდა როგორც აშკარა საბოტაჟი და არაერთი სერიოზული პრობლემა შექმნა, მაგრამ ამ მედალს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, ორი მხარე აქვს.

**სააკაშვილის გაგდება ავლაბრის რეზიდენციიდან და იძულება გადადგომისადმი, იანვარში სავსებით რეალური იყო, ამისთვის არსებობდა როგორც იურიდიული საფუძველი, ისე შესაბამისი განწყობა საზოგადოებაში, მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ განვლილ 8 თვეში მოხდა საკმაოდ საინტერესო რამ — სააკაშვილის იმიჯი, ფაქტობრივად, მიწასთან გასწორდა, მის განცხადებებს ყურადღებას თითქმის აღარავინ აქცევს** („ციტირების ინდექსის“ გამოთვლა ამ შემთხვევაში ძალზე იოლია) **და, რაც მთავარია, მისმა თანაპარტიელებმა** (და უცხოელი პარტნიორების მნიშვნელოვანმა ნაწილმა) **მისგან დისტანცირება დაიწყეს.** ამ სიტუაციის მიღწევას, ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, სჭირდებოდა დრო. **ეს პერიოდი სააკაშვილისთვის ერთგვარი სასჯელი გახდა და მზარდ ნერვიულობას, საკუთარი უძლურებისა და მარტოობის განცდას დაუკავშირდა.**

კვირას, ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა, თომას ჰამერბერგმა, საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით შემდეგი რამ თქვა: **„ძალზედ მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ აღარ იყუროს მარტო წარსულში და დაიწყოს ფიქრი მომავალზე. ამდენად, ვფიქრობ, დადგა დრო, დავხუროთ წარსულის ეს გვერდი და მოვემზადოთ შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად მომავლისკენ“** (ინტერპრესნიუსი). რამდენიმე კომენტატორმა ეს რეპლიკა საკმაოდ ემოციურად აღიქვა და ჩათვალა, რომ ის წარმოადგენდა შენიღბულ მოწოდებას სამართლიანობის პროცესის დამუხრუჭებისკენ, თუ არა დასრულებისკენ (ეს არ იყო უბრალოდ ფილოსოფიური წიაღსვლა, ჰამერბერგი ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის კონტექსტში საუბრობდა). ეს შეფასება, ალბათ, მაინც არაადეკვატურია, რადგან **ევროკავშირის წარმომადგენელს არ უთქვამს, რომ დამნაშავეთა დასჯას ეწინააღმდეგება და ამ პროცესის დეტალებზე დაწვრილებით ისაუბრა, კერძოდ იმაზე, რომ გამოძიება პოლიტიზებული არ უნდა იყოს, ხოლო „ნებისმიერი განცხადება, რომელმაც შეიძლება უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიოს, მიუღებელია“.** მაგრამ, ალბათ, ისიც გასაგებია, თუ რატომ აანერვიულა მისმა რეპლიკამ ქართველი კომენტატორები, რომელთაც „წარსულის ამ გვერდის დახურვას“ სამართლიანობის აღდგენის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ.

პრობლემა რეალურად არსებობს, კონცენტრაცია წარსულზე საზოგადოებას წინსვლაში ხელს მართლაც უშლის და ამ კონტექსტში საინტერესო იქნება დაფიქრება იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია მოქალაქეთა უმრავლესობას სამართლიანობის აღდგენის ბოლო აკორდი. **იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა მატერიალურად დააზარალა, ბედნიერი ფინალის განუყოფელ ნაწილს ქონებრივი უფლებების აღდგენა ან კომპენსაციის მიღება წარმოადგენს. მაგრამ არის სხვა, გაცილებით დიდი ჯგუფი, რომელსაც ყოფილ მმართველებთან მატერიალური პრეტენზია არ აქვთ.** რა მოხდება იმ შემთხვევაში (ეს, უბრალოდ, მოდელირებაა, საზოგადოებაში არსებული განწყობების საფუძველზე და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს), თუ წარსულში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულისთვის მხოლოდ ზონდერები, წვრილფეხა ჩინოვნიკები და (დავუშვათ) რამდენიმე მინისტრი დაისჯება? სავარაუდოდ, ეს არ დააკმაყოფილებს ამ მოქალაქეებს, ისინი კვლავ განაგრძობენ საუბარს იმაზე, რომ სამართლიანობა აღდგენილი არ არის და მთავარი დამნაშავეები გარეთ დადიან. მაგრამ, **თუ განსასჯელთა სკამზე მიხეილ სააკაშვილი და რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი დაჯდება, ეს, სავარაუდოდ, დამაკმაყოფილებელ ფინალად ჩაითვლება, ხოლო დაბალი და საშუალო რგოლის ყოფილ ჩინოვნიკებს განსაკუთრებულ ყურადღებას აღარავინ მიაქცევს. ჩვენ ვერსად გავექცევით იმ გარემოებას, რომ უამრავი ადამიანისთვის სამართლიანობის აღდგენისა და კოჰაბიტაციის დასრულების სიმბოლო არის მიხეილ სააკაშვილი განსასჯელთა სკანზე (და ციხეში).**

მაგრამ სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის სისხლის სამართლებრივი დევნა ხუმრობა საქმე არ არის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროკურატურას ვაგონობით მტკიცებულებები აქვს. ეს, თეორიულადაც კი, ძალიან რთული იქნებოდა ფიგურანტის წინასწარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი იზოლირების გარეშე, რაც ამ 8 „ზედმეტ“ თვეში (პოსტზე ყოფნის თვალსაზრისით) მოხდა.

ნაცისტური გერმანიის კრახის შემდეგაც კი, „ყველა“ არ დასჯილა. სს-ის და გესტაპოს არაერთმა წარმომადგენელმა საპატიმროს გვერდის ავლით ახალ რეალობაში ინტეგრირება მოახერხა. ამ თემაზე საუბარი სხვა, „შედარებით მოკრძალებული“ დიქტატურების გამოცდილებაზე დაყრდნობითაც შეიძლება. ათასობით, თუ არა ათიათასობით, ადამიანი საქართველოში ელოდება მომენტს, **როდესაც დანამდვილებით ეცოდინება, რომ წარსულთან დაკავშირებით მართლმსაჯულებას მათთან პრეტენზიები აღარ ექნება. ის შიში და გაურკვევლობა, რომელშიც ამდენ ხანს იმყოფიან, ალბათ, საკმაოდ სერიოზული სასჯელია იმ ზნეობრივი კომპრომისისთვის** (და მისგან გამომდინარე უბედურებისთვის), **რომელზეც თავის დროზე წავიდნენ.**

საქართველოში ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელსაც ესიმპათიურება სააკაშვილის რეჟიმის მსახურები ან მათი დღევანდელი განცდები აღელვებს. მაგრამ ასე გაგრძელებაც, **გაურკვევლობაში ყოფნა აღარ შეიძლება. უნდა დამტკიცდეს რაღაც მყარი პრინციპები, რომლებიც შექმნის კალაპოტს სამართლიანობის აღდგენის პროცესისთვის. თუ უნდა მოხდეს ყოფილი ჩინოვნიკების ამნისტირება (ეს, ცხადია, არ ეხება მძიმე დანაშაულს), შესაბამისი კანონი უნდა მივიღოთ. თუ ამნისტირება არ მოხდება, ამის შესახებაც გარკვევით უნდა ითქვას.** პრობლემას სინამდვილეში ქმნის არა თავისთავად წარსული, არამედ გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ მას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მედალს ორი მხარე აქვს — სერიოზული, მშვიდი დისკუსია ამ თემაზე ცოტა ხნის წინ, თუნდაც იმავე იანვარში, შეუძლებელი იყო. სულ სხვა ემოციური ფონის პირობებში **საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ნაპერწკალი იმისთვის, რომ ფართო მასები ყოფილი მმართველების ლინჩის წესით გასამართლებაზე გადასულიყვნენ. მსგავსი ეფექტის გამოწვევა განსაკუთრებულ პრობლემას, პრინციპში, არც ახლა წარმოადგენს, თუმცა დღეს საზოგადოებას ნამდვილად შეუძლია, გამოავლინოს მოთმინება, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ გამოძიება და სასამართლო პროცესები უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად წარიმართოს** (დაახლოებით ისე, როგორც პერუში, ალბერტო ფუხიმორის რეჟიმის წარმომადგენელთა გასამართლების დროს), **ის მზადაა დიალოგისთვის გონივრულ კომპრომისებსა და ჰუმანიზმის გამოვლენაზე, თუმცა ამ უკანასკნელმა გარემოებამ სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს, რადგან ყოველივე ეს არც დავიწყებას, არც პატიებას არ ნიშნავს. ასე რომ, ამ მხრივაც, ამ გაუგებრობით სავსე პაუზაში დადებითი მომენტების დანახვა შეიძლება.**

კიდევ ერთ დადებით მომენტად, ალბათ, ცალკეული პოლიტიკოსებისა და მთლიანობაში პოლიტიკური ელიტის თავისებური ლუსტრაცია უნდა ჩაითვალოს. ერთი წლის წინ მათი მოქმედების შეფასება ემოციურ ტალღაზე, ბრძოლის ლოგიკიდან გამომდინარე ხდებოდა. გარდამავალ პერიოდში კი ამომრჩევლებს მიეცათ შესაძლებლობა, ეწარმოებინათ დაკვირვება მათ მოქმედებაზე შედარებით მშვიდ გარემოში. **კოჰაბიტაციამ, ასე თუ ისე, კარგად წარმოაჩინა, ვინ რას წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში და რა მისწრაფებები აქვთ. სასარგებლო გამოცდილების გამოტანა, პრინციპში, ამ პროცესიდანაც შეიძლება, მან ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა.**

გავა კიდევ ერთი წელი და, შესაძლოა, ის ამომრჩევლები, რომლებმაც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს, შეძლებენ პოზიტიური შედეგების დანახვას, რომელიც ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლას, პოლიტიკური ტაქტიკისგან დისტანცირებას მოჰყვა, თუმცა დღეს ისინი შეშფოთებულები არიან და არ იციან, რა მოხდება ახლო მომავალში; გაურკვევლობის განცდა მათ სერიოზულ ფსიქოლოგიურ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პრობლემებს უქმნის.

**დიმიტრი მონიავა**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის დიპლომატიის უზარმაზარი და ძლევამოსილი მანქანა უმცროსი ბუშის მმართველობის წლებში უიმედო დილეტანტების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც ვერ მოახერხეს ერთი პატარა ქვეყნის მთავრობამდე, რომელიც მასზე თითქმის 100%-ით იყო დამოკიდებული, საკუთარი პოზიცია მიეტანათ.**

# ბრაიზა სააკაშვილის წინააღმდეგ, ანუ განტევების მიშა

**გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ, მეთიუ ბრაიზამ, „ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა აგვისტოს ომზე და საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილებაზე. დამოკიდებულება მეთიუ ბრაიზას მიმართ საქართველოში არაერთგვაროვანია; იყო დრო, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მას ძალიან მწვავედ აკრიტიკებდა სააკაშვილის რეჟიმის არაადეკვატური მხარდაჭერის გამო, მაგრამ ჩვენ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ბრაიზა ფასდაუდებელი მოწმეა, რომელსაც შეუძლია 2008 წლის ომზე და უახლესი ისტორიის სხვა დრამატულ ეპიზოდებზე ბევრი რამ მოგვითხროს. დღეს ის სახელმწიფო სამსახურში აღარ არის და შედარებით თავისუფლად საუბრობს. საინტერესოა, რომ თავის ბოლო ინტერვიუში ის მიუახლოვდა ბუშის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის თემას ყოველივე იმაზე, რაც საქართველოში სააკაშვილის მმართველობის წლებში, უპირველესად კი, 2008-ში მოხდა. ეს თემა შტატებსა და საქართველოში ნახევრადტაბუირებულია, რაც ყოფილი ამერიკელი დიპლომატის მონოლოგს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.**



მეთიუ ბრაიზა:

**ომის დროს ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოვუჩენდით საქართველოს და ეს იმიტომ, რომ ასე ძალიან გვიყვარდა ეს ქვეყანა. ეს გიგანტური შეცდომა იყო**

## თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით

**„შეერთებული შტატები უწყვეტად, გარკვევით და მკაცრად ეუბნებოდა საქართველოს, რომ თბილისმა აზრადაც კი არ უნდა გაივლოს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება. ეს გზავნილი იყო მკაცრი და ზოგჯერ უხეშიც კი. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ, თუ წამოიწყებთ სამხედრო დაპირისპირება, წააგებთ. საქართველოს მოგების არანაირი შანსი არ აქვს. მთლიანად განადგურდება ის დანაყოფები, რომლებიც ჩვენ აღვჭურვეთ და გავწვრთენით, გაქრება ნატოში გაწევრიანების უმცირესი შანსიც კი და ჩვენ ვერ დაგეხმარებით",** — განუცხადა მეთიუ ბრაიზამ „ამერიკის ხმას". საქართველოში დღემდე ხმის ჩახლეჩამდე კამათობენ იმაზე, იყო თუ არა სხვა ტიპის სიგნალები ვაშინგტონიდან, რომელთა საფუძველზე სააკაშვილი, მარტივად რომ ვთქვათ, ჭკუიდან გადავიდა. ოფიციალურ განცხადებში თუ დოკუმენტებში მსგავსი არაფერი ფიქსირდება; პირიქით, ამერიკელებმა არაერთგზის ცალსახად მოუწოდეს სააკაშვილის ხელისუფლებას, არ გაეღრმავებინა კონფრონტაცია, მაგრამ ექსპერტების საკმაოდ დიდ ნაწილს ეს ვერსია, რომლის ფარგლებში დღეს ოპერირებენ ბრაიზა, კონდოლიზა რაისი და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები, არ აკმაყოფილებს, რადგან, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ არანაირი საპირისპირო სიგნალები ვაშინგტონიდან არ ყოფილა, ლამის ავტომატურ რეჟიმში იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ სააკაშვილის მთავრობა სრული შემადგენლობით გაგიჟდა. მეთიუ ბრაიზა პირდაპირ ამბობს: **„ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ**

ომის დროს ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოვუჩენდით საქართველოს და ეს იმიტომ, რომ ასე ძალიან გვიყვარდა ეს ქვეყანა. ეს გიგანტური შეცდომა იყო". აშკარაა, რომ ამ შეცდომისთვის, კლასიკური შიზოფრენიის გარდა, სხვა საფუძველიც უნდა არსებობდეს, მიუხედავად იმისა, რამდენად პესიმისტურად ვაფასებთ სააკაშვილის მენტალურ (არა)მდგრადობას.

ვერსიები „საომარი სიგნალების" შესახებ დოკუმენტურად გამყარებული არ არის და გავა წლები, თუ არა ათლეულები, ვიდრე ვაშინგტონურ არქივებში თუნდაც ერთი, თუნდაც ორაზროვანი დოკუმენტი მოიძებნება (ეს შეიძლება არც მოხდეს). ჯერჯერობით კი ცნობილი ექსპერტები მხოლოდ ძალიან ფრთხილი ვარაუდებით შემოიფარგლებიან და ამ მიდგომის კარგ ილუსტრაციად ლინკოლნ მიტჩელის განცხადება გამოდგება (აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე „ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში). სააკაშვილის ხელისუფლებაზე საუბრისას მან შემდეგი რამ თქვა: **„მათ რეალურად შეეძლოთ, მოეძებნათ ვაშინგტონში ხალხი, რომელთაგანაც გაიგებდნენ იმას, რისი გაგებაც სურდათ. ალბათ, ასეც იყო. რა დონეებზე იყვნენ ისინი, ვინც ასეთ სიგნალებს იძლეოდნენ, მე არ ვიცი. იყო ეს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი? — არ ვიცი. იყო ვინმე დიკ ჩეინის აპარატიდან? — შესაძლებელია. იყო რომელიმე ეროვნული უშიშროების საბჭოდან? — ესეც შესაძლებელია. იყო ეს კონდოლიზა რაისი? — არა. იყო ეს ჯორჯ ბუში? — არა. იყო ეს მაშინდელი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი? — არა".**

საინტერესოა, რომ თავის ბოლოდროინდელ მოგონებებში აგვისტოს ომზე მიხეილ სააკაშვილი მუდამ დიკ ჩეინის მიმართ აპელირებს და „რუსთავი 2"-თან საუბარში სთხოვა კიდეც, საჯაროდ დაადასტუროს, რომ 2008 წლის აგვისტოში ბუშის ადმინისტრაცია როკის გვირაბის დაბომბვის შესაძლებლობაზე მსჯელობდა: **„ჩეინის რომ ვკითხე, როგორც ვიხსენებო, ალბათ, ასეაო და მე ვუთხარი, თუ შეიძლება, მაშინ კარგად გაიხსენეთ კიდევ და კარგი იქნება, რომ მემუარებში ან სადმე საჯაროდ ახსენოთ".** სააკაშვილის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ დიკ ჩეინის მიმართ (თუნდაც კონდოლიზა რაისისგან განსხვავებით, რომელზეც ბოლო დროს ერთობ გალიზიანებული საუბრობს) შეიძლება გაამყაროს ვერსია, რომელიც ძალიან ფრთხილად მონიშნა მიტჩელმა, თუმცა ცალსახა მტკიცებულებად მას, რასაკვირველია, ვერ განვიხილავთ.

**„ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ სრულიად არასწორად იყო გაგებული ჩვენი განზრახვები. ჩვენ სრულიად გასაგებად ვეუბნებოდით, რომ თქვენ არ ხართ ნატოში, თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით",** — ამბობს მეთიუ ბრაიზა და აქ ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ **აშშ-ს დიპლომატიის უზარმაზარი და ძლევამოსილი მანქანა უმცროსი ბუშის მმართველობის წლებში უიმედო დილეტანტების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც ვერ მოახერხეს ერთი პატარა ქვეყნის მთავრობამდე, რომელიც მასზე თითქმის 100%-ით იყო დამოკიდებული, საკუთარი პოზიცია მიეტანათ.** მეთიუ ბრაიზა არ იხსნის ნაწილობრივ პასუხისმგებლობას მომხდარზე, თუმცა ავანსცენაზე, ბუნებრივია, სააკაშვილი გამოჰყავს: **„ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებდნენ, რომ საქართველოსთან ძალიან თბილი დამოკიდებულება გვქონდა, რომ ზედმეტ მხარდაჭერას ვაძლევდით. მაგრამ ის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბოლოო ჯამში გადაწყვეტილებებს ქვეყნის არჩეული ლიდერები იღებენ და ამ შემთხვევაში მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს".** სხვათა შორის, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მაშინ (და დღესაც) სააკაშვილს არა „არჩეულ ლიდერად", არამედ უზურპატორად განხილავდა, რომელმაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა, ხოლო მეთიუ ბრაიზა თავის კოლეგებთან ერთად სრულიად საპირისპიროს გვიმტკიცებდა, მაგრამ ეს, პრინციპში, სულ სხვა ისტორიაა. ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ, თუ როგორი იყო აშშ-ის პოლიტიკა საქართველოში და რა ფაქტორებმა გახადა შესაძლებელი ეს „არასწორი გადაწყვეტილებები" და „გიგანტური შეცდომები".

## სიყვარულო, ძალსა შენსა

**მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა, საქართველო ნატოში გაეწევრიანებინა, მეთიუ ბრაიზამ ძალიან საინტერესოდ შეფუთა.** მოტივი, მისი ვერსიით, ასეთი იყო: **„თუ ერთ ქვეყანას ნატოში შესვლა უნდა და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ალიანსის წევრობა მოიპოვოს, რუსეთს არ უნდა მისცემოდა საშუალება, ამ ქვეყნის სურვილისთვის ვეტოს დადების".** ამას ერწყმოდა სიმპათია „ვარდების რევოლუციის" ლიდერების მიმართ, რომელშიც ბრაიზას თქმით, ამერიკას არანაირი წვლილი არ მიუძღვის **(„მათ იგივე ღირებულებები ჰქონდათ, როგორიც ჩვენ, ჩვენნაირად ფიქრობდნენ")** და აშშ-ის მმართველების ზოგადი სიყვარული საქართველოს მიმართ — **„როგორც პრეზიდენტ კლინტონის, ასევე პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას საქართველო ძალიან უყვარდათ. შეუძლებელია, არ გიყვარდეს ეს ქვეყანა, ხალხი, ბუნება, სამზარეულო, მუსიკა — ყველაფერი. უცხოელისთვის საქართველო რომანტიკული ადგილია. საქართველოსთან ამერიკას ემოციური კავშირები ჰქონდა იმის გამო, რომ ეს იყო პატარა ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა".**

ალბათ, აჯობებს, დისკუსია ამერიკული სიყვარულის თავისებურებებზე დროებით გვერდზე გადავდოთ და მხოლოდ იმის დაფიქსირებით შემოვიფარგლოთ, რომ ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ **ბრაიზა ცდილობს, გაიმეოროს ზოგიერთი ამერიკელი დიპლომატის ცნობილი ტრიუკი და მძიმე შეცდომები იდეალისტური მოტივების მოზღვავებით ახსნას.** სხვათა შორის, ბევრი ქართველი, ანტიამერიკულად განწყობილი კომენტატორი გამუდმებით გვიმტკიცებს, რომ **არანაირი იდეალიზმი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში არ არ-** ▶

**ბოლოდროინდელ მოგონებებში აგვისტოს ომზე მიხეილ სააკაშვილი მუდამ დიკ ჩეინის მიმართ აპელირებს და «რუსთავი 2»-თან საუბარში სთხოვა კიდეც, საჯაროდ დაადასტუროს, რომ 2008 წლის აგვისტოში ბუშის ადმინისტრაცია როკის გვირაბის დაბომბვის შესაძლებლობაზე მსჯელობდა: «ჩეინის რომ ვკითხე, როგორც ვიხსენებო, ალბათ, ასეაო და მე ვუთხარი, თუ შეიძლება, მაშინ კარგად გაიხსენეთ კიდევ და კარგი იქნება, რომ მემუარებში ან სადმე საჯაროდ ახსენოთ»**

**„დღეს, ევროპის დიდ ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივ უჩიპო პირადობის მოწმობებს ხმარობენ, რადგან ეს პროგრესულ ტექნიკად არ ითვლება, პირიქით, ეს არის რეგრესული ტექნიკა. და ამის გასავრცელებლად აგროვებენ ჩამორჩენილ ქვეყნებს. დიახ, ჩამორჩენილი ქვეყნების ხარჯზე ხდება ამ აიდი-ბარათების გავრცელება, მის ალტერნატივასთან ერთად და ერთადერთი ქვეყნაა საქართველო, სადაც ალტერნატივასაც კი არ უშვებენ, მეტიც, კატეგორიულ უარს ამბობენ.“**

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის და ეს მხოლოდ ცინიკური პრაგმატიზმის შეფუთვაა.** ეს, ალბათ, არასწორი შეფასებაა, იდეალიზმის გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული ფენომენია (ამაზე ძალიან საინტერესოდ წერს ჰენრი კისინჯერი), რომლის შესწავლით დაკავებული იყო არაერთი ცნობილი მკვლევარი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ **უმცროსი ბუშის მმართველობის** (და ორმაგი სტანდარტების) **წლებში იდეალიზმი** (უფრო სწორად, საუბრები მასზე) **მართლაც ძირითადად გამოიყენებოდა, როგორც შეფუთვა და, ამასთანავე, როგორც ერთგვარი ინდულგენცია უმძიმესი შეცდომების გამართლებისთვის.**

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ „რომანტიკული შესავლის“ შემდეგ ბრაიზას ინტერვიუში მოდის პასაჟი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, ძალიან არ მოეწონებათ: **„სააკაშვილს ვაშინგტონში უყურებდნენ, როგორც დინამიურ და ხანდახან იმპულსურ ლიდერს. მის შესახებ ვაშინგტონს ინფორმაცია მოსკოვიდანაც მოსდიოდა. ამ ყველაფერზე დაყრდნობით ამერიკაში ფიქრობდნენ, რომ ქართველები ახალგაზრდები და გამოუცდელები იყვნენ რუსებთან შედარებით და მათ გარკვეული შებოჭვა სჭირდებოდათ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოსთვის სამხედრო, ფინანსური თუ პოლიტიკური ზედმეტი მხარდაჭერა შეიძლება გამხდარიყო გადაწყვეტილების საფუძველი, რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკოსი პრეზიდენტ სააკაშვილის ენერგიულ ხასიათს დაუკავშირებდა. ამიტომ ვაშინგტონი და განსაკუთრებით ბერლინი, ამ გადმოსახედიდან, ალბათ, მათი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ასკვნიდნენ, რომ რუსები უფრო გამოცდილები და პასუხისმგებლობის მატარებლები იყვნენ. ამით, საქართველო მოვაქციეთ კუთხეში და ვუთხარით, რომ, აი, ამას არ გააკეთებ. ის კი არ გვითქვამს, თუ რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ჩვენგან უფრო მეტი დახმარება მიეღო“.**

საერთოდ, საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბრისას სასურველია თავის შეკავება ემოციური შეფასებებისგან, რომლის სურვილიც წინარე აბზაცის წაკითხვის შემდეგ ნამდვილად შეიძლება გაჩნდეს; ეს არ არის ცინიზმი — უბრალოდ, **თეთრი სახლი ძალიან პრაგმატულად ატარებდა პოლიტიკას, რომელიც აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა. ყველაზე ნიშანდობლივი ამ შემთხვევაში, ალბათ, შესაძლო დანაკარგების მინიმიზაციაა; ამერიკელები არ წავიდნენ ვა-ბანკზე და ეს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია.** აქ სხვა რამ არის საინტერესო: იმის გაცნობიერება, რამდენად მცდარი და არაკორექტული იყო სამყაროს სურათი და შეხედულებები აშშ-ის პოლიტიკაზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების წარმოსახვაში დამკვიდრდა, რაშიც ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, ალბათ, თავად მეთიუ ბრაიზაა.

### არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი

თავის დროზე საქართველოში ფართოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მეთიუ ბრაიზას შეხედულებები ერთმანეთს თითქმის სრულად ემთხვევა. დღეს ვითარება აშკარად განსხვავებულია — ყოფილი მაღლაჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით ბრაიზა ამბობს: **„მე არ მგონია, რომ ეს პოლიტიკური დაპატიმრებებია“,** არ ეწინააღმდეგება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიებას, ხოლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისეთ რამეს ამბობს, რაც სააკაშვილს, სავარაუდოდ, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდა: **„ცხადია, რომ ხალხებს ერთმანეთი მოსწონთ, რუსეთი საქართველოს ბუნებრივი პარტნიორია ვაჭრობაში, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება რეგიონში, რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონდეთ“.**

ძველი მეგობრობა — ძველ მეგობრობად, მაგრამ რეალობა აიძულებს სააკაშვილის ყოფილ პარტნიორებს, კორექტულად ისაუბრონ საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე, ხოლო სააკაშვილისგან ნელ-ნელა დისტანცირება მოახდინონ, ამას კი „ნაცმოძრაობის“ ბელადის შესაბამისი რეაქცია მოსდევს. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის საუბრები იმაზე, რომ **„მიშა ამერიკელებზე განაწყენებულია“** და მათ შესაძლო სკანდალური ჩვენებებით აშანტაჟებს. გარკვეული საფუძველი ამ ვარაუდებს ნამდვილად აქვს; **თავის მარათონულ ტელემონოლოგებში აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე სააკაშვილმა რამდენიმე საკმაოდ საეჭვო, ორაზროვანი მინიშნება გააკეთა, რომელთაც ნამდვილად შეეძლო რამდენიმე ვაშინგტონელი პოლიტიკოსის ანერვიულება.**

**გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა დაინტერესებული მხარისთვის ყველაზე ეფექტური და მარტივი გამოსავალი მისთვის „განტევების ვაცის“ როლის მინიჭებაა, რომელსაც აჰკიდებენ მთელ ნეგატივს, ყველა იმ გაუგებრობას, რომელიც აშშ-საქართველოს ურთიერთობებში** (ამასთანავე, სამკუთხედში ვაშინგტონი-მოსკოვი-თბილისი) **ამ დროისთვის დაგროვდა.** გასაგებია, რომ მას ამ როლის შესრულება არ სურს, თუმცა ამ შემთხვევაში ვერაფრით დავეხმარებით. პოლიტიკურ ფაქტორებს თავი რომც დავანებოთ, ყველაფერს ამქვეყნად, მათ შორის, სისულელეს, სიმხდალეს, გაუმაძღრობას და სისასტიკეს თავისი ფასი აქვს და ნებისმიერმა პოლიტიკოსმა ყველა თავის შეცდომასა თუ დანაშაულზე, ადრე თუ გვიან, პასუხი უნდა აგოს.

**დიმიტრი მონიავა**

ზაზა ნანობაშვილი:

# მართლმადიდებლობას მუდმივად ამერიკული ტომოჰავკები ებრძვიან

**„აიდი-ბარათები ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის არის გათვალისწინებული, თორემ წარმატებულ ქვეყნებს ჩვენ ვერ დავასწრებდით ამ ბარათების შემოღებას,“ – განაცხადა, „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში „მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელმა ზაზა ნანობაშვილმა.**



— იცით, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო წლების მანძილზე იკვლევდა ელექტრონული მმართველობის საკითხს და შემდეგი შეფასება მისცა: უნიათო, ადამიანის ტოტალური კონტროლის საშუალებაა. **დღეს, ევროპის დიდ ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივ უჩიპო პირადობის მოწმობებს ხმარობენ, რადგან ეს პროგრესულ ტექნიკად არ ითვლება, პირიქით, ეს არის რეგრესული ტექნიკა. და ამის გასავრცელებლად აგროვებენ ჩამორჩენილ ქვეყნებს. დიახ, ჩამორჩენილი ქვეყნების ხარჯზე ხდება ამ აიდი-ბარათების გავრცელება, მის ალტერნატივასთან ერთად და ერთადერთი ქვეყნაა საქართველო, სადაც ალტერნატივასაც კი არ უშვებენ, მეტიც, კატეგორიულ უარს ამბობენ.** სააკაშვილის მმართველობის დროს სახელმწიფოს ეკონომიკაზე, ადამიანის უფლებებზე, ქვეყნის გადარჩენასა და სამშობლოს გაერთიანებაზე არ უზრუნია, მხოლოდ ამ სისულელეებზე ზრუნავდა, იმაზე თუ როგორ დაჯახებოდა მართლმადიდებლობას, როგორ გადაეთელა სიწმინდეები და როგორ არ დაეჯერებინა პატრიარქისთვის.

**— სააკაშვილს რა მიზნებიც ჰქონდა ყველამ კარგად იცის, მაგრამ „ქართულ ოცნებაზე“ რას იტყვით, იუსტიციის მინისტრი რატომ არ ითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას, რა არის მისი მოტივაცია?**

— ჩვენ, ქრისტიანებს, არ გვაქვს უფლება, ლაპარაკით დავუჯეროთ ადამიანებს. ამას სახარება გვასწავლის პირდაპირ — ხე ნაყოფით სცანითო. ჩვენ ნაყოფით ვცნობთ და მე ნაყოფით ჯერჯერობით ვერაფერი ვცანი, ანუ ჩვეულებრივი იდეოლოგია და პროპაგანდა მიდის ამ აიდი-ბარათების... არადა, თვითმყოფადობა და ღირსება თუ არ გაგაჩნია, არავის არაფერში სჭირდები. დარწმუნებული ვარ, ბატონმა ბიძინამაც იცის ეს ყველაფერი. ეს არ არის საბავშვო საკითხები, ჩვენ რომელ თემებსაც შევეხეთ, გინდა ანჩისხატის დაბრუნება და გინდა ქართული სიწმინდეების პატივყოფა, გინდაც ამ აიდი-ბარათების თემა, სერიოზული, საკითხებია, რომლებზეც ერის თვითმყოფადობა დგას და ეს ძალიან კარგად ესმის აბსოლუტურად ყველას.

**მესმის, რომ ზეწოლაა მათგან, ვისაც ამის გავრცელება უნდა, მაგრამ ამაზე არავინ ომობს და განგაშს არავინ ტეხს. ალტერნატივები დაუშვეს ქვეყნებმა და მსოფლიოს განგაში არ აუტეხავს. დევიდ ქემერონმა, რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ხალხს ახარა, ჩვენ ინგლისში არ გვინდა ეს აიდი-ბარათები, თუ უნდათ, ოკეანის გაღმა წაიღონ და იქ მოიხმარონო. ეს ვაჟკაცური ნაბიჯი იყო, მან ხალხს საარჩევნო დაპირება შეუსრულა. საქართველოს ხელისუფლებას კი აღარც ახსოვს, რას დაგვპირდა.** სამწუხაროდ, შავი სამუშაო ჩვენ გაგვაკეთებინეს (ჩვენ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში), მართლმადიდებელმა ეკლესიამ გააკეთა ეს და, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ყველაფერი დაავიწყდათ.

წულუკიანი შეგვხვდა 10 იანვარს და 20 იანვარს სარეკლამო რგოლი დაამზადა. მე მინდოდა ისეთი მთავრობა, რომელიც მე გამომიყენებდა, მე დამხარჯავდა რაღაცით და არა ისეთი, რომელიც წინამორბედივით ტყუილით მოვიდოდა და არანაირ ყურადღებას არ გამოიჩენდა. აი, ეს, სამწუხაროდ, ცუდის მაჩვენებელია. სხვათა შორის, არც მიკვირს, პოლიტიკური ფიგურები დიდად არ შეცვლილან და ახლა, ივანიშვილი თუ წავიდა პოლიტიკიდან კიდევ, ვინ მოიყვანა ხელისუფლებაში და ვინ დატოვა, ეს, ასე ვთქვათ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება; შეიძლება უფრო ცუდადაც შემოტრიალდეს საქმე. იმავე მართლმადიდებლურ საკითხებზე გეტყვით, წარმოიდგინეთ, იერუსალიმში ხატი შევაბრძანეთ და საბაჟომ ხატი განგვიბაჟა. არადა, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს არ წარმოადგენდა ისტორიულ ფასეულობას, ისევ უნდა გამობრძანებულიყო და მხოლოდ რიტუალზე ფერიცვალებას თაბოროსისთვის იყო ჩასული.

**— კონკრეტულად მაინც ვინ ებრძვის მართლმადიდებლობას რელიგიური ნიშნით?**

— ისევ ის ძალები, ოღონდ ნიღბები და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები შეიცვალა. დიახ, მართლმადიდებლობას მუდმივად ამერიკული ტომოჰავკები ებრძვიან.

**— ერთის მხრივ რომ მუსლიმანურ სამყაროს ვეომოთ, მეორე მხრივ — მასონებს, ამის თავი და ძალა გვაქვს? თავდაცვაზე რომ გადავიდეთ, არ სჯობს?**

— არც ერთ ქვეყანას არ შესწევს ძალა, სხვაზე ზემოქმედება მოახდინოს, თუ თავად არ მიეცი შენ ეს ძალა. რატომ იყო, რომ თუნდაც 90-იან წლებში და გინდაც უფრო ადრე ქართველის ხელით რომ იღებდნენ ამ ყველაფერს? **ქვეყანაში, სადაც იპოვეს შიგნიდან ციხის გამტეხი, ყოველთვის უბედურება და რღვევა მოხდა. ვიმეორებ, ერს, რომელიც ერთიანია, მტკიცე სულითა და პატრიარქით, ძალიან ძნელია მოუგო ბრძოლა; მეტიც, შეუძლებელია ასეთი ქვეყნისთვის ბრძოლის მოგება და ამის მაგალითებიც არსებობს, მაგრამ ნახეთ, როგორ გვამტერებენ ერთმანეთს. რა გახდა, თუნდაც ეს აიდი-ბარათები, რატომ არ უნდა გინდოდეს ამის ალტერნატივა?! ხალხმა გაუქმება ითხოვა და შეუსრულეს ეს თხოვნა და ჩვენთან ალტერნატივასაც კი არ უშვებენ, გაუქმებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.** გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ალტერნატივას დაუშვებენო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სარწმუნო ინფორმაციაა, შეიძლება ეს წინასაარჩევნოდ იყოს გათვლილი და შემდეგ არც არაფერი შეიცვალოს.

**— უკან დახევას არ აპირებთ, 29-ში აქციას მართავთ...**

— როგორ უნდა დაიხიოს ხალხმა უკან? ხალხს წლების მანძილზე არ აქვს ეს აიდი-ბარათები აღებული. და ასეთი ერთი ადამიანიც რომ იყოს, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, არც სამართლებრივად და არც მორალურად, ადამიანი საყოფაცხოვრებო, მთავარი საბუთის გარეშე ატაროს, განიცდიდეს ისეთ დისკრიმინაციას, რომელი დისკრიმინაციაც გულისხმობს ქვეყნის მიღმა დარჩენას მოქალაქეობრივი თვალსაზრისით, ანუ პენსია ვეღარ აიღოს, საავადმყოფოთი ვეღარ ისარგებლოს, ადამიანი კვდომას განიცდის და სახელმწიფო ამას გულგრილად უყურებს. საქართველოში ასეთი ათასობით ადამიანია. **ასი ათასი ადამიანიდან 70 ათასმა გამოგვიგზავნა პასუხი, რომ მათ სხვა საბუთი არ აქვთ. ბუნებრივია, არჩევნებშიც ვერ მიიღებენ მონაწილეობას. და ხედავთ, უკვე საჩუქრად ურიგებენ ხალხს ამ აიდი-ბარათებს, უფასოდ არიგებენ და კარგი, რომ იყოს დაარიგებდნენ? კარგს რას დაარიგებდნენ, კარგი, რაც არის ყველაფერი სახლში მიაქვთ.** ამიტომ მოვუწოდებ ყველას 29-ში მოვიდეს ჩვენს აქციაზე. მოდით, სანამ უარესი არ მომხდარა მივხედოთ ამ საკითხს და ჩვენ ვიცით, რომ უარესი მზადდება; იგეგმება მარჯვენა ხელსა და შუბლის არეში ამ ჩიპის ჩადგმა, რათა ადამიანი დამოკიდებული გახადონ მთლიანად ამ აიდი-ბარათზე. და ეს ფაქტებია. **ბარებია უკვე ესპანეთში, სადაც მხოლოდ ასეთი ადამიანები შედიან. უკვე ოფიციალური პრეზენტაციები გაიმართა ამერიკაში, ჩაიდგა ხალხმა ეს ჩიპი. ასე რომ, ასეთი ფაქტები ხდება და ჩვენ ამაზე თვალის დახუჭვის უფლება არ გვაქვს. რომ იცოდეთ, კომერციული დაინტერესებაც დგას ამის უკან. მე ათონის მთაზე ამაზე უარესი მითხრეს...**

**— ვინ და რა გითხრათ, არ გვეტყვით?**

— ბიზნესმენები დგანან ამ ელექტრონული მმართველობის რიგებში დაფინანსებისა თუ სხვადასხვა კომერციული დაინტერესებით. გონს მოვეგოთ, თორემ ქვეყნის დაშლა-განადგურება გაგრძელდება. აგერ, აჭარაში თურქული ექსპანსია გრძელდება. სახელმწიფოში სახელმწიფო მმართველი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, ვიღაცამ ვიღაცას პირადად აწყენინა თუ არა, არამედ უნდა ფიქრობდეს, ქვეყანას ვინ აწყენინა და როგორ შეიძლება ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს. ჩვენ რაღაც გზები უნდა გამოვნახოთ, რადგან არც თურქებს დავიწყებიათ აჭარა და არც სხვა მტრებს. უარესს გეტყვით, სხვადასხვა ლიტერატურა იქმნება (არ დავაკონკრეტებ), თითქოს საქართველოს ტერიტორია თავის დროზე მათი იყო, ამიტომ დღეს ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ათჯერ მეტი სიბრძნე და წერტილი დავუსვათ ურთიერთდაპირისპირებას.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ალექსანდრე ჭაჭია ნიჭიერი კაცია, ის პოლიტოლოგიც არის, მეცნიერიც, მას ძალიან საინტერესო ხედვა აქვს. ვინც თვალყურს ადევნებს მის გამოსვლებს, ინტერვიუებს წლების განმავლობაში, ყველა დამეთანხმება, რომ მისი ყოველი სიტყვა მართლდება, რასაც 15-20 წლის წინ ამბობდა, გამართლდა. ის ამჯერადაც არ შეცდება. მის მოსაზრებებს კარგად ვიცნობ, ვიზიარებ და სამწუხაროდ, ვეთანხმები, რომ არცთუ ჩვენთვის სასურველ კონტექსტში ყველაფერი წინ დაგვხვდება.“**

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# შენ არ გინდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება!

**პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება. მოსახლეობა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს კანდიდატების გამოსვლებს, მათ წინასაარჩევნო ლოზუნგებსა და პიარკამპანიებს; სახელისუფლო კანდიდატის კამპანია ძალიან ჰგავს წინა ხელისუფლებისას, „ოცნებაც“ კონცერტებისა და ცეკვა-თამაშის ფონზე ცდილობს, ახალგაზრდების გულის მოგებას, რაც ძალიან ადვილია, მაგრამ რა გითხრათ უფროს თაობაზე, რომელიც უკვე აღშფოთებას ველარ მალავს იმის გამო, რომ არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არ საუბრობს. აქამდე რაღაც მონახაზი მაინც ჰქონდათ, თუნდაც ტყუილად და ხალხის თვალის ასახვევად, მაგრამ დღეს თითქოს პირი შეკრეს და აღაფერს საუბრობენ. ვითომ სიურპრიზს გვიკეთებენ და, სულ რომ არ ველოდებით, ისე დააბრუნებენ დაკარგულ მიწა-წყალს? ამ აზრსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ხალხს სულ სხვა რამის ეშინია... მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, სწორ გზაზე, რომელსაც საქართველო უნდა დაადგეს, არჩევანზე, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს, სიმართლეზე, რომელიც უნდა გაირკვეს... „საქართველო და მსოფლიოს“ ჯუმბერ პატიაშვილი ესაუბრება.**



— საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რაც არჩევნები ჩატარდა, ყველა დანაშაულებრივი იყო და დღეს თითქმის არავის სჯერა, რომ არჩევნები ობიექტურად ჩაივლის. აუცილებლად უნდა გამოიძიონ განვლილ წლებში არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი მანიპულაციები და სათანადოდ შეაფასონ.

ამ მანიპულაციათა გამო, ამომრჩეველთა დიდი ნაწილიც თავისდაუნებურად დანაშაულებრივი მოქმედებების მონაწილე გახდა.

**დასავლეთში რომ გაიძახიან, 1 ოქტომბერს არჩევნებით ხელისუფლების გადაბარება დიდი მიღწევა იყოო, ეს ასე სულაც არ არის; უბრალოდ, ის ადამიანები, რომლებიც ხალხის ნებაში ხელებს აფათურებენ და გვიგეგმავენ, რა უნდა გავაკეთოთ, მიხვდნენ, რომ პროცესები შორს წავიდა და უნდა შეეჩერებინათ. სულ ეს იყო.**

ქვეყანა სწორ გზას არ ადგას. ანტიდასავლური ორიენტაციის არ ვარ ან რატომ უნდა ვიყო?! არც ჩვენი წინაპარი იყო დასავლეთის წინააღმდეგი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ ყველა ამორალური, ანტირელიგიური, ანტიადამიანური წესი დაამკვიდრო, რომელსაც დასავლეთი თავს გახვევს. ჩვენი ვაიპოლიტიკოსები დასავლეთის გულის მოსაგებად ყველაფერზე ხელს აწერენ, საინტერესოა, რატომ დადიან ისინი ასე ხშირად ვაშინგტონსა და ბრიუსელში, ჩამოდიან და იქ დამოძღვრილები ათას საძაგლობას გვიქადაგებენ. **ქართველი პოლიტიკოსები მაკკეინის დარიგებებს უსმენენ, არა მგონია, მაკკეინს უფრო უყვარდეს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე ქართველს. მას სისხლის დაღვრის სურვილი აქვს, ეს მარტო რუსეთის სიძულვილიდან არ გამომდინარეობს, ის ასეთია და მისი ბიოგრაფია ამის დასტურია.**

**— ბატონო ჯუმბერ, როგორ ფიქრობთ, დღეს ხელისუფლებაში მყოფი რომელიმე პარტია თუ შეძლებს ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენებას?**

— დააკვირდით, როგორ გაქრა აფხაზეთის თემა პოლიტიკოსების გამოსვლებიდან, ვინმე ახსენებს აფხაზეთის პრობლემას? **როგორ შეიძლება, რომ სამომავლო კეთილდღეობაზე მზრუნველმა, მომზადებულმა პოლიტიკოსმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა წინ არ წამოსწიოს?! ეს საკითხი თუ უმთავრესი არ იქნება, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი ფუჭია და ყველა მორიგი ხელისუფლება იქნება მონა-მორჩილი იმ ქვეყნებისა, რომელთა ჩარევითაც ისინი მოდიან და ფინანსდებიან.**

მინდა, დაფინანსებაზე ვთქვა: რატომ არავინ კითხულობს, ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია საიდან ფინანსდება? არის ასეთი ცნობილი ფორმულა: „არც ერთი დოლარი არ გაიცემა გარკვეული პოლიტიკური დაკვეთისა და ინტერესის გარეშე“. არავინ დაიჯეროს, რომ რომელიმე ქვეყანა იზრუნებს საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებაზე. **პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს წინა პლანზე არ წამოწევს და არ გაითვალისწინებს არსებულ რეალურ სიტუაციას, რომლის გარეშეც დაკარგული ტერიტორიების აღდგენა შეუძლებელი იქნება, მხარდაჭერის არავითარი სურვილი არ მაქვს.** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია იქ მცხოვრები ადამიანების ჩვენთან თანაცხოვრების სურვილის გარეშე. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს თვალს თუ გადავავლებთ, არა მგონია, ვინმეს აქ ცხოვრების სურვილი გაუჩნდეს.

არ ვიცი, ქართველ პოლიტიკოსებს რატომ უჭირთ იმაზე საუბარი, რომ **რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის გარეშე ქვეყნისთვის უმთავრესი პრობლემა არ მოგვარდება.**

**— სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემამ მესამე ადგილზე გადაინაცვლა. არის თუ არა ეს ქართულ მენტალიტეტზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგი?**

— რა თქმა უნდა, არის. მესამე ადგილზე გადავიდა კი არა, ზოგიერთს აღარც ახსოვს, რომ ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, მათ შორის, თავად ლტოლვილებსაც. ეს თემა სხვა უმნიშვნელო საკითხებით გადავფარეთ და, რაც დრო გადის, მივიწყებას მიეცა. ჩემთვის აფხაზეთი მარტო ნოსტალგია არ არის, ჩემი წარსული და ისტორიაა. არ მომწონს ის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ შეიძლება ადამიანმა გამოთქვას საკუთარი, რეალური მოსაზრება, ჩამოაყალიბოს გეგმა იმისა, რომლითაც შესაძლებელია ტერიტორიების დაბრუნება.

**— ბატონო ჯუმბერ, თქვენ საუბრობდით სამართლიანობის აღდგენაზე, დანაშაულზე და იმაზე, რომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. როგორია თქვენი სიმართლე, რა დანაშაულზე საუბრობთ?**

— დანაშაული იყო სამოქალაქო ომი, რომლის საფუძვლიანი კვლევა არ ჩატარებულა — დამნაშავე არ გამოვლენილა. ასევე არ გამოუკვლევიათ მთელი ამ წლების განმავლობაში არჩევნებში ჩადენილი დანაშაულები, დანაშაული იყო ქონების გადანაწილებაც. **საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ერთ საქმეს ემსახურებოდნენ. დავასახელებ თუნდაც მეტრომშენებლებს, რომლებმაც წლები მიწის ქვეშ გაატარეს, ამოვიდნენ იქიდან და 8 ლარი დაუნიშნეს პენსია. ამ დანაშაულის ჩამდენთა სახელებისა და გვარების გარკვევა იოლი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. საქართველოს ქონება ისე აქვთ გაცემული და გასხვისებული, რომ ერთ ნათესაურ წრეში ტრიალებს.**

ქვეყანაში ლითონი აღარ დარჩა, მახსოვს, ფერადი ლითონის გატანაზე საკითხი დაისვა, იყო ასეთი პიროვნება შადმან ვალავი, ავანტიურისტი, რომელიც საქართველოს კატეგორიულად სთხოვდა, ფერადი ლითონის გატანის შესახებ კანონი მიეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკიდან დაფინანსებას ვერ მიიღებთო.

ერთი უმთავრესი პრობლემა კი ჩვენი ქვეყნისთვის ეს კრედიტებია, რომელთაც ასე უხვად გვაძლევენ. შენ, ქართველო, უსინდისო მოქალაქევ, რომ მიიღე ეს კრედიტები და არაფერში გამოიყენე, არ ჩადე სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში, მრეწველობაში, რატომ წაიღე? სად წაიღე? ვის ჯიბეში ჩავიდა? ამ საკითხებს გამოძიება და თავისი სახელის დარქმევა სჭირდება.

ქვეყანას 12 მილიარდი ვალი აქვს, ამას გადახდა არ უნდა? ბიუჯეტის ზრდაზე რომ საუბრობენ, ბიუჯეტი რით უნდა გაიზარდოს? თქვენ, ჟურნალისტები ამით რატომ არ ინტერესდებით? არ არსებობს წარმოებები, ამიტომ შემოსავალი სხვა გზებიდან უნდა ეძებონ; ერთ მშვენიერ დღეს, კი ბიუჯეტი ბუშტივით გასკდება.

ყველა პიარკამპანია, რომელსაც ახლა აწარმოებენ და არჩევნებსაც იგებენ, ტყუილია. **ამერიკა ფულს მოგვცემს, მაგრამ აუცილებლად მოაყოლებს მითითებას, თუ რა უნდა გააკეთო, რაში დახარჯო და რაში არა, დავალების შესრულება კი ყოველთვის შენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვკარგავთ ყველაფერს — თავისუფლებასაც და ეკონომიკასაც.**

სოფელ წეროვანში, სადაც ვცხოვრობ, 60 ჰექტარი მიწა გაიყიდა, რომელსაც მოსახლეობა საძოვრებად იყენებდა. გამგეობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიწა პრივატიზებიდან იყო ამოღებული, მაგრამ თურმე შარშან კვადრატული მეტრი 3 თეთრად ვიღაც არაბისთვის მიუყიდიათ, რომელიც ახლა მოსახლეობას ეუბნება, რომ ბინები და საწარმოები უნდა ავაშენოო, ხალხი თითქოს სამსახურებს ელოდება, მაგრამ არავინ იცის, ეს როდის მოხდება, ამ დროისთვის კი მათ საარსებო აღარ დარჩათ. ეს თანხა ვინ წაიღო და მიითვისა, კაციშვილმა არ იცის. ამას საგაზეთოდ იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან მაწუხებს.

**ქვეყანაში გაუქმდა ინსტიტუტები, მიითვისეს და გასიებულები ტელევიზიიდან ჭკუასაც გვარიგებენ. ეს არ არის დანაშაული, რომელსაც გამოძიება სჭირდება? ისინი სიბინძურით გამოირჩევიან და შენ ამ სიბინძურეზე პასუხსაც ვერ სცემ. არადა, ყველამ ყველაფერი იცის. ქართული თავმოყვარეობა, ზნე-ჩვეულება იკარგება.**

მომავალს იმედის თვალით მაშინ შევხედავ, თუ იმას, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, სამართლებრივი სახე მიეცემა.

**— ბატონო ჯუმბერ, რას იტყვით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობასა და ნატოში ინტეგრაციაზე?**

— რუსეთის ფაქტორზე მინდა ვისაუბრო. ყველა ადამიანმა სათქმელი პირდაპირ უნდა თქვას. განსაკუთრებით რუსებს ძალიან უყვართ პირდაპირ საუბარი. მათთან უნდა დაჯდე და ჰკითხო, რა უნდათ, რას ითხოვენ. ქართველი პოლიტიკოსები სულ ამერიკაში დადიან და იქ რაღასაც ეძებენ... აი, მაგალითად, შეუძლებელია, არ ვახსენო ზურაბ ხარატიშვილი, რომელმაც ერთი კვირით ადრე პრესკონფერენცია გამართა, არჩევნებზე ისაუბრა, მერე ამერიკაში წავიდა, დაბრუნდა და პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა. დღეს რა განცხადებებსაც აკეთებს, ამის შეფასებას არ ვაპირებ, მაგრამ რა ძალა ამოუდგა მხარში?! რა არის ეს? ვისთან არის დაკავშირებული? რას აძლევენ ამისთანას ამერიკაში, რა იდეოლოგიური დატვირთვა აქვს ამერიკელების დარიგებას ისეთი, რომ საქართველოს გადარჩენაზე საუბრობს ყველა იქიდან დაბრუნებული, ვერ ვხვდები!

ვთვლი, რომ **ნამდვილი სახალხო გამოკითხვა ნატოს შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით ხელახლა უნდა ჩატარდეს.**

საარჩევო კომისია დანაშაულებრივი სტრუქტურაა, რომელიც, რასაც უნდა, იმას აკეთებს, ანუ რასაც უბრძანებენ. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. საარჩევნო კომისიის სიყალბეზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ **რეფერენდუმის დღე მინდა გავიხსენო, დღე, როდესაც ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა, გვინდოდა თუ არა ნატოში შესვლა. გახსოვთ, ალბათ, თავდაპირველად 62 პროცენტი გამოქვეყნდა, მაგრამ დასავლეთმა არ მოიწონა და უცბად 75 პროცენტი გახდა. თუ შენ ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობ და ნამდვილად გინდა დაბრუნება, რეფერენდუმში რატომ არ ითვალისწინებ აფხაზებისა და ოსების აზრს? ამ ტერიტორიებზე ხომ არ ჩატარებულა რეფერენდუმი, იქაურ მოსახლეობას ხომ არ გამოუხატავს საკუთარი მოსაზრება? ისინი ნატოში შესვლას მხარს არასოდეს დაუჭერენ, შენ კი ეს ზუსტად იცი და კიდევ უფრო უპირისპირდები აფხაზს, ოსს და რუსს, აქედან ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება — შენ არ გინდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება!**

**— ბატონო ჯუმბერ, ალექსანდრე ჭაჭიამ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ფრიად არასახარბიელო პროგნოზები გააკეთა და ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი გააკრიტიკა.**

— **ალექსანდრე ჭაჭია ნიჭიერი კაცია, ის პოლიტოლოგიც არის, მეცნიერიც, მას ძალიან საინტერესო ხედვა აქვს. ვინც თვალყურს ადევნებს მის გამოსვლებს, ინტერვიუებს წლების განმავლობაში, ყველა დამეთანხმება, რომ მისი ყოველი სიტყვა მართლდება, რასაც 15-20 წლის წინ ამბობდა, გამართლდა. ის ამჯერადაც არ შეცდება. მის მოსაზრებებს კარგად ვიცნობ, ვიზიარებ და სამწუხაროდ, ვეთანხმები, რომ არცთუ ჩვენთვის სასურველ კონტექსტში ყველაფერი წინ დაგვხვდება.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ჩვენს საზოგადოებას კულტურა და თავშეკავება არ ესწავლება, ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ ოდიოზურ ფიგურებს პირდაპირ ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. მე იმას არ ვამბობ, რომ აქაც ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ ეს ორი ადამიანი, პაიჭაძე და კვესიტაძე, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დაეზაფრათ საზოგადოება; ასე მოწამლულები და მოშხამულები ვიყავით წლების მანძილზე, ახლა რატომ გიკვირთ, რომ აგრესიულია ხალხი?!“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გია კორკოტაშვილი: ნორლანდმა რომ თქვას, ჩინგიზ ყაენი დასვით ეთერშიო, მივიყვანოთ ტელევიზიაში?!

**გასულ კვირას საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გადაცემა „კორკოტას დილის“ წამყვანი გია კორკოტაშვილი.**



**— ბატონო გია, ამ დღეებში საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით განვითარებულმა პროცესებმა და ვნებათაღელვამ წინასაარჩევნო ბატალიებიც კი ნაწილობრივ გადაფარა. გასულ კვირას ორი აქცია გაიმართა ტელევიზიის შენობასთან და ორივე მცირე ინციდენტით დასრულდა. იქნებ კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, კონკრეტულად რა არის თქვენთვის მაუწყებლის მოქმედი ბორდის მუშაობაში მიუღებელი?**

— ჩვენ, „სამოქალაქო სოლიდარობის“ წარმომადგენლები, 18 სექტემბერს შევხვდით ბორდის თავმჯდომარეს — ემზარ გოგუაძეს და ტელევიზიის დირექტორს, ბატონ თამაზ ტყემალაძეს. უბრალოდ, ვიკითხეთ, — რა ხდებოდა ტელევიზიაში, რა პროცესები მიდიოდა და მათ აგვიხსნეს. სხვათა შორის, ზუსტად იმ დღეს დაიწერა ტყემალაძის ბრძანება ძველი სატელევიზიო ბადის გაუქმებასთან დაკავშირებით და ამით, მოგეხსენებათ, ადრინდელი თოქშოუები მოიხსნა ეთერიდან. მერე იქ კონკრეტულად რა, როგორ გადაწყვიტეს, მე არ ვიცი, მაგრამ ამ ბადის გაუქმებაში მოჰყვა კვესიტაძისა და პაიჭაძის გადაცემებიც. ეს ფაქტი ყველამ იცის, მე შემდგომ მოვლენებზე გიამბობთ. მერე მოხდა ისე, რომ კვესიტაძემაც და პაიჭაძემაც თავი, პრაქტიკულად, პოლიტიკურ დევნილებად გამოაცხადეს, ჩაატარეს პრესკონფერენცია და საზოგადოებას ამცნეს, რომ თურმე მათ ვიღაც ავიწროებს. ახლა რა შეიძლება ამას დავარქვათ: **ორი ჟურნალისტი, როგორც თითონ უწოდებენ საკუთარ თავს, ამბობს, გვდევნიანო, როცა ცხრა წლის მანძილზე სააკაშვილის ზონდერჯალათები თავპირს გვალეწავდნენ და ხმის ამოღებას არ გვაცლიდნენ, თურმე დემოკრატია ყოფილა... კარგით რა, თქვე კაი დედ-მამის შვილებო, პირი გამოირეცხეთ და ისე ილაპარაკეთ!**

**— ფაქტია, რომ კვესიტაძეც და პაიჭაძეც ამ ეტაპზე პროფესიულ საქმიანობაში გარკვეულწილად შეიზღუდნენ.**

— ეს საზოგადოებრივი მაუწყებელია და ხალხი წყვეტს, ვინ იქნება იქ, ვინ — არა. თქვენ გადაიხდით ფულს იმაში, რაც არ გინდათ და არ გჭირდებათ?! ასეა აქაც, ვინც მიუღებელია მაყურებლისთვის, ის არ უნდა იჯდეს მოსახლეობის ფულით დაფინანსებული ტელევიზიის ეთერში.

**— რა იცით, რომ საზოგადოება ამ გადაცემების დახურვის მომხრეა? მსგავსი მოთხოვნით არც ერთი აქცია არ ჩატარებულა.**

— აქცია რად უნდა ამას, მაინცდამაინც ქუჩაში უნდა გამოვსულიყავით, რომ ამ ორი ადამიანის მიმართ ანტიპათია გამოგვეხატა? არ უნდა მჯდარიყვნენ ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში და მორჩა! ეს ხალხის სურვილი იყო; თუმცა, ამის მიუხედავად, კვესიტაძესაც და პაიჭაძესაც მომავალი თოქშოუების ბადეში შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, პოლიტიკური გადაცემების გარდა.

**— და პოლიტიკურ გადაცემებში რატომ დაბლოკეს ისინი?**

— ამას დაბლოკვა არ ჰქვია, ამას ჰქვია არხის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება. ანდა გაუგებარი რა არის აქ?! **ყველა ტელევიზიაში ეთერს უთმობენ რეიტინგულ ჟურნალისტებს, რომელთა მიმართაც ხალხი სიმპათიითაა განწყობილი; კვესიტაძე და პაიჭაძე კი არ იყვნენ ასეთები და ვერც გახდებოდნენ, ისინი იყვნენ ოდიოზური ფიგურები.**

**— იყო საუბარი არხის დირექტორის შესაძლო შეცვლაზეც. ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გქონდათ?**

— ძალიან ბევრ რამეს მოვკარი ყური, განსაკუთრებით 18 სექტემბრის შემდეგ დაიწყო მითქმა-მოთქმა ამაზე. ერთ-ერთი ვერსიით, ტყემალაძეს გადაყენებას უპირებდნენ და მის ადგილას კოკო გამსახურდია უნდა დანიშნულიყო. არ ვიცი, ეს რამდენად ზუსტი ინფორმაციაა, მაგრამ ფაქტია, ასეთი რამ ითქვა...

**— როგორ ფიქრობთ, გამსახურდიას დანიშვნით ვინ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული?**

— თუ მისი კანდიდატურა რეალურად განიხილებოდა, ესე იგი ვიღაცას უნდოდა. რატომ, რისთვის, ამას მე ვერ გეტყვით და ვერც იმაზე გიპასუხებთ, რა კრიტერიუმებით შეიძლებოდა მისი არჩევა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: **დღევანდელი ბორდი არის თავიდან ბოლომდე დაკომპლექტებული „ნაციონალების“ დროს და იქ ვინ ვის ან რას ემსახურება, კაცმა არ იცის. ახლა რომ გითხრათ, ყველას ვენდობი-მეთქი, არ ვიქნები გულწრფელი...**

**— თქვენ ბორდის სხდომაზე დასწრებას ითხოვდით, მაგრამ არ მოგცეს ამის უფლება. რისთვის გჭირდებოდათ ეს?**

— გითხარით და კიდევ ვიმეორებ: ეს ბორდი „ნაციონალების“ დროს დაკომპლექტდა, ამიტომ არ ვენდობი მას. გარდა ამისა, გვქონდა უეჭველი ინფორმაცია, რომ ტყემალაძის გადაყენებას აპირებდნენ...

**— კი მაგრამ, ბორდი თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს. თქვენი იქ ყოფნა ვინმეს, შესაძლოა, გარკვეულ ზეწოლად აღექვა.**

— ჩვენ არ ვართ არც ხელისუფლების და არც რომელიმე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჩვენ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები ვართ. ბორდს რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ ის სწორედ საზოგადოებამ უნდა მართოს და არც „ნაციონალების“ ბანდამ. რა არის ცუდი და მიუღებელი იმაში, თუ ხალხი მოითხოვს მისი ჯიბიდან დაფინანსებული ტელევიზიის კონტროლს?!

**— როგორც ვიცი, პაიჭაძესა და კვესიტაძეს კონტრაქტი 1 დეკემბრამდე ჰქონდათ. რატომ შეუწყვიტეს ვადაზე ადრე, როგორ ფიქრობთ?**

— არხის დირექტორს აქვს უფლება, მენეჯმენტი თვითონ განსაზღვროს, მოხსნას მთლიანად ძველი ბადე და შეადგინოს ახალი. ამ შემთხვევაში აქ უკანონოდ არაფერი მომხდარა, ყველა გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანად იქნა მიღებული.

**— ეს ერთი, რაც წესდებითაა განსაზღვრული, მაგრამ საინტერესოა, რა კრიტერიუმებით იქნა პაიჭაძისა და კვესიტაძის გადაცემების გაუქმების გადაწყვეტილება მიღებული?**

— იქ გაკეთდა ასეთი განცხადება: მათი ტონი არ შეეფერებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელსო. მეტსაც გეტყვით, **ქალბატონი კვესიტაძე და ბატონი პაიჭაძე საერთოდ მიუღებელნი არიან ტელეეთერისთვის. მთელი მათი ცოდნა და გამოცდილება ემსახურებოდა „ნაცმოძრაობას“, სააკაშვილ-მერაბიშვილის იდეოლოგიას და მათ გათეთრებას. აი, ამიტომ ვერ მიიღო ისინი ხალხმა და, როცა ხალხს არ უნდიხარ, მის სამსახურში ვერ იქნები.** ახლა უნდა გაიგონ ამ ადამიანებმა, რომ დამთავრდა ის დრო, ის შავ-ბნელი ეპოქა...

**— წინა კვირას (20 სექტემბერს) გამართულ აქციაზე დავით პაიჭაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.**

— ჩვენს საზოგადოებას კულტურა და თავშეკავება არ ესწავლება, ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ ოდიოზურ ფიგურებს პირდაპირ ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. მე იმას არ ვამბობ, რომ აქაც ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ **ეს ორი ადამიანი, პაიჭაძე და კვესიტაძე, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დაეზაფრათ საზოგადოება; ასე მოწამლულები და მოშხამულები ვიყავით წლების მანძილზე, ახლა რატომ გიკვირთ, რომ აგრესიულია ხალხი?!**

**— საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები აქტიურად ადევნებდნენ თვალ-ყურს საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო განვითარებულ მოვლენებს. ამერიკის ელჩმა რამდენიმე მინიშნება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე პროცესები, შესაძლოა, არხზე გარკვეულ ზეწოლად აღიქმებოდეს.**

— ჩემო კარგო, გამოვიდეთ ამ რაღაც უაზრო დილემიდან, ამ მეშჩანური მომენტიდან... ვიცი, რომ მაგათ ქვეშ ვართ, მაგრამ შენც სულ მთლად ხომ არ დაუწვები?! ჩვენ ელემენტარულად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აქ იმართებოდეს ეს ქვეყანა და მუდმივად არ ვიყოთ საცდელი ცხოველების მდგომარეობაში. მე თუ მკითხავთ, ამაზე დიდი მიზანი და ამოცანა, მოცემულ ეტაპზე, ქართველ ხალხს არ აქვს. ესაა, პირველ რიგში, მისაღწევი და მერე ილაპარაკე რაზეც გინდა — თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე თუ სუვერენიტეტზე...

**— გასაგებია, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების აზრი ხომ მნიშვნელოვანია?**

— აზრის გათვალისწინებაზე არაა აქ ლაპარაკი, ჩვენ ახლა ერის ღირსებაზე ვსაუბრობთ. **საქართველოში კი როგორც მიდის დღესდღეობით მსჯელობა, ყველა ვხედავთ — ნორლანდმა რა თქვა, ნეტავ? მერე ამის მიხედვით ეწყობა ყველაფერი. ვართ ამ გაურკვევლობაში. იცით რა, ნორლანდს ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მაგრამ ის არის ამერიკის ელჩი დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ყველა დაეტიოს თავის ადგილზე და ყველამ იცოდეს, რის უფლება აქვს, რის — არა...**

**— დღევანდელი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც წინა, თვლის, რომ ამერიკა საქართველოს ნომერ პირველი მეგობარია.**

— მეგობარი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესი, ყველასთან უნდა ილაპარაკო და ითანამშრომლო, მაგრამ მთავარია, რის ხარჯზე აკეთებ ამას. თუ შენ ხმას ვერ იღებ და, ფაქტობრივად, მითითებების უსიტყვოდ შემსრულებელი ხარ, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?! მაშინ ჩაგვიდგან ჩიპები, გადაგვკიდონ ხელზე თეთრეული და მომსახურე პერსონალად ვიქცევით მთელი საქართველო. სხვა, აბა, **ვის რა უფლება აქვს, ასე უხეშად ჩაერიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიდა საქმეებში?!** მით უფრო **არ მესმის, რატომ უნდა ვკითხო ნორლანდს, ეკა კვესიტაძე გადადგეს თუ არა და საზოგადოებას უფლება აქვს თუ არა, საკუთარი ჯიბიდან დაფინანსებული ტელევიზია აკონტროლოს.**

— დავით პაიჭაძემ წინა კვირას პრესკონფერენციაზე გაეროს მონაცემი მოიშველია და განაცხადა, რომ მის გადაცემას თურმე მაღალი რეიტინგი ჰქონდა, იგივე თქვა კვესიტაძის თოქშოუზეც.

— რა შუაშია გაერო! **პაიჭაძე ტელევიზიაში იყოს თუ არა, გაერომ უნდა განსაზღვროს ეს?! აი, ამაზე ვგიჟდები... ესე იგი ნორლანდმა რომ თქვას, ჩინგიზ ყაენი დასვით ეთერშიო, მივცეთ გადაცემა ჩინგიზ ხანს?! დამთავრდა ამათი დრო და რატომ არ უნდათ ამის გაგება?! გაერომ კი არა, მართლა მთელმა მსოფლიომ რომ მოითხოვოს პაიჭაძისა და კვესიტაძის გადაცემების აღდგენა, არ მიიღებს მათ ქართველი ხალხი.**

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ ეს გადაცემები მომავალში აღდგეს?**

— „ნაცებს“ რომ ვუყურებ, გამორიცხვით ნამდვილად ვერაფერს გამოვრიცხავ, დღეს აქ პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია. ფაქტობრივად, უკონტროლო პროცესი მიდის, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

«ქალბატონი კვესიტაძე და ბატონი პაიჭაძე საერთოდ მიუღებელნი არიან ტელეეთერისთვის. მთელი მათი ცოდნა და გამოცდილება ემსახურებოდა «ნაცმოძრაობას», სააკაშვილ-მერაბიშვილის იდეოლოგიას და მათ გათეთრებას»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე სამარცხვინო როლი უნდა ერგოს საქართველოს თავის ისტორიაში, რომ ქრისტიანების გაჟუჟვაში დაეხმაროს ამერიკას. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებიც საუბრობენ არამეულ ენაზე და ისინი არიან უძველესი ქრისტიანები. სხვათა შორის იქ სულ ერთი დასახლება აქვთ მათ და მე კადრები მაქვს ნანახი, რომლებშიც მუსლიმანები, ამერიკელების დახმარებით, 10-12 წლის ბავშვებს ხერხითა და ცულით აჭრიან თავებს. აი, ამაში უნდა მივიღოთ ჩვენ მონაწილეობა, რომ მერე, თუ რამე გაგვიჭირდება ვილაცამ შეშფოთება გამოხატოს.“**

# ირინა სარიშვილი: არჩევნების შემდეგ ივანიშვილი საქართველოს დატოვებს



## «თუ არ იქნება ქუჩიდან ძალიან ძლიერი ზეწოლა ხელისუფლებაზე, არ იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები»

**მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ხელისუფლების მიერ არჩეულ საგარეოპოლიტიკურ კურსსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი.**

**— ქალბატონო ირინა, პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 1 ოქტომბრამდე გვპირდებოდა, რომ ქვეყანაში ისეთ დემოკრატიას ააშენებდა, თვით ბებერ ევროპასაც კი შეშურდებოდა. არჩევნებამდე, ფაქტობრივად, ერთი თვე დარჩა და გარკვეული დასკვნების გამოტანა, ალბათ, უკვე შეიძლება. თქვენი აზრით, დღევანდელი ვითარება რამდენად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება?**

— საერთოდ, პრემიერმინისტრის სიტყვები არ გვაძლევს არაფრის დაჯერების საფუძველს, იმიტომ, რომ არც ერთი დანაპირები, რომლებიც მისგან და მისი არც თუ ისე ყველასთვის მოსაწონი გუნდისგან მოვისმინეთ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, შესრულებული არაა. ეს დაპირებები დარჩა დაპირებებად, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი; თუმცა სააკაშვილი პრეზიდენტი ისედაც ვერ იქნებოდა, თვითონ ივანიშვილსაც რომ დაეჭირა მხარი. რაც შეეხება დანარჩენს, ერთადერთი, რაც შესრულდა, ისაა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ გავიდა პირველ ადგილზე. კი, ბატონო, ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ შესრულებას იმწამსვე მინუსი მოჰყვა — 25 პროცენტი, ფაქტობრივად, საჩუქრად გადასცეს ამჯერად უკვე 40-პროცენტიან „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში, ანუ მე რისი თქმა მინდა: **რეალურად რაში მდგომარეობს „ქართული ოცნების“ გამარჯვება, გაუგებარია, ვინაიდან საგარეო პოლიტიკით დაწყებული, დამთავრებული საშინაოთი, აბსოლუტურად იმავე პრინციპებით გრძელდება ქვეყნის მართვა.**

**— თერთმეტი თვის ვადაში შეიძლებოდა ამაზე მეტის გაკეთება?**

— გასაგებია, რომ სოციალური პრობლემების მოგვარება ასე მარტივად შეუძლებელია, მაგრამ ის, რომ კიდევ უფრო დამძიმდეს მდგომარეობა და ცხოვრება გაუსაძლისი გახდეს, უკუსვლაა.

**— ხელისუფლება გვპირდება, რომ წინსვლას ოთხი წლის შემდეგ ვიგრძნობთ.**

— თავის დროზე იმავეს გვეუბნებოდნენ „ნაცებიც“. სხვათა შორის, ისინი არსად წასულან, მიდის მარტო მიშა და ციხეშია მარტო ვანო მერაბიშვილი. ყველა დანარჩენი კრიმინალი, რომლებსაც დღევანდელი ხელისუფლება უწოდებდა დამნაშავეს, ახლა კოაბიტაციაში არიან „ოცნებასთან“. ისე, სიმართლე გითხრათ, ეს საერთოდ არ მიკვირს, იმიტომ, რომ **მე ძალიან კარგად ვიცნობ რესპუბლიკელებს, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიით ტყუპისცალივით ჰგვანან „ნაციონალებს“. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ მათ შორის განხეთქილება არა იდეოლოგიის ან რაიმე პრინციპების შეუთავსებლობის საფუძველზე, არამედ თანამდებობებზე შეუთანხმებლობის გამო მოხდა.** აქედან გამომდინარე, ჩვენ დღეს მივიღეთ ის, რომ ხალხის მთავარი დაკვეთის — სოციალური პირობების გაუმჯობესების პერსპექტივაც არ ჩანს.

**— რამდენიმე დღის წინ სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, არჩევნებში მარგველაშვილის მხარდაჭერა ჩემს მხარდაჭერას ნიშნავსო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის საკუთარი რეიტინგის გადალოცვას ცდილობს „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატისთვის.**

— ვერ დაგეთანხმებით, ის ამას არ ცდილობს. უბრალოდ, ბიძინა ივანიშვილი ძალიან ამპარტავანი ადამიანია. წესით, „ოცნების“ კანდიდატს თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, ასეთი განცხადების შემდეგ კენჭი არც უნდა იყაროს; **რეალურად ივანიშვილი აცხადებს: მარგველაშვილს, რომელიც შეიძლება არაფერს წარმოადგენს და სიცარიელეა, მარტო იმიტომ უნდა მისცეთ ხმა, რომ მე ვუჭერ მას მხარსო. ეს არის პირდაპირი შეურაცხყოფა და სხვათა შორის ის ძალიან ადვილად აყენებს ხოლმე ადამიანებს შეურაცხყოფას.** არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი, მისი ფინანსური მდგომარეობა თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, **მისთვის ძალიან იოლია ვინმეს დამცირება.**

**— ივანიშვილმა ისიც განაცხადა, ხელისუფლებაში საზოგადოების საუკეთესო ნაწილს ვტოვებო.**

— მის განცხადებებს მე უკვე სერიოზულად აღარ აღვიქვამ მარტივი მიზეზის გამო: ბევრჯერ თქვა მან რაღაც, შემდეგ ნახევარ საათში გამოვიდა მისი „კორექტორი“, შეთავსებით, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და განაცხადა, რომ პრემიერს ასე კი არ უთქვამს, ასე თქვაო. თავიდან მეგონა, ეს ჩვეულებრივი ენობრივი პრობლემა იყო, მაგრამ დღემდე ვერ დავადგინე, რომელ ენაზე არ აქვს ამ ადამიანს მსგავსი პრობლემა.

## «ივანიშვილი იყო, არის და დარჩება ბიზნესმენად, რომლისთვისაც საქართველო კორპორაციაა»

**— რატომ მოსდის მას ასეთი შეცდომები, როგორ ფიქრობთ?**

— ის ან არ უკვირდება, რას ამბობს, ან საერთოდ არ აინტერესებს. **ბიძინა ივანიშვილი იყო, არის და დარჩება ბიზნესმენად, რომლისთვისაც საქართველო არის კორპორაცია;** სწორედ ამის გამო რა დღეშია დღეს ბიზნესი? ყველა ვხედავთ, ერთადერთი ინვესტორი ქვეყანა, რომელიც აქ დაშვებულია და ისიც ამერიკის დიდი ზეწოლით, თურქეთია. სხვა დანარჩენები სად არიან? ვიმეორებ: **თურქმა ინვესტორებმა, პირდაპირი გაგებით, წალეკეს აჭარა. მომავალში, ალბათ, სხვა რეგიონებშიც გამოჩნდებიან.**

**— რაც შეეხება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივას, დღემდე გვესმის, რომ ჩვენთვის ნატოს კარი ღიაა. როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით რეალურად რა შანსები გვაქვს?**

— შანსებზე ლაპარაკი ნამდვილად ზედმეტია, მაგრამ აგერ რა განცხადებებს აკეთებს თავდაცვის მინისტრი: 2014 წელს ქართული ჯარი, უკვე სავალდებულო წესით იქნება ჩართული ამერიკისა და ნატოს სწრაფი რეაგირების ოპერატიულ ღონისძიებებშიო. ეს რასაც ნიშნავს, ყველამ მშვენივრად ვიცით, ისევე, როგორც ყველამ ვიცით, რას ეწოდება ე.წ. სამშვიდობო ოპერაციები, რომლებსაც შეერთებული შტატები აწარმოებს ავღანეთსა თუ ერაყში.

**— ახლა სირიაშიც მზადდება გარკვეული ღონისძიება.**

— აქ, ალბათ, **ყველაზე სამარცხვინო როლი უნდა ერგოს საქართველოს თავის ისტორიაში, რომ ქრისტიანების გაჟუჟვაში დაეხმაროს ამერიკას. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებიც საუბრობენ არამეულ ენაზე და ისინი არიან უძველესი ქრისტიანები. სხვათა შორის იქ სულ ერთი დასახლება აქვთ მათ და მე კადრები მაქვს ნანახი, რომლებშიც მუსლიმანები, ამერიკელების დახმარებით, 10-12 წლის ბავშვებს ხერხითა და ცულით აჭრიან თავებს. აი, ამაში უნდა მივიღოთ ჩვენ მონაწილეობა, რომ მერე, თუ რამე გაგვიჭირდება ვილაცამ შეშფოთება გამოხატოს.** ამაზე დიდი სამარცხვინო ლაქა ჩვენს ქვეყანას თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონია.

**— არჩევნების შემდგომი პროცესები როგორ წარმოგიდგენიათ? ბევრი ფიქრობს, რომ კოალიცია დაიშლება.**

— როდესაც მარგველაშვილი გაიმარჯვებს და, დიდი ალბათობით, ეს ასე მოხდება მეორე ტურის გარეშე, იმიტომ, რომ ივანიშვილი აქამდე არ მიიყვანს საქმეს, კოაბიტაცია უკვე „გაპრავებული“ იქნება და სულ სხვა რეალობას მივიღებთ. კოალიცია „ქართული ოცნება“ დღესვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აღარ არსებობს, მაგრამ შემდეგ ის ფორმალურადაც დაიშლება, შედეგად ჩამოყალიბდება არა ერთგუნდიანი კოალიცია, არამედ კლასიკური ტიპისა, რომელშიც იქნება ორი „მოწინააღმდეგის“ — რესპუბლიკელებისა და ნაციონალების ტანდემი.

**— რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებს, თითქმის ყველა მათგანის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ ეს?**

— სანამდე მიგვიყვანა ამ გიგანტ სახელმწიფოსთან დაპირისპირებამ, ყველა ვხედავთ. მე იმის თქმა არ მინდა, რომ პიროვნებები წყვეტენ რამეს, არა, აქ მთლიანად პოლიტიკაა შესაცვლელი და გადასახედი.

**— ხედავთ დღეს ამის წინაპირობებს?**

— როცა ვსაუბრობ ცვლილებაზე, აქ იგულისხმება საგარეოპოლიტიკური კურსის ქირურგიული სისწრაფით შეცვლა, ანუ რადიკალურად. რაც შეეხება თქვენს კითხვას, არ მოსულა დღეს ის ხელისუფლება, რომელიც ამას აპირებს..

**— ესე იგი ამ ხელისუფლების პირობებში პოლიტიკის ძირეულ ცვლას არ უნდა ველოდოთ?**

— ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, ისევე, როგორც, **თუ არ იქნება ქუჩიდან ძალიან ძლიერი ზეწოლა ხელისუფლებაზე, არ იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.** თავისით ესენი ამას არ იზამენ, იმიტომ, რომ დღევანდელ უმრავლესობაში მყოფთაგან ბევრი სიზმარშიც ვერ ნახავდა იმ სავარძელს, რომ არა ივანიშვილის ლოკომოტივი.

**— ქუჩის აქციებს ორგანიზება სჭირდება. ვინ არის დღეს ქართულ პოლიტიკაში ამის გამკეთებელი?**

— მე საერთოდ ვთქვი ის, რაც საჭიროა, ხოლო რამდენად მოხერხდება ამის გაკეთება, უკვე სხვა თემაა. ერთ რამეში ნამდვილად დარწმუნებული ვარ: ეს რომ არ მოხდეს, ამაზე „ნაცები“ და „ქოცები“ ერთად იზრუნებენ. მათი ინტერესები იკვეთება; იმიტომ, რომ ისინი დღეს ერთმანეთის არსებობას განაპირობებენ. მე, სხვათა შორის, **ძალიან მაფიქრებს ბოლო დროს გახშირებული ცრუ ზარები სხვადასხვა დაწესებულებაში ბომბის არსებობასთან დაკავშირებით. პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ აქ ვხედავ „ნაციონალ“ ორგანიზატორებს. ამაზე შეგვიძლია უფრო ვრცლადაც ვისაუბროთ, მაგრამ ზარების საწინააღმდეგო არც „ქოცებს“ არ აქვთ არაფერი. ეს ცალსახაა და ნათლად ჩანს, რომ ეს ორი პოლიტიკური სუბიექტი უკვე, ფაქტობრივად, შეთანხმებულ თამაშს თამაშობს.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ცრუ ზარები?**

— **მიზანი არის ის, რომ ქვეყანაში შეიქმნას არეულობის პრეცენდენტი და გაჩნდეს უზარმაზარი შიში, რათა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხალხთან ქუჩაში არ გამოვიდეს.** მე არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდეც კი, ანუ ბიძინა ივანიშვილის აქ ყოფნის დროს, ან თუნდაც წასვლის დღეებში აქ პატარა სცენარი გათამაშდეს რაღაც დესტაბილზაციის. ამისთვის კი საჭიროა, გამოჩნდეს რაიმე ორგანიზაცია, რომელიც ვითომ ვიღაცას იარაღით დაუპირისპირდება და მერე ისეთი ძალით მოხდება ამის ჩახშობა „ნაცებისა“ და „ქოცების“ ერთობლივი მოქმედებით, რომ არავის გაუჩნდება გარეთ გახედვის სურვილი. ჩვენ ამის მწარე გამოცდილება გვაქვს და ამის სერიოზულად მეშინია.

**— ბოლოს ისევ არჩევნებზე გკითხავთ: მოგეხსენებათ, ორმოცდაათზე მეტი კანდიდატია დარეგისტრირებული და, თქვენი აზრით, ეს როგორ იმოქმედებს საბოლოო შედეგებზე?**

— ეს კანდიდატების სიმრავლეც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას მოახლოებული არჩევნების მიმართ. ფაქტობრივად, არც ერთი სია არ მოწმდება. ასე რომ არ იყოს, იქ იმდენი გიჟია, თქვენ გჯერათ, რომ მათ მართლა მოაგროვეს 26 ათასი ხელმოწერა?! პირდაპირ ვამბობ, **ეს იქნება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უტიფარი არჩევნები, რომელიც კი ჩატარებულა საქართველოში. თვითონ ბიძინა ივანიშვილს რაც შეეხება, ის, ალბათ, დატოვებს არა მხოლოდ პოლიტიკას, საქართველოსაც, ვინაიდან ეს ადამიანი ახლა მავრის როლშია, რომელმაც საქმე გააკეთა და თავის გზით უნდა წავიდეს.** რაც მთავარია, მან შეასრულა ამოცანა — ამერიკელებს არ ჩაუყარა მილიონები წყალში და მოახდინა „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ჩვენც გვყავდა ოჯახები, ჩვენც გვშიოდა და არა მარტო გვშიოდა: გვცემდნენ, გვარბევდნენ, გვაპატიმრებდნენ, ციხეებით გვაუპატიურებდნენ, გვხოცავდნენ, მაგრამ ქაქის ჭამა არ დაგვიწყია!**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კუჭი და ზნეობა, ანუ შევუნდოთ თუ...

**ვფიქრობ, ვცდებოდით, ლამის ყველა უბედურების სათავე — კოჰაბიტაცია მარტოდენ ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ შემოგდებული რომ გვეგონა. არა, ტერმინის პოლიტიკური კონტექსტი ნამდვილად იქიდან „შემოგვიგდეს“, მაგრამ შინაარსობრივად, ყოფით დონეზე, რომ დიდი ხანია უზნეობასთან კოჰაბიტაციას ვუყურებთ, ამაში, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ტელეეთერში ეკას მოსმენისას.**



2011 წლის 26 მაისი. ასფალტს პარლამენტის წინ ჯერ კიდევ სისხლის ოხშივარი ასდის. ნინი ბადურაშვილი სააკაშვილს უმღერის

ეს ტელეეთერი **უცნობს** მიეძღვნა, მისი ერთგვარი რეაბილიტაციის მცდელობა იყო, თუმცა, უამრავი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ვფიქრობ, **უცნობს** სარეაბილიტაციო ბევრი არაფერი აქვს — 7 ნოემბრის, განსაკუთრებით აგვისტოს ომობანას, შემდეგ დაზაფრული, გულგატეხილი ქართველი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეში, ამ ნიჭიერი შოუმენის „საკანმა“ დიდი როლი ითამაშა. პირადი მამაცობის მაგალითიც გვიჩვენა, როდესაც 6 მაისის გიორგობას პოლიციის სამმართველოს (კრაზანების ბუდეში) ეზოში ჩახტა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მისი „საკნიდან“ ორგანიზებული უპრეცედენტო ხანგრძლივობის საპროტესტო აქცია, 26 მაისს გავსებული სტადიონი, რიყეზე გალიიდან ჩატარებული კონცერტი. მოკლედ, ამას დამატებული 26 მაისის სისხლიანი კალო და ეს ყველაფერი იმ კრიალოსნის მარცვლებია, რომლის გარეშე 1 ოქტომბრის რევოლუცია საარჩევნო ყუთებთან არ მოხდებოდა — აღარაფერს ვამბობ ციხის ამაზრზენი კადრების გასაჯაროობაზე, რომელმაც მართლაც ხერხემალი გადაუმტვრია სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს!

ეკა ხოფერიას ახალ თოქშოუში, პატივცემულ **უცნობთან** ერთად, ეყო თავხედობა და **ეკა კახიანიც** მობრძანდა. თავხედობა, რადგან, იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადა საზოგადოებისთვის, რბილად რომ ვთქვათ, სისუსტის (ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ) გამოჩენისა გამო, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის პირობებში, ეკა კახიანი აქეთ გადმოვიდა შეტევაზე — ბოლოს და ბოლოს უნდა დამთავრდეს შოუბიზნესზე ზეწოლა, შავი სიების შედგენა ისევ დაიწყესო, მომღერალმა უნდა იმღეროს, დასავლეთშიც ასეა, ზოგი ერთ პარტიას უჭერს მხარს, ზოგი — მეორეს, რა მექნა, ჭამა ხომ გვინდოდა, მაინც მეგობრებად უნდა დავრჩეთო, — ბრძანა სააკაშვილის ფავორიტმა მომღერალმა...

კახიანისგან განსხვავებით, სააკაშვილთან მყოფ სხვა კოლაბორაციონისტ არტისტებს (მერაბ სეფაშვილს), ეყოთ ჭკუა და ბოლო მომენტში არ მივიდნენ ეკა ხოფერიას შოუში...

ნეტავი ვინ ადგენს იმ შავ სიებს, ამა თუ იმ კონცერტზე ვინ უნდა იმღეროს და ვინ — არა, ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით სჩადიან ამ საძაგლობას, — მოსთქვამდა ეთერში ეკა კახიანი. **თუ ასეთი სიები მართლაც დგება, ალბათ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მავანი არტისტები, რბილად რომ ვთქვათ, მაყურებელთა სამართლიან ობსტრუქციას აარიდონ და ლაყე კვერცხების სეტყვისგან დაიცვან, რაც მათ ალალად ეკუთვნით, რადგან, როდესაც მთელი ერი ტიროდა, ესენი კოჰაბიტაციის რეჟიმში ფაშისტებს დითირამბებს უმღეროდნენ...**

**შეიძლება იმ ხალხის მეგობრობა, რომელთაგან ერთს, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე უზის სულში და მეორე ერეკლე დეისაძეს, ზაზა ბურჭულაძეს და ა.შ. სხვა ხლისტების „შემოქმედებას“ ეთაყვანება?**

მარტო ის რად ღირს, როდესაც იმ 26 მაისს, როდესაც — „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“, მიხეილ გარეკილის საამებლად ეკას ქალიშვილმა ისეთი დასჭექა პარლამენტის წინ, სადაც ასფალტს ჯერ კიდევ სისხლის ოხშივარი ასდიოდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. არადა, ნინი ბადურაშვილის მიკროფონიდან ორასიოდე მეტრში, სახურავზე გარდაცვლილთა გვამები ეყარა!

ყველაზე მეტად ამაზრზენი, მაინც ბაბუამისის, ყოფილი „საბუდარელი ჭაბუკის“, იმედო კახიანის საჯარო კომენტარი იყო — დიახაც, უნდა გემღერა, შვილო, და კარგადაც იმღერეო!..

ზოგიერთებს არ უმღერიათ, მაგრამ სისხლიან რუსთაველზე, მწკრივში რომ ორდენები მიიღეს სააკაშვილის სისხლიანი ხელებიდან, სამუდამოდ ამოიშალეს თავი ქართველი საზოგადოების გულებიდან. ამოიშალეს, რადგან ოჯახები გვყავდა, გვშიოდა და რა გვექნაო?! — უსუსური არგუმენტებია!

— **ჩვენც გვყავდა ოჯახები, ჩვენც გვშიოდა და არა მარტო გვშიოდა: გვცემდნენ, გვარბევდნენ, გვაპატიმრებდნენ, ციხეებით გვაუპატიურებდნენ, გვხოცავდნენ, მაგრამ ქაქის ჭამა არ დაგვიწყია!**

იგივე კოჰაბიტაცია მიდის ე.წ. ჟურნალისტთა კორპუსში — იქაც გამოჩნდნ „ნამეტნავად“ ლიბერალი ჟურნალისტები, რომლებიც სააკაშვილის მონა „ჭურნალისტებს“ 9-წლიანი სიცრუის გამო იმავე „არგუმენტებით“ ამართლებენ და ჩვენც, იმ ჟურნალისტებს, რომლებმაც სიმართლეს არ ვუღალატეთ, კოლეგიალობისკენ მოგვიწოდებენ! არა და არა, ბატონო „ჰუმანისტებო“, მას კოლეგას ვერ ვუწოდებ, ვინც გაყიდა სული თვისი: კვესიტაძეები, პაიჭაძენი, გოგოტიშვილები და ა.შ. მათი სახელიც ლეგიონია, არანაკლებ (იქნებ მეტადაც?) დამნაშავენი არიან იმ 9-წლიან კოშმარში, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ გამოიარა, ვიდრე თავად ამ ქართველთმოძულე რეჟიმის შემქმნელნი!

არ შემიძლია ორი სიტყვა არ ვთქვა ე.წ. მეგობრობასა თუ მეგობრებზე, რომლებიც თურმე პოლიტიკამ ერთმანეთს დროებით გადაჰკიდა და ახლა თურმე საყოველთაო შერიგების (თუ კოჰაბიტაციის?) დრო დამდგარა!

ვინ ვის შეურიგდება თუ ჩაეხუტება, ეს ყველას პირადი საქმეა, მაგრამ ამ ხალხმა საერთოდ იცის, რას ნიშნავს მეგობრობა, ძმაკაცობა? ერთ კლასში თუ საბავშვო ბაღში ყოფნა აპრიორი არ ნიშნავს ძმაკაცობას თუ დაქალობას!

მეგობარი სულის ნაწილიაო, — მამა მასწავლიდა...

ორი სუბიექტის მეგობრობის საფუძველი, პირველ რიგში, ზნეობრივ ღირებულებათა თანხვედრაა და, თუ ამას ერთად გატარებული ბავშვობაც ადუღაბებს, ამას რაღა სჯობს?! და პირიქით, შეიძლება ხნიერ ასაკში გაიცნო კაცი და „ფუთი მარილის უჭმელად“ საერთო ფასეულობებმა ისე დაგაძმაკაცოს, რომ ე.წ. სიყრმის მეგობრობასთან გააიგივო!

ანუ **შეიძლება იმ ხალხის მეგობრობა, რომელთაგან ერთს, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე უზის სულში და მეორე ერეკლე დეისაძეს, ზაზა ბურჭულაძეს და ა.შ. სხვა ხლისტების „შემოქმედებას“ ეთაყვანება?** ვიცი, იქნებ ზედმეტად ვუტრირებ, მაგრამ მკითხველი, ალბათ, მიმიხვდება სათქმელს — რომელ მეგობრობაზე, მითუმეტეს შერიგებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ერთი მთელი არსებით ებრძვის (ებრძოდა) სააკაშვილის ნეოლიბერალურ (პედერასტულ) იდეოლოგიას და მეორეს სწორედ ეს იდეოლოგია მიაჩნია დემოკრატიის უმაღლეს გამოვლინებად? ან კიდევ უარესი — შინაგანად სხვანაირად ფიქრობდე, მაგრამ იმიტომ, რომ ოჯახი გყავს სარჩენი, სისხლიან რეჟიმს „ჩემი გმირი გიწოდე“ უმღერო!

რა ვქნა, სხვაგვარად არ მესმის და ღმერთმა დამიფაროს სხვაგვარად ფიქრისგან. ამ წერილის გამო იქნებ მავანმა მორალისტობაც დამწამოს და ამიტომ ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი — სხვაგვარად არ მიცხოვრია!!!

ეს ფიქრები სწორედ მაშინ წამომეშალა, როცა ეკა კახიანი **უცნობს** მარადიულ მეგობრობას ეფიცებოდა, რასაც აშკარად შეცბუნებულები, უხერხულად უყურებდნენ სტუდიაში მყოფი ნატო მეტონიძე და, დარწმუნებული ვარ, სტუდიის მიღმა მყოფი სხვა დისიდენტი და ამიტომაც რეჟიმის მიერ შერისხული ბრწყინვალე შემსრულებლებიც.

სხვათა შორის, მსგავსი უხერხულობა ემჩნეოდა გადაცემაში ტელეფონით ჩართულ ვაჟკაც არტისტს, ზაზა პაპუაშვილს, რომელმაც არც კი ახსენა ეკა კახიანი...

**არა, არავის სამუდამო შეჩვენებას არ ვითხოვ, მაგრამ ერთი პირობით: ჟურნალისტი ხარ თუ მომღერალი, ერი თუ ბერი, საკუთარი მიქარვების გამართლებას კი ნუ ცდილობ, მითუმეტეს „კუჭის ფილოსოფიით“, არამედ უნდა გეყოს ვაჟკაცობა საკუთარი დანაშაულების (და არა შეცდომების) აღიარებისთვის და ბოდიში მოუხადო საზოგადოებას!**

**ჰოდა, იქნებ შეგინდოს კიდეც...**

**დავით მხეიძე**

## საია აუდიტის სამსახურს ბათუმში განხორციელებული პროექტების შესწავლისკენ მოუწოდებს

**ბათუმის მერიის მიერ განუხორციელებელ პროექტებზე 3 მილიონ 533 ათას 364 ლარი დაიხარჯა, — ამის შესახებ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ბათუმის რეაბილიტაციის შესახებ მომზადებულ ანგარიშშია ნათქვამი.**

საიას ანგარიშში „რეაბილიტაციის პროცესი — ფასადს მიღმა ბათუმის რეაბილიტაცია“ მიმოხილულია ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა“, ასევე წარმოდგენილია ისეთი პროექტები, როგორიცაა, ბათუმში ანბანური კოშკისა და პიაცას მოედნის მშენებლობა, ისტორიული ფორტისა და ოპერის სახლის მშენებლობა ბათუმში.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას საიას იურისტმა, ანგარიშის ავტორმა სულხან სალაძემ აღნიშნა, პროგრამის ბიუჯეტი დაწყებიდან დღემდე 207 მილიონ ლარს აჭარბებს.

**„ძალიან ბევრი კითხვაა, თუ რატომ ფინანსდებოდა იმ ტიპის პროექტები, რომლებიც აღარ განხორციელებულა შემდეგში ან სამუშაოები დაწყებული იყო და აღარ გაგრძელებულა“,** — განაცხადა სულხან სალაძემ.

მხოლოდ ანგარიშში განხილული პროექტების მაგალითზე საიამ ბათუმის მერიის მიერ განუხორციელებელ პროექტებზე დახარჯული 3 533 364 ლარი დაითვალა.

საიას აღმასრულებელი დირექტორის — ეკა ფოფხაძის განცხადებით, გამოვლინდა პრობლემები გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, ასევე აღმოჩნდა, რომ შესყიდვების პროცესი ხარვეზიანად მიმდინარეობდა. მისივე თქმით, ერთობლიობაში, ყოველივე ეს დიდ ეჭვებს ბადებს ბათუმის რეაბილიტაციის პროცესის კანონიერებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ აუცილებელია პროგრამის კომპლექსური შესწავლა და აუდიტის სამსახურის მიერ დაინტერესება. საია შესაბამის ორგანოებს ანგარიშში მოყვანილი ფაქტებით დაინტერესებისკენ და გამოძიებისკენ მოუწოდებს.

ამბავი

## „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი საბანაძე დაკავებულია

**იტალიელმა სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი, „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი საბანაძე დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შს სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, საბანაძის აყვანა ფლორენციაში ორი დღის წინ მოხდა.**

„მიმდინარე წლის 22 სექტემბერს ინტერპოლის თბილისის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იტალიაში, ქ. ფლორენციაში სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი, 1974 წელს დაბადებული გიორგი საბანაძე დააკავეს. გიორგი საბანაძე, ინტერპოლის წითელი ცირკულარით დაკავების და ექსტრადიციის მიზნით, საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 19 აგვისტოდან იმყოფებოდა. მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით მითვისება-გაფლანგვას. 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისამდე ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა უკანონოდ მიითვისეს ფონდის კუთვნილი თანხა 13 852 497 ლარის ოდენობით. 2012 წლის 16 ივლისიდან 3 ოქტომბრამდე საბანაძემ და ალავიძემ „ლიბერთი ბანკში“ არსებული „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშიდან უკანონოდ მიითვისეს 34 328 463 ლარი“, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთი დღეს განიცდის არა მხოლოდ გლობალიზაციის ობიექტურ ზემოქმედებას თავის ეროვნულ იდენტურობაზე, არამედ XX საუკუნის ეროვნული კატასტროფების შედეგებსაც, როცა ჩვენ ორჯერ გადავიტანეთ ჩვენი სახელმწიფოებრივი რღვევა. შედეგად მივიღეთ დამანგრეველი დარტყმა ერის კულტურულ და სულიერ კოდზე, შევეჯახეთ ტრადიციებისა და ისტორიის ერთიანობის გაწყვეტას, საზოგადოების დემორალიზაციას, ურთიერთ ნდობისა და პასუხისმგებლობის დეფიციტს. სწორედ აქ არის ფესვები მწვავე პრობლემებისა, რომლებსაც ვაწყდებით.**

# სუვერენული დემოკრატია მორჩილების გარეშე

**19 სექტემბერს საერთაშორისო სადისკუსიო კლუბმა „ვალდაიმ“ მეათე სესია გამართა. მეათე, საიუბილეო კლუბმა „ვალდაიმ“ იხილა „ძველი კეთილი პუტინი“ და არა პოლიტიკური ფრონტის დაქანცული მებრძოლი, რომელსაც ხალხი ბოლო წლების განმავლობაში ხედავდა.**



ისეთი, რომელსაც ინტერესითა და ყურადღებით ჰყავს დაპყრობილი ვრცელი აუდიტორია, ხუმრობს, ხან ისე, რომ აღაფრთოვანებს ევროპელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მაგრად ურტყამს, ხან ისე, რომ აჭრელდა საინფორმაციო საშუალებები „ელვებით“.

ოპოზიციის იქ ყოფნამ პიკანტურობა შეჰმატა პუტინის მიერ მომზადებულ „კერძს“, მაგრამ არა სიმწარე.

**„ვალდაის“ კლუბის საიუბილეო სხდომაში მონაწილეობდა 200-ზე მეტი ექსპერტი, ინტელექტუალი, სასულიერო პირი, საზოგადოებრივი ლიდერი მსოფლიოს 30 ქვეყნიდან. მათ შორის იყვნენ საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფიიონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი, ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარე რომანო პროდი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფოლკერ რიუზი, ეროვნული ინტერესების ცენტრის (აშშ) პრეზიდენტი დმიტრი საიმსი.**

ცნობისთვის: ვალდაი ქალაქი რუსეთში, ნოვგოროდის ოლქის ვალდაის მუნიციპალური რაიონის ცენტრი, აგებულია ვალდაის ტბის მახლობლად.

საერთაშორისო სადისკუსიო კლუბი პირველად 10 წლის წინათ შეიკრიბა რუსეთის ახალი იდენტურობის პრობლემებზე სასაუბროდ. მას შემდეგ „ვალდაი“ იყო პარიზში, პეკინში, ვაშინგტონში, ახლო აღმოსავლეთში. მის მუშაობაში მონაწილეობდა 48 ქვეყნის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების 600-ზე მეტი წარმომადგენელი, 70 ექსპერტი მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტების — ჰარვარდის, კოლუმბიის, ჯორჯთაუნის, სტენფორდის, ლონდონის, კაიროს, თეირანის, აღმოსავლეთ ჩინეთის, ტოკიოს, თელ-ავივის, მესინის, ლონდონის ეკონომიკური სკოლის, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის, ეკონომიკის უმაღლესი სკოლის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სორბონისა და სხვა საუნივერსიტეტო ცენტრების მეცნიერები კლუბის მუდმივი წევრებია. კლუბი მუდმივად მართავს სამეცნიერო თემატურ კონფერენციებს ევროპის, აზიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დამოკიდებულების, თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე.

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ 19 სექტემბერს „ვალდაის“ კლუბის სხდომაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლის არაოფიციალურ თარგმანს.**

* * *

რუსეთელებისთვის, რუსეთისთვის კითხვები „ვინ ვართ?“, „ვინ გვინდა ვიყოთ?“ ჩვენ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის. ჩვენ დავშორდით საბჭოთა იდეოლოგიას, მისი დაბრუნება შეუძლებელია. ფუნდამენტური კონსერვატიზმის მიმდევრები, რომლებიც აიდეალებენ რუსეთს 1917 წლამდე, როგორც ჩანს, ისევე დაშორებულები არიან რეალობას, როგორც დასავლური ულტრალიბერალიზმის მომხრეები. **უეჭველია, რომ ჩვენი წინსვლა შეუძლებელია სულიერი, კულტურული, ეროვნული თვითგამორკვევის გარეშე, სხვაგვარად წინ ვერ აღვუდგებით გარეშე და საშინაო გამოწვევებს, გლობალური კონკურენციის პირობებში ვერ შევძლებთ წარმატების მიღწევას. დღეს ვხედავთ, რომ იწყება ასეთი კონკურენციის ახალი ხვეული.**

დღევანდელი კონკურენციის ძირითადი მიმართულებებია ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და იდეურ-ინფორმაციული. მწვავდება სამხედრო-პოლიტიკური პრობლემებიც და სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციაც. მსოფლიო სულ უფრო მკაცრი ხდება, ზოგჯერ უგულებელყოფენ არა მარტო საერთაშორისო სამართალს, არამედ ელემენტარულ წესიერებასაც. უნდა გავძლიერდეთ სამხედრო, ტექნოლოგიური, ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ **მთავარი, რაც განსაზღვრავს წარმატებას, ეს არის ადამიანების ხარისხი, საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი, მორალური ხარისხი.** ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკური ზრდაც, კეთილდღეობაც და გეოპოლიტიკური გავლენაც ხომ დამოკიდებულია თვით საზოგადოების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რამდენად აღიქვამენ საკუთარ თავს ერთიან ხალხად ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქენი, რამდენად არიან ფესვგადგმულნი თავიანთ ისტორიაში, ფასეულობებსა და ტრადიციებში, აკავშირებს თუ არა მათ საერთო მიზნები და პასუხისმგებლობა. ამ თვალსაზრისით, **ეროვნული იდენტურობის მოპოვებისა და განმტკიცების საკითხს რუსეთისთვის ნამდვილად ფუნდამენტური ხასიათი აქვს.**

ამასთანავე, **რუსეთი დღეს განიცდის არა მხოლოდ გლობალიზაციის ობიექტურ ზემოქმედებას თავის ეროვნულ იდენტურობაზე, არამედ XX საუკუნის ეროვნული კატასტროფების შედეგებსაც, როცა ჩვენ ორჯერ გადავიტანეთ ჩვენი სახელმწიფოებრივი რღვევა. შედეგად მივიღეთ დამანგრეველი დარტყმა ერის კულტურულ და სულიერ კოდზე, შევეჯახეთ ტრადიციებისა და ისტორიის ერთიანობის გაწყვეტას, საზოგადოების დემორალიზაციას, ურთიერთ ნდობისა და პასუხისმგებლობის დეფიციტს. სწორედ აქ არის ფესვები მწვავე პრობლემებისა, რომლებსაც ვაწყდებით. საკუთარი თავისა, საზოგადოებისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი ხომ ერთ-ერთ ფუძემდებლურ საკითხთაგანია არა მხოლოდ სამართლის დარგში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

**1991 წლის შემდეგ გაჩნდა ილუზია, რომ ახალი ეროვნული იდეოლოგია, განვითარების იდეოლოგია, თავისთავად დაიბადება.** სახელმწიფო, ხელისუფლება, ინტელექტუალური და პოლიტიკური კლასი თავისით ჩამოსცილდა ამ სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ უწინდელი ოფიციოზური იდეოლოგია მძიმე დაღად დაგვაჩნდა. ამ თემისთვის ხელის ხლებისაც კი ეშინოდა ყველას. ამასთან, ეროვნული იდეის არქონა, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ეროვნულ იდენტურობაზე, მომგებიანი იყო ელიტის იმ კვაზიკოლონიური ნაწილისთვის, რომელიც ამჯობინებდა ექურდა და გაეტანა კაპიტალი, თავის მომავალს არ უკავშირებდა ქვეყანას, სადაც ეს კაპიტალი დააგროვეს.

**პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ახალი ეროვნული იდეა არ იბადება და არ ვითარდება საბაზრო წესებით.** სახელმწიფოს, საზოგადოების თვითმოწყობამ ვერ იმუშავა ისევე, როგორც სხვისი გამოცდილების მექანიკურმა გადმოღებამ. **რუსეთის ცივილიზების გარედან უხეში გადმოტანის მცდელობა არ მიიღო ჩვენი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რადგან დამოუკიდებლობისადმი, სულიერი, იდეოლოგიური, საგარეოპოლიტიკური სუვერენიტეტისადმი სწრაფვა ჩვენი ეროვნული ხასიათის განუყოფელი ნაწილია.** ისიც უნდა ვთქვთ, რომ ასეთმა მიდგომამ ვერც სხვა ქვეყნებში იმუშავა. წავიდა ის დრო, როცა ცხოვრების მოწყობის მზამზარეული მოდელების სხვა სახელმწიფოებში შეტანა და დანერგვა შეიძლებოდა მარტივად, როგორც კომპიუტერული პროგრამების გამართვა.

ჩვენ ასევე გვესმის, რომ **იდენტურობის, ეროვნული იდეის ზევიდან თავს მოხვევა შეუძლებელია, არ შეიძლება აიგოს იდეოლოგიური მონოპოლიის საფუძველზე. ასეთი კონსტრუქცია არამდგრადია და ძალიან სუსტია. ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში მას მომავალი არ აქვს.** საჭიროა ისტორიული შემოქმედება, ეროვნული გამოცდილებისა და იდეის სინთეზი, ჩვენი კულტურული, სულიერი, პოლიტიკური ტრადიციების გააზრება სხვადასხვა თვალსაზრისის პოზიციიდან, იმის გასაგებად, რომ გაყინული, სამუდამოდ მოცემული რამ კი არ არის, არამედ ცოცხალი ორგანიზმია. მხოლოდ მაშინ იქნება დაფუძნებული ჩვენი იდენტურობა მყარ საძირკველზე, მიმართული იქნება მომავლისკენ და არა წარსულისკენ. ეს არის მთავარი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ **იდეოლოგიის განვითარების საკითხი აუცილებლად უნდა განვიხილოთ სხვადასხვა შეხედულების ადამიანებთან ერთად, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად. ჩვენ ყველას — ვისაც ნეოსლავიანოფილებს უწოდებენ, ნეოდასავლეთელებსაც, მესახელმწიფოებრივეებსაც და ე.წ. ლიბერალებსაც, მთელ საზოგადოებრიობას ერთად მოგვიწევს ვიმუშავოთ განვითარების საკრთო მიზნების ჩამოყალიბებაზე. უნდა გავთავისუფლდეთ მხოლოდ იდეური თანამოაზრეებისთვის ყურისგდების ჩვეულებისგან, თავიდანვე, დაუფიქრებლად, ზოგჯერ ზიზღითაც კი ნებისმიერ სხვა თვალსაზრისის უარყოფისგან.** არ შეიძლება გადავაგდოთ, წიხლი ვკრათ ქვეყნის მომავალს, როგორც ფეხბურთის ბურთს, ჩავეფლოთ პირწავარდნილ ნიჰილიზმში, მომხმარებლობაში, ვაკრიტიკოთ ყველა და ყველაფერი, ულიმღამო მომავლის შემყურეებმა. ეს კი ნიშნავს, რომ ლიბერალებმა უნდა ისწავლონ ლაპარაკი მემარცხენე შეხედულებათა წარმომადგენლებთან და, პირიქით, ნაციონალისტებმა უნდა გაიხსენონ, რომ **რუსეთი პირველივე ნაბიჯებიდან ჩამოყალიბდა როგორც** ▶

**იდენტურობის, ეროვნული იდეის ზევიდან თავს მოხვევა შეუძლებელია, არ შეიძლება აიგოს იდეოლოგიური მონოპოლიის საფუძველზე. ასეთი კონსტრუქცია არამდგრადია და ძალიან სუსტია. ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში მას მომავალი არ აქვს**

**რუსეთი პირველივე ნაბიჯებიდან ჩამოყალიბდა, როგორც მრავალეროვანი და მრავალკონფესიური სახელმწიფო. და როცა კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ ჩვენს მრავალეროვნულობას, ექსპლუატაციას ვუწევთ რუსულ, თათრულ, კავკასიურ, ციმბირულ და ნებისმიერ სხვა ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს, ვადგებით საკუთარი გენეტიკური კოდის განადგურების გზას. ვიწყებთ საკუთარი თავის განადგურებას**

**მომავალი ევრაზიული კავშირი, რომლის შესახებაც განვაცხადეთ, რომელზეც ბოლო დროს ბევრს ვლაპარაკობთ, მარტო ურთიერთსასარგებლო შეთანხმებების ნაკრები არ არის. ევრაზიული კავშირი არის ხალხთა იდენტურობის, ახალ საუკუნესა და ახალ მსოფლიოში ისტორიული ევრაზიული სივრცის შენარჩუნების პროექტი. ევრაზიული ინტეგრაცია არის შანსი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის გახდეს გლობალური და არა ევროპისა და აზიის პერიფერიის განვითარების დამოუკიდებელი ცენტრი.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქრისტიანობისა და სხვა მსოფლიო რელიგიების ღირებულებათა გარეშე, ათასწლეულობით ფორმირებული მორალისა და ზნეობის ნორმების გარეშე ადამიანები უეჭველად დაკარგავენ ადამიანურ ღირსებას. ჩვენ ბუნებრივად და სწორად მივიჩნევთ ამ ღირებულებათა დაცვას. პატივი უნდა ვცეთ ნებისმიერ უმცირესობას, იყოს განსხვავებული, უმრავლესობის უფლებაც არ უნდა გავხადოთ საეჭვო**




**ევროპულ და რიგ სხვა ქვეყნებში, ე.წ. მულტიკულტურიზმი, უმეტესად ხელოვნურად შეტანილი მოდელი, დღეს საეჭვო ხდება, და გასაგებია, რატომაც. იმიტომ, რომ მის საფუძველში დევს ერთგვარი ხარკის გადახდა კოლონიური წარსულისთვის**

**მრავალეროვანი და მრავალკონფესიური სახელმწიფო. და როცა კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ ჩვენს მრავალეროვნულობას, ექსპლუატაციას ვუწევთ რუსულ, თათრულ, კავკასიურ, ციმბირულ და ნებისმიერ სხვა ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს, ვადგებით საკუთარი გენეტიკური კოდის განადგურების გზას. ვიწყებთ საკუთარი თავის განადგურებას.**

**რუსეთის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, მთლიანობა ეჭვგარეშეა. ეს არის ის „წითელი ხაზები“, რომელთა გადაბიჯებაც არავის შეუძლია.** ჩვენი შეხედულებების განსხვავებულობის მიუხედავად, იდენტურობის, ეროვნული მომავლის შესახებ დისკუსია შეუძლებელია ყველა მონაწილის პატრიოტიზმის გარეშე. რა თქმა უნდა, პატრიოტიზმის — ამ სიტყვის — ყველაზე უფრო სუფთა მნიშვნელობით. ეროვნულ ისტორიაში ძალიან ხშირად ხელისუფლებისადმი ოპოზიციის ნაცვლად, ჩვენ ვაწყდებით ოპოზიციას თვით რუსეთისადმი. მე ეს ერთხელ უკვე ვთქვი. პუშკინმა თქვა ამის შესახებ. და ჩვენ ვიცით, ეს როგორადაც მთავრდებოდა — სახელმწიფოს, როგორც ასეთის, დანგრევით.

**ჩვენთან პრაქტიკულად არ არის ისეთი ოჯახი, რომელსაც არ შეხებია გასული საუკუნის უბედურებები. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შეფასების საკითხებს დღემდე განხეთქილება შეაქვს ქვეყანასა და საზოგადოებაში. ჩვენ უნდა მოვირჩინოთ ეს ჭრილობები, აღვადგინოთ ისტორიული ქსოვილის მთლიანობა. არ შეიძლება თავის მოტყუება არასასურველი ფურცლების გადახაზვით, თაობათა კავშირის გაწყვეტით, უკიდურესობაში გადავარდნით, კერპების შექმნით ან უარყოფით. დროა შევწყვიტოთ ისტორიაში მხოლოდ ცუდის დანახვა, საკუთარი თავის გინება უფრო მეტად, ვიდრე ამას ნებისმიერი ჩვენი არაკეთილმოსურნე იკადრებს. კრიტიკა აუცილებელია. მაგრამ საკუთარი ღირსების შეგრძნების გარეშე, სამშობლოს სიყვარულის გარეშე ეს კრიტიკა დამამცირებელი და არაპროდუქტიულია.**

ჩვენ უნდა ვიამაყოთ საკუთარი ისტორიით და ჩვენ გვაქვს ის, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. მთელი ჩვენი ისტორია, კუპიურების გარეშე, უნდა გახდეს რუსული იდენტურობის ნაწილი. თუ ამას არ ვაღიარებთ, შეუძლებელი იქნება ურთიერთ ნდობა და საზოგადოების წინსვლა.

რუსული იდენტურობისთვის კიდევ ერთი გამოწვევა დაკავშირებულია მოვლენებთან, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს. აქ არის როგორც საგარეოპოლიტიკური, ასევე, მორალური ასპექტები. ჩვენ ვხედავთ, **ფაქტობრივად როგორ წავიდა ბევრი ევრო-ატლანტიკური ქვეყანა საკუთარი ფესვების უარყოფის გზით, მათ შორის, ქრისტიანულ ფასეულობათა უარყოფის გზით, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის საფუძველია. უარყოფენ ზნეობრივ საწყისებს და ნებისმიერ ტრადიციულ იდენტურობას: ეროვნულს, კულტურულს, რელიგიურს და სქესობრივსაც კი. განახორციელებენ პოლიტიკას, რომელიც ერთსა და იმავე დონეზე აყენებს მრავალშვილიან ოჯახსა და ერთსქესიან პარტნიორობას, რწმენას ღვთისას და სატანის რწმენას. პოლიტკორექტულობის წესები იქამდეც კი მიდის, რომ სერიოზულად ლაპარაკობენ ისეთი პარტიების რეგისტრაციაზე, რომელთა მიზანია პედოფილიის პროპაგანდა.** ბევრ ევროპულ ქვეყანაში ადამიანებს რცხვენიათ განაცხადონ თავიანთი რელიგიური კუთვნილების შესახებ. დღესასწაულებს აუქმებენ, ან სხვა სახელს უწოდებენ, მორცხვად მალავენ ამ დღესასწაულის თვით არსს — მათ ზნეობრივ საფუძველს. და **ცდილობენ ამ მოდელის თავსმოხვევას ყველასთვის, მთელი მსოფლიოსთვის.** დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის პირდაპირი გზა დეგრადაციისა და პრიმიტივზაციისაკენ, დემოგრაფიული და ზნეობრივი ღრმა კრიზისისკენ.

კიდევ რა შეიძლება იყოს ადამიანების სოციუმის მორალური კრიზისის უმეტესი დადასტურება, როგორიც თვითკვლავწარმოების უნარზე უარის თქმაა. დღეს პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანას აღარ შეუძლია საკუთარი კვლავწარმოება მიგრაციის დახმარებითაც კი. **ქრისტიანობისა და სხვა მსოფლიო რელიგიების ღირებულებათა გარეშე, ათასწლეულობით ფორმირებული მორალისა და ზნეობის ნორმების გარეშე ადამიანები უეჭველად დაკარგავენ ადამიანურ ღირსებას. ჩვენ ბუნებრივად და სწორად მივიჩნევთ ამ ღირებულებათა დაცვას. პატივი უნდა ვცეთ ნებისმიერ უმცირესობას, იყოს განსხვავებული, უმრავლესობის უფლებაც არ უნდა გავხადოთ საეჭვო.** ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, როგორც ცდილობენ რეანიმაცია მოახდინონ მსოფლიოს უნიფიცირებული მოდელის, დააკნინონ საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სუვერენიტეტის ინსტიტუტი. ასეთ ერთპოლარულ უნიფიცირებულ მსოფლიოს არ სჭირდება სუვერენული ქვეყნები, მას ვასალები სჭირდება. ისტორიულ ჭრილში ეს საკუთარ სახეზე უარის თქმაა, ღმერთის მიერ, ბუნების მიერ ბოძებულ მსოფლიოს მრავალფეროვნებაზე უარის თქმას ნიშნავს.

**რუსეთი იმათთან ერთადაა, ვისაც მიაჩნია, რომ საკვანძო საკითხები უნდა შემუშავდეს კოლექტიურ საფუძველზე და არა ცალკეული ქვეყნების, ან ქვეყნების ჯგუფის ნებასურვილისა და ინტერესების მიხედვით, უნდა მოქმედებდეს საერთაშორისო სამართალი და არა ძლიერის სამართალი, არა მუშტის სამართალი. არცერთი ქვეყანა, არცერთი ხალხი არ არის განსაკუთრებული, მაგრამ უნიკალურია, რა თქმა უნდა, თვითმყოფადია, აქვს თანაბარი უფლებები, მათ შორის, საკუთარი განვითარების დამოუკიდებლად არჩევის უფლება.**

ასეთია ჩვენი კონცეფციური შეხედულება, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი საკუთარი ისტორიული ბედიდან, რუსეთის როლიდან მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენს დღევანდელ პოზიციას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. რუსეთი ვითარდებოდა მრავალფეროვნების, ჰარმონიისა და ბალანსთა საფუძველზე, ასეთი ბალანსით ამდიდრებდა სამყაროს. მინდა შეგახსენოთ, რომ 1815 წლის ვენის კონგრესმა და 1945 წლის იალტის შეთანხმებებმა, რომლებიც მიღებული იყო რუსეთის ძალიან აქტიური მონაწილეობით, უზრუნველყო ხანგრძლივი მშვიდობა. რუსეთის ძალა, გამარჯვებულის ძალა ამ შემობრუნებით მომენტებში წარმოჩნდა მისი კეთილშობილებითა და სამართლიანობით. მრავალ სპეციალისტს მიაჩნია, და მე მათ აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ სწორედ ვერსალში ჩაეყარა საფუძველი მომავალ მეორე მსოფლიო ომს. იმიტომ, რომ ვერსალის ხელშეკრულება უსამართლო იყო გერმანელი ხალხის მიმართ და მას ისეთ შეზღუდვებს უწესებდა, რომელთაც იგი ნორმალურ რეჟიმში ვერ დაძლევდა, ეს აშკარა იყო საუკუნის პერსპექტივაში.

კიდევ ერთ პრინციპულ ასპექტს მინდა მივაქციო ყურადღება. **ევროპულ და რიგ სხვა ქვეყნებში, ე.წ. მულტიკულტურიზმი, უმეტესად ხელოვნურად შეტანილი მოდელი, დღეს საეჭვო ხდება, და გასაგებია, რატომაც. იმიტომ, რომ მის საფუძველში დევს ერთგვარი ხარკის გადახდა კოლონიური წარსულისთვის.** შემთხვევითი არ არის, რომ **დღეს თვით ევროპის პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ მულტიკულტურიზმის კრახზე, იმის შესახებ, რომ მას არ ძალუძს უზრუნველყოს საზოგადოებაში უცხოენოვანი და უცხო კულტურის ელემენტების ინტეგრაცია.**

**რუსეთში, რომელსაც ერთ დროს ჩამოჰკიდეს „ხალხთა საპყრობილის“ იარლიყი, საუკუნეთა განმავლობაში არ გამქრალა არცერთი, ყველაზე პატარა ეთნოსიც კი. ყველა მათგანმა შეინარჩუნა არა მხოლოდ თავიანთი შინაგანი დამოუკიდებლობა და კულტურული იდენტობა, არამედ თავიანთი ისტორიული სივრცეც.** იცით, ინტერესით შევიტყვე (არც კი ვიცოდი), საბჭოთა პერიოდში ამას ისეთი ყურადღებით ეკიდებოდნენ, რომ თითოეულ მცირე ხალხსაც კი ჰქონდა თავისი ბეჭდური გამოცემა, მხარს უჭერდნენ ენებს, მხარდაჭერილი იყო ეროვნული ლიტერატურა. უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ, რაც წარსულში კეთდებოდა ამ მიმართულებით, უნდა დავიბრუნოთ და მათით აღვიჭურვოთ. ამასთან, **ჩვენ დაგროვილი გვაქვს სხვადასხვა კულტურის ურთიერთგავლენის, ურთიერთგამდიდრების უნიკალური გამოცდილება. ეს პოლიტკულტურულობა, პოლიეთიკურობა ცოცხლობს ჩვენს ისტორიულ შეგნებაში, ჩვენს სულში, ჩვენს ისტორიულ კოდში. მასზე ბუნებრივად შენდებოდა ათასწლეულობით ჩვენი სახელმწიფოებრიობა.**

რუსეთი, — როგორც ხატოვნად ამბობდა ფილოსოფოსი კონსტანტინე ლეონტიევი, — ყოველთვის ვითარდებოდა როგორც „აყვავილებული სირთულე“, როგორც სახელმწიფო-ცივილიზაცია, რუსი ხალხი, რუსული ენით, რუსული კულტურით, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიითა და რუსეთის სხვა ტრადიციული რელიგიებით გამტკიცებული. სწორედ სახელმწიფო-ცივილიზაციის მოდელიდან გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის თავისებურება. იგი ყოველთვის ცდილობდა მოქნილად გაეთვალისწინებინა ეროვნული, რელიგიური სპეციფიკა ამა თუ იმ ტერიტორიის, უზრუნველყოფდა ნაირვაგვარობას ერთიანობაში. **ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი, სხვა რელიგიები განუყოფელი ნაწილია რუსეთის იდენტურობისა და ისტორიული მემკვიდრეობის მისი მოქალაქეების დღევანდელ ცხოვრებაში. სახელმწიფოს მთავარი ამოცანა, რომელიც კონსტიტუციითაა განმტკიცებული, არის ტრადიციული რელიგიების წარმომადგენლების და ათეისტების, თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფა, სინდისის თავისუფლებისა ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის.**

XXI საუკუნე უნდა გახდეს დიდ ცვლილებათა საუკუნე, მსხვილი გეოპოლიტიკური მატერიკების, საფინანსო-ეკონომიკური, კულტურული, ცივილიზებული, სამხედრო-პოლიტიკური ფორმირებების ეპოქა. და ამიტომ ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტია მჭიდრო ინტეგრაცია მეზობლებთან. **მომავალი ევრაზიული კავშირი, რომლის შესახებაც განვაცხადეთ, რომელზეც ბოლო დროს ბევრს ვლაპარაკობთ, მარტო ურთიერთსასარგებლო შეთანხმებების ნაკრები არ არის. ევრაზიული კავშირი არის ხალხთა იდენტურობის, ახალ საუკუნესა და ახალ მსოფლიოში ისტორიული ევრაზიული სივრცის შენარჩუნების პროექტი. ევრაზიული ინტეგრაცია არის შანსი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის გახდეს გლობალური და არა ევროპისა და აზიის პერიფერიის განვითარების დამოუკიდებელი ცენტრი.** ხაზი მინდა გავუსვა, რომ ევრაზიული ინტეგრაცია ასევე აიგება მრავალმხრივობის პრინციპით. ამ გაერთიანებაში თითოეული შეინარჩუნებს თავის სახეს, თავის თვითმყოფადობას და პოლიტიკურ სუბიექტურობას. პარტნიორებთან ერთად თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ განვახორციელებთ ამ პროექტს. ვვარაუდობთ, რომ იგი გახდება ჩვენი საერთო წვლილი მსოფლიოს მრავალგვარობის შენარჩუნებისა და განვითარების მდგრადობის საქმეში.

91-ის შემდგომი წლები მიღებულია მოვიხსენიოთ, როგორც პოსტსაბჭოთა ეტაპი. ჩვენ გადავიტანეთ, გადავლახეთ ეს დრამატული დრო. რუსეთმა, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გაიარა ნგრევა, გამოცდა და უბრუნდება თავის თავს, უბრუნდება თავის ისტორიას.

ჩვენი ეროვნული თავითმყოფადობის განმტკიცებით, ჩვენი ფესვების გამაგრებით, კვლავაც ვრჩებით ღია და ამთვისებლები აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო იდეების, ჩვენ უნდა ვიაროთ წინ.

**რუსეთში, რომელსაც ერთ დროს ჩამოჰკიდეს «ხალხთა საპყრობილის» იარლიყი, საუკუნეთა განმავლობაში არ გამქრალა არც ერთი ყველაზე პატარა ეთნოსიც კი. ყველა მათგანმა შეინარჩუნა არა მხოლოდ თავიანთი შინაგანი დამოუკიდებლობა და კულტურული იდენტობა, არამედ თავიანთი ისტორიული სივრცეც**

რეცენზია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც უფრო ძლიერდებოდა რუსეთი, „მით უფრო კრიტიკული ხდებოდნენ ვლადიმერ პუტინის მიმართ მისი შიდა და გარე ყოფილი მეგობრები. თუმცა თვით უკიდეგანო დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მოტრფიალე ოპოზიციონერებიც კი ვერ უარყოფდნენ, რომ ქვეყანა, რომელიც 1999 წელს ვ. პუტინმა ჩაიბარა, რამდენიმე წელიწადში წელში გაიმართა“.**

# ვლადიმერ პუტინი — ეროვნული ლიდერი




**სსპი „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ ეს-ესაა გამოსცა 400-გვერდიანი წიგნი „უცნობი პუტინი“. 1991 წლის 31 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ცენტრალური ტელევიზიით გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. ბოდიში მოუხადა რუსეთის მოსახლეობას შეცდომებისთვის, რომლებიც პრეზიდენტად ყოფნის დროს დაუშვა და განაცხადა: „ახალ ათასწლეულში ქვეყანა ახალი პოლიტიკოსებით, ახალი სახეებით უნდა შევიდეს, ახალი, ჭკვიანი, ძლიერი და ენერგიული ადამიანებით“.**
**თავისთავად ეს უკვე შოკისმომგვრელი იყო, რაც გააძლიერა ბ. ელცინის განცხადების მეორე ნაწილმა: პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი.**

**«როდესაც ვლადიმერ პუტინი მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფაზე ლაპარაკობდა, იგი, უპირველესად, სწორედ მილიონობით ადამიანის ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებას გულისხმობდა და არა საბჭოთა კავშირის აღდგენის აუცილებლობას»**

უცხოეთის მედიაში ჩნდება შეკითხვა: **„ვინ ხართ თქვენ, მისტერ პუტინ?“**, რომელიც იმ დღეების, შეიძლება ითქვას, უპირველესი სლოგანი ხდება.

ეს წიგნი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაა, სრული, ამომწურავი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისთავად ფუნდამენტური ნაშრომია, მეორე კი იმიტომ, რომ რუსეთის უკვე ორგზის პრეზიდენტის მოღვაწეობითაა გამაგრებული და პასუხგაცემული.

საქმემან შენმა წარმოგაჩინოს.

**საქმეთა შორის უპირველესი რუსეთისთვის ღირსების დაბრუნება იყო**, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში სამათხოვროდ ხელგაწვდილ უპოვარს დაემსგავსა.

წიგნის ავტორები იხსენებენ: **„როდესაც 1992 წელს სანკტ-პეტერბურგი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდა, ელცინმა სობჩაკს** (ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, რომლის მრჩეველი იმ პერიოდში პუტინი იყო), **სამხედრო საწყობებში დაცული სტრატეგიული მარაგების გახსნის ნებართვა მისცა. ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და სობჩაკმა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშსა და გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლს პირდაპირ მიმართა დახმარებისთვის. დასავლეთ გერმანიის ნატოს ბაზებიდან სურსათის ათასეულობით ტონა დაიძრა სანკტ-პეტერბურგისკენ. შესაძლოა, ვლადიმერ პუტინმა სწორედ მაშინ იგრძნო ის დამცირება, რომელშიც ყოფილი ზესახელმწიფო აღმოჩნდა და მიხვდა, რომ არასოდეს უნდა იყო სხვაზე დამოკიდებული, თუ გინდა, პატივს გცემდნენ“** (გვ. 67).

შეძლო თუ არა ვლადიმერ პუტინმა ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა, მკითხველი გაეცნობა თავებში **„ეკონომიკის წინსვლა“** და **„2012 წლის დეკემბერი — 12 წლის შემდეგ“.** სწორედ ამ დროს, რუსეთის პარლამენტის ორივე პალატის წინაშე გამოსვლისას იგი აცხადებს: **„პირველი 12 წლის მანძილზე არც თუ ისე ცოტა გაკეთდა, მნიშვნელობით უდიდესი, ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განმტკიცების ეტაპი განვლილია. ახლა ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ მდიდარი და სვებედნიერი რუსეთი. ამასთან, მინდა, რომ ყველამ კარგად გაიგოს: უახლოესი წლები იქნება გადამწყვეტი შესაძლოა, გარდამტეხიც, და არა მხოლოდ ჩვენთვის, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც კარდინალური ცვლილებების და, შესაძლოა, შოკისმომგვრელი ცვლილებების ეპოქაში შედის“** (გვ. 141).

წიგნის ავტორები აცნობენ მკითხველებს, რა გზა გაიარა ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპების მიხედვით რუსეთმა, 1999 წლიდან მოყოლებული როგორ იცვლებოდა მისი შიდა ცხოვრება და როგორ მყარდებოდა მისი ადგილი მსოფლიოში. არ მალავენ, რომ, **რაც უფრო ძლიერდებოდა რუსეთი, „მით უფრო კრიტიკული ხდებოდნენ ვლადიმერ პუტინის მიმართ მისი შიდა და გარე ყოფილი მეგობრები. თუმცა თვით უკიდეგანო დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მოტრფიალე ოპოზიციონერებიც კი ვერ უარყოფდნენ, რომ ქვეყანა, რომელიც 1999 წელს ვ. პუტინმა ჩაიბარა, რამდენიმე წელიწადში წელში გაიმართა“.**

საბჭოთა კავშირის აღდგენის გზაზე ხომ არ დგას რუსეთი? არის თუ არა რუსეთში დემოკრატია? ავტორები სერიოზულად აანალიზებენ ამ საკითხს და, ცხადია, შესაბამის დასკვნებსაც წარუდგენენ მკითხველ საზოგადოებას.

**დემოკრატიაზე საუბრისას არ ერიდებიან დასავლეთის კრიტიკას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის, რაც დასავლეთმა ახლახან აღმოაჩინა, „მთელ დანარჩენ სამყაროში ახლა შეაქვს დემოკრატიის სახელით“.**

**რა აღმოაჩინა დასავლეთმა?**

**აღმოაჩინა, რომ, „სისტემის მთელი სიმძიმის მიუხედავად“, იმ დროს და იმ ვითარებაში „ადამიანი ადამიანისთვის მართლაც ძმა და მეგობარი იყო“.**

დაუფიქრდება ამ საკითხს მკითხველი, რომელსაც იმ სისტემაში მოუწია ცხოვრება და დაეთანხმება უთუოდ, რადგან, რასაც დღეს ხედავს, რისი მომსწრეც გახდა მისი თაობა, არის ის, რომ **„ასკეტიზმი და თავგანწირვა დღესაც უცხოა დასავლეთისთვის. არადა, სწორედ მან გადაარჩინა რევოლუციური ძვრების შედეგად შერყეული რუსეთი“** (გვ. 367).

ძლიერი იყო ეს ტექტონიკური ძვრები — 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, რომელთაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა; საბჭოთა კავშირის დაშლა, როცა ხალხი თვალის დახამხამებაში გაღატაკდა, როცა დევალვირებული იქნა სოციალური სამართლიანობა და სახალხო სიმდიდრე ერთმა მუჭა ოლიგარქებმა დაისაკუთრეს.

**„როდესაც ვ. პუტინი მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფაზე ლაპარაკობდა,** — ნათქვამია წიგნში, — **იგი, უპირველესად, სწორედ მილიონობით ადამიანის ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებას გულისხმობდა და არა საბჭოთა კავშირის აღდგენის აუცილებლობას“.** ადამიანები ძირგავარდნილი ვარცლის ანაბარა აღმოჩნდნენ: **„ვიღაცამ მათ ნაცვლად გადაწყვიტა, რომ ისინი არ იმსახურებენ ადამიანურ ცხოვრებას“** (გვ. 367-368).

აქედან გამომდინარე, პუტინის, როგორც ქვეყნის ლიდერის (და არა ბელადის) ამოცანა ამგვარად ყალიბდება: **„ეს არის ცხოვრების მაღალი დონე ქვეყანაში, უსაფრთხო, თავისუფალი და კომფორტული ცხოვრება. ეს არის დაღვინებული დემოკრატია და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება. ეს არის რუსეთის პოზიციების განმტკიცება მსოფლიოში და, რაც მთავარია, მოქალაქეთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდა“** (გვ. 70).



**«უახლოესი წლები იქნება გადამწყვეტი და, შესაძლოა, გარდამტეხიც და არა მხოლოდ ჩვენთვის, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც კარდინალური ცვლილებების და, შესაძლოა, შოკისმომგვრელი ცვლილებების ეპოქაში შედის»**

რუსეთი დღეს ამ აღმართს შეუდგა.

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველები, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევენ წიგნის იმ თავებს, რომლებშიც ლაპარაკი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზეა. ▶

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობა დამტკიცებულია

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ დეპუტატების ხმათა უმრავლესობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის — ვახტანგ ყოლბაიას მიერ წარმოდგენილი მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა.**

ახალ სამთავრობო გუნდში არიან: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ვასილ ხორავა; ეკონომიკის მინისტრი ავთანდილ ძაგანია; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე; განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი; რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი კონსტანტინე კუჭუხიძე; განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ლეილა გულედანი; ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი მევლუდ ჯაჭვლიანი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გვაძაბია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე იგორ კოპალიანი და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ბასარია.

რეცენზია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არქიმანდრიტი ტიხონი (ერისკაცობაში გიორგი შევკუნოვი): „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში განმტკიცებულია რწმენა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვიღაცამ უნდა მართოს. ასეც იყო უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. გავლენის ჯგუფები იცვლებოდა და მათი განსაზღვრა რთული არ იყო, მაგრამ დღეს სულ სხვა რამ ხდება. ღვთის წყალობით, ეს პრეზიდენტი მხოლოდ ღვთის, საკუთარი სინდისის, რუსეთის სიყვარულითა და საღი აზრით იქნება მართული“

**2008 წლის აგვისტოს ომი, რომელსაც ცალკე თავი ეძღვნება, ცხადია, მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევს.** ამ დაპირისპირების ეტაპები, საერთაშორისო პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება პრობლემისადმი, რომელიც კონფლიქტით დასრულდა და, საბოლოოდ, აგრესიული სეპარატიზმის გამარჯვებით დამთავრდა ჯერ კოსოვოში, შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, გადმოცემულია წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების პრესაში დაფიქსირებული პოზიციითა და სხვა დოკუმენტური მასალებით, რაც სუბიექტივიზმსა და მიკერძოებულობას უნდა გამორიცხავდეს.

2008 წლის 17 თებერვალს სერბეთისგან გამოყოფილმა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც აშშ-მა მეორე დღესვე აღიარა. იმ შფოთიან დღეებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პრეზიდენტ ბუშს ჰკითხა: **„ეს პუტინისა და იმათი ჯიბრით ხომ არ გააკეთეთ, ვინც ამბობს, რომ თქვენ სეპარატისტულ მოძრაობას ღიად უჭერთ მხარს მთელ მსოფლიოში?“**

ბუშმა უპასუხა: **„სინამდვილეში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ რუსეთთან... იცით, უთანხმოება არის, მაგრამ ჩვენ, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, მივიჩნევთ, რომ ისტორია დაამტკიცებს: ეს სწორი ნაბიჯია, რომელიც ბალკანეთში მშვიდობას მოიტანს“** (გვ. 214).

ისტორიამ საწინააღმდეგო დაამტკიცა. უწინარეს ყოვლისა კი, სეპარატისტების დაუყოვნებელმა რეაქციამ, რომელსაც სხვაგვარად ვერ შეაფასებ, თუ არა როგორც ალტაცებას.

**„დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა სამიტზე ვ. პუტინმა არაორაზროვნად განაცხადა მოსალოდნელი შედეგების შესახებ: „კოსოვოს პრეცედენტი საშიშია. არსებითად იგი ანგრევს საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომელიც არა ათწლეულობით, არამედ საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. უეჭველია, რომ ეს გაუთვალისწინებელი შედეგების მთელ ჯაჭვს გამოიწვევს“, და ბრალი დასდო დასავლეთის მთავრობებს უხეშ შეცდომაში: „ამ ჯოხს ორი ბოლო აქვს და ოდესმე მისი მეორე ბოლო ძალიან მტკივნეულად მოხვდება მათ თავში“. პირისპირ შეხვედრისას კი მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ერთი თვით ადრე მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, უთხრა: „არ ვაპირებთ, ამერიკელებს მივბაძოთ და სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ვაღიაროთ მხოლოდ იმიტომ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებულია“** (გვ. 215).

როგორ მოახერხა სააკაშვილმა, რუსეთთან ურთიერთობა წარემართა ისე, რომ მიგვეღო იმის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი, რაშიც პუტინმა სააკაშვილი პირისპირ შეხვედრისას დაარწმუნა?

ამის შესახებ დაინტერესებული მკითხველი წაიკითხავს ზემოთ დასახელებულ თავში. ასევე, გაიგებს, ვინ და რატომ გაუწია წინააღმდეგობა ბუდაპეშტის სამიტზე და მანამდეც საქართველოსთვის მაპის მინიჭებას.

შემდგომ განვითარებული მოვლენები კატასტროფული აღმოჩნდა. სააკაშვილი ცხინვალს „მორყეულ კბილს“ უწოდებს და მის ამოღებას გადაწყვეტს, მიიჩნევს, რომ უნდა იჩქაროს „გაყინული კონფლიქტების“ გადაწყვეტა, რადგან ისინი იყო ნატოში გაწევრიანებაზე უარის მიღების მთავარი წინაღობა.

**„ბუქარესტის სამიტის დამთავრებიდან მეორე დღეს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილთან თბილისში ვახშმობდა და იმდენად შეშფოთდა მოსალოდნელი საომარი მოქმედების შესახებ სააკაშვილის გამონათქვამებით, რომ ამერიკელ კოლეგებს დაურეკა გასაფრთხილებლად.** ბუშმა სააკაშვილს დაურეკა: **„ძვირფასო მეგობარო, მინდა გაიგოთ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დაგიჭერთ მხარს. დიახ, თქვენ სუვერენული სახელმწიფოს მეთაური ხართ და ჩვენ პატივს გცემთ, მაგრამ, თუ სამხედრო ძალის გამოყენების ინიცირებას მიმართავთ, აშშ-ის მხარდაჭერას ვერ მიიღებთ“** (გვ. 228).

ზოგიერთი ანალიტიკოსი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სააკაშვილმა ბუშის ეს გაფრთხილება გაიგო, როგორც ნებართვის მიღება კონფლიქტური რეგიონების შემოსაერთებლად (!). რა იყო აქ გასაგები და გაუგებარი, უბირი კაცისთვისაც ნათელია!

**9 ივლისს თბილისში ჩაფრენილი აშშ-ის სახელმწიფო** მდივანი კონდოლიზა რაისი სააკაშვილთან ერთად რესტორან „კოპალას“ აივანზე ვახშმობდა. რაისი კვლავ არწმუნებდა სააკაშვილს, რომ ძალის გამოყენებაზე უარი უნდა ეთქვა.

**„— კი მაგრამ, რატომ? უარაფროდ რომ დავრჩე?**

**კ. რაისმა აუხსნა: — მოგიწევთ. სხვა გამოსავალი არ გაქვთ. თუ რუსულ ჯართან ომში ჩაებმებით, არავინ დაგეხმარებათ და წააგებთ.**

**თუმცა პრივატულ საუბარში ნათქვამი ეს მკაცრი სიტყვები საჯარო განცხადებებში ისე შეიცვალა, რომ სააკაშვილს მის წახალისებადაც შეეძლო მიეღო“** (გვ. 237).

ამასობაში აშშ-ის ერთი ოფიციალური წარმომადგენელი შეხვდა ქართველ წარმომადგენლებს, რომელთაც განუცხადეს, რომ **„რუსებს განზრახული აქვთ ჩვენს ქვეყანაში ჯარების შემოყვანა და მათ საზღვართან უყრიან თავს... სჯობს, პირველებმა გადავდგათ ნაბიჯი, ვიდრე ველოდოთ, როდის შემოვლენ და დაიკავებენ ქვეყანას.**

**ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა უპასუხა: „ხომ გესმით, რომ ეს თვითმკვლელობაა!“, ქართველებისგან კი ასეთი პასუხი მიიღო: „თუ ისინი მიჯნას გადმოვლენ, გვირჩევნია მოვკვდეთ, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები!“** (გვ. 229).

დაბოლოს, კიდევ ერთი ამონარიდი წიგნიდან, როგორც რეზიუმე:

**„როგორ მოიქცნენ ეს „ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები“ ომის დღეებში, მთელმა საქართველომ დაინახა. საზღვარზე რიგები დადგა და „კორუფციასთან მებრძოლი რაინდები“ ნებისმიერ თანხას იხდიდნენ საქართველოს ტერიტორიის ურიგოდ დატოვებაში! მოგვიანებით კი სააკაშვილმა 150 დაკარგულ ქართულ სოფელს „ქვების გროვა“ და „გამოუსადეგარი ადგილები“ უწოდა“** (გვ. 229).

ქართველ მკითხველებს უთუოდ დააინტერესებთ ერთი პასაჟი თავიდან „აგვისტოს ომი“: **„საოცარია, მაგრამ, მიუხედავად პერიოდული მცირე შეტაკებებისა სამხრეთ ოსეთში, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობამ მდგომარეობა საკმარისად მშვიდად მიიჩნია და შვებულებაში გავიდა.**

**ამერიკის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც ივლისში თბილისში იმყოფებოდა, ქართველ ლიდერებთან ერთად ვახშმობდა მათ გამგზავრებამდე. სააკაშვილი იტალიურ კურორტზე მიეშურებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია კი — ესპანეთში. ისინი კმაყოფილები იყვნენ და სრულიად მშვიდად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს სიტყვებით: სამი კვირის ან ერთი თვის შემდეგ შევხვდებით. სამუშაოზე არც იფიქრო!“** (გვ. 239).

აი, ესენი მართავდნენ საქართველოს!

ხუთდღიანმა ომმა არაფერი შეჰმატა რუსეთს. ანგუს როკსბორო წერს: „მოსკოვმა ხომ დიდი ვერაფერი მოიგო საქართველოზე შეტევით და, მიუხედავად განცხადებებისა, არც არასოდეს აპირებდა ორი სადავო რეგიონის მიერთებას ან აღიარებას. საქართველოს მარცხი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარება ვერ შეფასდება, როგორც თავდაპირველი განზრახვების მტკიცებულება“. (გვ. 243).

ომი დამთავრდა, ურემი გადაბრუნდა და, როგორც ამ შემთხვევაში ხდება, გზაც გამოჩნდა და სააკაშვილის ნამდვილი სახეც დავინახეთ.

ანგუს როკსბორო წიგნის „რკინის პუტინი“ ავტორი, დელიკატურად წერს: **„ამ ომთან დაკავშირებული ყველაზე მდგრადი ასოციაცია არის ბიბი-სის კამერის მიერ დაფიქსირებული სააკაშვილი, რომელიც ნერვიულად იტენიდა პირში საკუთარი ჰალსტუხის ბოლოს; რუსულმა მხარემ ამაში იმის დასტური დაინახა, რომ სააკაშვილი შეურაცხადია. ეჭვი გაუჩნდათ მის დასავლელ კოლეგებსაც. ანგელა მერკელთან საუბრისას, როცა სამშვიდობო შეთანხმებაზე მუშაობდნენ, სააკაშვილი ისე აღელდა, რომ ცარიელი ჭიქიდან ლამობდა წყლის დალევას, შემდეგ კი წყლის ბოთლი მოისროლა“** (გვ. 247).

წიგნი „უცნობი პუტინი“ სულაც არ არის ქებათაქება რუსეთის პრეზიდენტის, მისდამი მიძღვნილი პანეგირიკი.

ავტორები გვერდს არ უვლიან რეალობას და არ უფრთხიან, წარმოაჩინონ, თუ რას ედავებიან, რას საყვედურობენ მას ოპონენტები (იხ. **„რას საყვედურობენ ოპონენტები ვლადიმერ პუტინს?“** 174-181 გვ.).

არც მისი ცხოვრების უხერხულ მომენტებს ივიწყებენ, კერძოდ, განქორწინებას მეუღლესთან **(„პირადი ცხოვრება“)**, არც მის ჩეკისტურ წარსულს **(„უშიშროებასა და დემოკრატებს შორის“).** ამითაცაა ამ წიგნის ავტორებისა და გამომცემლების ძალისხმევა დასაფასებელი.

* * *

**და მაინც, ვინ არის ვლადიმერ პუტინი? ჟურნალ „პროფილისთვის“ მიცემულ ინტერვიუში არქიმანდრიტმა ტიხონმა (ერისკაცობაში გიორგი შევკუნოვმა) განაცხადა: „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში განმტკიცებულია რწმენა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვიღაცამ უნდა მართოს. ასეც იყო უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. გავლენის ჯგუფები იცვლებოდა და მათი განსაზღვრა რთული არ იყო, მაგრამ დღეს სულ სხვა რამ ხდება. ღვთის წყალობით, ეს პრეზიდენტი მხოლოდ ღვთის, საკუთარი სინდისის, რუსეთის სიყვარულითა და საღი აზრით იქნება მართული“** (გვ. 398).

**ამ პოზიციას სრულად ეთანხმებიან წიგნის ავტორები და ასკვნიან: „ვ. პუტინი ის იშვიათი ლიდერია, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან ამოდის და არავის აძლევს უფლებას, მისი მართვის ილუზია ჰქონდეს... იგი ეროვნული ლიდერია“** (გვ. 399).



**პირისპირ შეხვედრისას ვლადიმერ პუტინმა მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ერთი თვით ადრე მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, უთხრა: «არ ვაპირებთ, ამერიკელებს მივბაძოთ და სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ვაღიაროთ მხოლოდ იმიტომ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებულია**



**როგორ მოახერხა სააკაშვილმა, რუსეთთან ურთიერთობა წარემართა ისე, რომ მიგვეღო იმის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი, რაშიც პუტინმა სააკაშვილი პირისპირ შეხვედრისას დაარწმუნა? ამის შესახებ დაინტერესებული მკითხველი წაიკითხავს წიგნში «უცნობი პუტინი»**

განათლება

## გამოსაშვები გამოცდები 12 ოქტომბრიდან დაიწყება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ყველა რაიონის 1600-ზე მეტ სკოლაში მოსწავლეები გეოგრაფიის დავალებებზე მუშაობას 12 ოქტომბერს, 09:00 საათზე დაიწყებენ. საგამოცდო პროცესში ჩართულია 2000-ზე მეტი მეთვალყურე.**

2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება — ოქტომბრის პირველ ნახევარში მეთორმეტე კლასელები გამოცდებს 4 საგანში ჩააბარებენ — ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში. იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოქტომბერში რომელიმე გამოცდაზე ზღვარს ვერ გადალახავენ ან გამოცდაზე ვერ გამოცხადდებიან, შესაძლებლობა ექნებათ, შესაბამისი საგანი წლის ბოლოს ჩააბარონ დანარჩენ 4 გამოცდასთან (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა, ისტორია) ერთად.

**ცვლილების თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლიდან გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში გაიმართება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს ჩააბარებენ, რომელთა სწავლაც დაასრულეს.**

როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ახალი სქემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება.

მოსწავლემ გამოცდაზე უნდა იქონიოს მხოლოდ საგამოცდო ბარათი, პირადობის მოწმობა და კალამი. მას უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი ჰიგიენის ნივთები (მაგ. ცხვირსახოცი) და წყალი პლასტმასის ბოთლით.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქიმიური იარაღი, ჩემი აზრით, გამოიყენა იმ ძალამ, რომელიც სისხლხორცეულად და სხვებზე უფრო მეტადაა დაინტერესებული სირიის დასუსტებით, ასადის რეჟიმის დამხობით; ისე, რომ ვერასოდეს წამოდგეს ფეხზე და საბოლოოდ გაქრეს, როგორც ისრაელის მოწინააღმდეგე და მასთან დაპირისპირებული ძალა... ეს გააკეთა ან ამერიკის, ან საფრანგეთის, ან ისრაელის დაზვერვამ.“**



# ფსევდოოპოზიცია, როგორც წესი, გარედან ფინანსდება

**უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე წლების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობდა. „საქართველო და მსოფლიომ“ ამ დღეებში სირიაში განვითარებული მოვლენების შესახებ რამდენიმე შეკითხვით, ბუნებრივია, რომ მას მიმართა.**

**— თქვენი პოზიცია სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით გაგვიზიარეთ, თუ შეიძლება.**

— უკვე საეჭვო არ არის, რომ ეს იარაღი მართლაც გამოიყენეს (გაეროს ექსპერტებმა დაადასტურეს), და ვინც გინდა იყოს ამის ჩამდენი, ეს დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ გალაშქრება.

**— ვინ აიღო თავზე ხელი, ვინ გამოიყენა მასობრივი განადგურების ეს საშუალება? რომელმა მხარემ — ასადის რეჟიმმა თუ შეიარაღებულმა ოპოზიციამ? გაქვთ ვარიანტი?**

— მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრი ორად არის გაყოფილი. **რუსეთი და ჩინეთი არ არიან დარწმუნებულნი, რომ ქიმიური იარაღი ასადმა გამოიყენა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ დანაშაული შეიარაღებულმა ოპოზიციამ ჩაიდინა.**

**აშშ და მისი პარტნიორები აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან.** დიდი პოლიტიკა ახლა ამ დისკუსიაშია ჩართული, მაგრამ ამასთანავე, თუ არ ვცდები, წლების განმავლობაში პირველად შეიმჩნევა მოწინააღმდეგეთა პოზიციების დაახლოებაც: რუსეთის წინადადებამ სირიის ქიმიურ იარაღზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ მხარდაჭერა ჰპოვა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესათანხმებელი და გადასაწყვეტი, ამიტომ დავუტოვოთ პოლიტიკოსებს უფლება, ბოლომდე მიიყვანონ ეს რთული საქმე.

მე ჩემს კერძო აზრს მოგახსენებთ.

ისრაელის სახელმწიფოს, მოგეხსენებათ, გარს ერტყმის 18 არაბული ქვეყანა. ამათგან თელავივისთვის ყველაზე უფრო საშიში იყო ერაყი, სირია, ეგვიპტე და ლიბია. ამ ოთხიდან სამი ქვეყანა — ერაყი, ლიბია და ეგვიპტე უკვე ისეა ძალაგამოცლილი მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად, რომ არანაირ საფრთხეს და საშიშროებას არ წარმოადგენენ ისრაელისთვის.

დარჩა ერთადერთი ქვეყანა — სირია.

სირიის რეჟიმი (თუ ასე მოვიხსენიებთ), ყოველთვის იყო და დღესაც არის პირველი მტერი ისრაელის სახელმწიფოსი. ლოგიკური დასკვნა: **დადგა დრო სირიის რეჟიმის დამხობისა ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი უშიშროების დასაცავად.**

რა გაკეთდა ამ სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად? გაკეთდა ის, რომ ასადის წინააღმდეგ აამხედრეს ოპოზიცია — დაიწყო და გრძელდება სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რომლის გაღვივებას ხელს უწყობენ ისრაელის პარტნიორი ქვეყნები, კერძოდ, აშშ და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები.

**— კოალიცია, რომელიც ერაყშიც, ავღანეთშიც, ეგვიპტეშიც იბრძოდა.**

— დიახ. თუმცა აქვე დავაზუსტებ, რომ სირიის დაბომბვის წინააღმდეგ ინგლისი და გერმანია გამოვიდნენ. ერთიანი პოზიცია არ არსებობს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები ეჭვობენ და საფუძვლიანადაც, რომ პრეზიდენტი ასადი არ გამოიყენებდა ქიმიურ იარაღს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რადგან ეს თვითმკვლელობას უდრიდა, ეს ერთი. მეორე — ქიმიური იარაღი დაგმობილია და აკრძალულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. მისი გამოყენება ხელ-ფეხს გაუხსნიდა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, დაეწყოთ ომი სირიის წინააღმდეგ. ეს კი გარდუვალი კრახი იქნებოდა რეჟიმისთვის.

ლოგიკურად — ასადმა იცოდა ეს ყველაფერი და არ გამოიყენებდა ქიმიურ იარაღს. ხოლო ოპოზიცია, თუნდაც შეიარაღებული, ვერ გამოიყენებდა, რადგან მას ამ იარაღზე ხელი არ მიუწვდებოდა.

**— და მაინც ვიღაცამ გამოიყენა. ვინ?**

**— ეს იარაღი, ჩემი აზრით, გამოიყენა იმ ძალამ, რომელიც სისხლხორცეულად და სხვებზე უფრო მეტადაა დაინტერესებული სირიის დასუსტებით, ასადის რეჟიმის დამხობით; ისე, რომ ვერასოდეს წამოდგეს ფეხზე და საბოლოოდ გაქრეს, როგორც ისრაელის მოწინააღმდეგე და მასთან დაპირისპირებული.**

**— გაგვიშიფრავთ?**

— დიახ. **ეს გააკეთა ან ამერიკის, ან საფრანგეთის, ან ისრაელის დაზვერვამ.** ამას დაზვერვის ენაზე აქტიურ ღონისძიებას ვეძახით. ასე ვფიქრობ მე.

**— ესე იგი, ეს იყო კარგად გათვლილი პროვოკაციული ოპერაცია, რომელსაც უკიდურესად უნდა დაეძაბა მდგომარეობა თვით სირიაში ასადის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, გზა გაეხსნა უცხოური ინტერვენციისთვის?**

— გიკვირთ? ცოტაა ამის მაგალითი უახლოეს წარსულში? არ ჩამოვთვლი, რადგან ყველანი ამის მომსწრენი ვართ, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

**ოპოზიცია ყველა ქვეყანაშია. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც აშშ-ის ინტერესის სფეროშია მოქცეული, ოპოზიცია გარედან ფინანსდება. კარგად გამოკვებილი ოპოზიცია დაუნდობელი ხდება ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, როგორც ამბობენ, რომის პაპზე უფრო კათოლიკე, და ყველა უკიდურესობაზეა წამსვლელი, მათ შორის, სამოქალაქო ომზეც.** ასე მოხდა სირიაშიც. ეს არც პირველი შემთხვევაა, არც გამონაკლისი.

**— არ იტყვით, ვინ დააფინანსა სირიის ოპოზიცია?**

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისრაელმა და საფრანგეთმა. სხვა ვინ უნდა იყოს?! დიდ ფულს ხარჯავს საუდის არაბეთი.

**— სხვა კუთხით შევხედოთ: ქიმიური იარაღის გამოყენების კუთხით, პროვოცირება, რომელიც, მეჩვენება, ბოლომდე არ გაშიფრეთ, როგორც ჩანს, როგორც მეთოდი, იყო და რჩება სპეცსამსახურების არსენალში.**

— როგორც წესი, არის. მარტივ მაგალითზე აგიხსნით. ვთქვთ, მიმდინარეობს ომი ორ სახელმწიფოს შორის და ჩვენ, მზვერავ-დივერსანტთა ათკაციან რაზმს, გვიბრძანეს ხიდის აფეთქება, რომელიც მოწინააღმდეგის კომუნიკაციურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

გავიდა ჩვენი ჯგუფი მტრის ზურგში დავალების შესასრულებლად და მოულოდნელად გადავეყარეთ ადგილობრივი მოსახლეობის მასას, რომელიც რაოდენობრივად ჩვენზე ათჯერ მეტია. რა უნდა ვქნათ?

**— უნდა ხელები ავწიოთ და ჩავბარდეთ.**

— არა. **მზვერავთა სკოლაში ჩვენ გვასწავლეს, რომ ეს უიარაღო ადამიანები ცხვრებივით წინ უნდა გავიგდოთ, დავაყენოთ ხიდზე და ავაფეთქოთ, ცოცხალი, ანუ ამბის მიმტანი რომ არავინ დარჩეს. მაგრამ ოპერაცია ისე უნდა ჩავატაროთ, ისეთი კვალი უნდა დავტოვოთ, ეჭვი რომ არავის შეეპაროს, — ეს კაცთმოძულე აქტი თავად მოწინააღმდეგის (ვის ზურგშიც ვიმყოფებით) მოწყობილია საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.**

როგორც წესი, სპეცსამსახურები ასეც აკეთებენ.

**— გავიგე, საითაც მიგყავთ საუბარი, მაგრამ, მე მგონი, პროფესიონალიზმის იმ დონის შემსრულებლები ჰყავს დღეს სპეცსამსახურებს, რომ ვერავინ დაუმტკიცებს იმავე ისრაელს — ქიმიურ იარაღთან დაკავშირებული პროვოკაციის ორგანიზებას სირიაში.**

— ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ ეს ერთუცნობიან განტოლებასავითაა. **არ ვამბობ, რომ მაინც და მაინც „მოსადის“ მოწყობილია. არიან სხვებიც. მაგრამ შეიძლება, ისრაელის სპეცსამსახურის გაკეთებული იყოს.**

იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. ამის წინაპირობები უკვე გამოჩნდა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«დადგა დრო სირიის რეჟიმის დამხობისა ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი უშიშროების დასაცავად»**

# ქართველთა სიზმრები

**ცნობილია, როცა ადამიანის ორგანიზმი მიზეზთა გამო სუსტდება, მას მზარდი ტემპით ეძალება პათოლოგიური პროცესის გამომწვევი ნაირგვარი სპექტრის ფაქტორები. ძალიან ხშირად, თავად ადამიანზე ადრე, სწორედ პათოლოგიურ პროცესთა გამომწვევი ფაქტორები იღებს ინფორმაციას ორგანიზმის დამცავი ძალების დასუსტების შესახებ და იწყებენ საარსებო არეალის გაფართოებას, რაც დამანგრევლად მოქმედებს ორგანიზმზე. ჯეროვანი დახმარების გარეშე, ეს ფაქტორები (კიბო, სხვადასხვა ინფექციები და ა. შ.) ბოლოს ულებს ადამიანს.**

ერის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ანალოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ერის მოკვლა“ უფრო ხანგრძლივ ზემოქმედებას მოითხოვს და უფრო შეუმჩნევლად მიმდინარეობს.

რა ფაქტორები ემუქრება ქართველ ერს გადაშენებით?

რა არის განსაკუთრებით ნიშანდობლივი დღეს?

**პრეზიდენტობის პრეტენდენტები, როგორც წესი, თავიანთ გამოსვლებში რატომღაც გვერდს უვლიან ეროვნულ პრობლემებს. რატომ? ვერ ხედავენ, თუ არ უნდათ რომ დაინახონ?**

პრობლემები — უმუშევრობა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სოციალური დახმარება, ინვესტიციები, რომელთა მოგვარებასაც პრეზიდენტობის კანდიდატების უმრავლესობა, წინამორბედი მთავრობის მსგავსად, კვლავ (!) ჰპირდება მოსახლეობას, შეიძლება მოვისმინოთ ევროპის თუ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მაძიებელთა ყველა პროგრამაში, ამდენად, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სწორი გზით მივდივართ. მაგრამ სად მივდივართ ამ „სწორი გზით“?

**საქართველოში ზოგჯერ შეიძლება მოვისმინოთ ასეთი მოსაზრება: გლობალიზაცია ობიექტური რეალობაა, საქართველო ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ, როგორც პატარა ერს, გარდუვალად გველის გადაშენება. ასეთ პირობებში ღირს კი ენერგიის ხარჯვა ეროვნულობის შესანარჩუნებლად? მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ასეთი აქტიურობა მატერიალურ კეთილდღეობას უპირისპირდება? მაგალითად, რატომ არ უნდა შემოვიღოთ ბათუმში ნარკოტიკების (ზოგიერთის) ლეგალიზაცია, თუ ეს უამრავ ტურისტს მოიზიდავს, ტურისტები დახარჯავენ ფულს, ფული გაგვამდიდრებს; ან, მოდი, აჭარა (აჭარით იწყებენ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო) გადავაქციოთ თურქეთის საროსკიპოდ. დასაწყისში თუ საკუთარი მეძავეები არ გვეყოფა, ჩამოვიყვანოთ სხვა ქვეყნებიდან... უცხოელების თვალში არამც და არამც არ დავუკარგოთ ქართველებს ტოლერანტული ერის სახელი, თუნდაც ამას მოჰყვეს ქვეყნის ტერიტორიების და საწარმოების ახლა უკვე ნებაყოფლობითი გადაცემა უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის. რა არის ამაში ცუდი? თუკი ეს მოიტანს ფულს? ვის მოუტანს?**

**ამ გზით მოპოვებული მატერიალური კეთილდღეობა რომ დროებითია და მოჩვენებითია, ამას მტკიცება არ ჭირდება.** მოვიყვან მხოლოდ ერთ არგუმენტს: უცხო ერის კოლონისტები სამუშაოდ თავისი მოდგმისა და რჯულის ხალხს იწვევენ (რაც სავსებით ბუნებრივია), ქართველებს კი ასაქმებენ მხოლოდ კონტრაქტის მოთხოვნის ან თანამოდგმელების არარსებობის გამო. დღეს ასეა. ხვალ? **ხვალ ქართველები საქართველოში დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსით ვიარსებებთ.**

**გლობალიზაციის ტენდენცია ობიექტური რეალობაა, ამიტომ საკუთარი იდენტურობის — ქართველობის დაცვა ერთადერთი გამოსავალია, რათა ჩვენი შვილები საკუთარ სამშობლოში უახლოეს წლებში მათხოვრების როლში არ ვიხილოთ.** მათხოვარი ამერიკელსაც, ევროპელსაც, რუსსაც, თურქსაც საკმაოდ ბევრი ჰყავს თავის ქვეყანაში, ჩვენ ვის რაში დავჭირდებით?

**რა ვაკეთოთ?**

ამაზე პრეზიდენტობის კანდიდატებმა უნდა გაგვცენ პასუხი.



**გელა ლეჟავა,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**„სოროსს აქვს კარგად ჩამოყალიბებული ეს ფორმულა: სამოქალაქო საზოგადოების დასავლური პრინციპები და ნაციონალური პოლიტიკა ერთმანეთთან კონფლიქტშია. ბჟეზინსკიმ თქვა, დავანგრიეთ საბჭოთა კავშირი, ახლა უნდა დავანგრიოთ მართლმადიდებლობაო. მსოფლიო მართლმადიდებლობას სერიოზულად შეურყიეს ტახტი. ერთმორწმუნე ხალხი დაუპირისპირეს ერთმანეთს.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ დაიცვა ამერიკის ელჩმა ამერიკის მოქალაქე ქუთაისის მერი,
## ანუ პოლიტკანიბალები მეოცნებეებსაც ჭამენ



**„საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში პატარა პოლიტიკური კანიბალების ჯგუფები მოქმედებენ, რომლებსაც მთელი რაიონი ხელში უჭირავთ და, ვინც მათ „დუდუკზე არ იბუქნავებს“, შეჭამენ“, — აცხადებს ქუთაისის ყოფილ მერი და იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად კი პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი — თემურ შაშიაშვილი. რა ხდება ქუთაისში და რატომ გამოიცვალა ქუთაისმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უკვე მეათე ქალაქის მერი?**
**თემურ შაშიაშვილთან** საუბარი ქუთაისში მიმდინარე მოვლენებით დავიწყეთ.

— ქუთაისში მუშაობა ძალიან ადვილია, უბრალოდ, ეს ქალაქი უნდა გიყვარდეს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ქალაქის მერი არ არის დამნაშავე. მე ძალიან ღრმა და სერიოზული ანალიზის საფუძველზე მეცნიერებთან ერთად მივედი იმ დასკვნამდე, რომ **საქართველოში პოლიტიკური კანიბალიზმი ყვავის. ეს პოლიტიკური კანიბალები ჭამენ განათლებულ, მოაზროვნე ადამიანებს, ჭამენ ქართულ სულსა და ცნობიერებას.** საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში პატარა პოლიტიკური კანიბალების ჯგუფები მოქმედებენ, რომლებსაც მთელი რაიონი ხელში უჭირავთ და, ვინც მათ „დუდუკზე არ იბუქნავებს“, შეჭამენ. ქალაქის მერი, დიმიტრი კოპალიანიც, სწორედ ამ პატარა პოლიტიკურმა კანიბალებმა „შეჭამეს“.

**— ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელ მამუკა მღვდელაძის განცხადებით, ქუთაისის ყოფილი მერის, დიმიტრი კოპალიანის პატიოსნება ქალაქის მერიისთვის ზედმეტი აღმოჩნდა. რა კორუფციულ გარიგებები ხდება ქუთაისში?**

— მე მამუკა მღვდელაძეზე გული მწყდება; ხან ერთ პარტიას მიეკედლა, ხან — მეორეს, თუმცა ბოლო დროს კარგ ჭკუაზე იყო. ერთს ვიტყვი: ყველა ის ადამიანი, რომელიც დიმიტრი კოპალიანის წინააღმდეგ გამოვიდა, ისტორიაში ცუდად შევა. ქუთაისის ისტორიაში ბინძური ფურცელი ჩაწერეს. რა თქმა უნდა, კორუფციული გარიგებები ხდება. თუმცა, **საინტერესოა, კოპალიანი ხომ ამერიკის მოქალაქეც არის, რატომ არ ამოიღო ხმა აშშ-ის ელჩმა? კაცი კაბინეტში შესული არ იყო, რომ უნდა წახვიდე თანამდებობიდანო, ეუბნებოდნენ. ვინც მართლა გულით იდგა „ქართული ოცნების“ გვერდით, ისინი ისევ მძიმე პირობებში ცხოვრობენ, მოღალატეები კი ქალაქებსა და რაიონებს მართავენ და ეს არ ხდება მხოლოდ ქუთაისში. მაგალითად, ნახეთ, რა ხდება ზესტაფონში, სადაც ზაალ სამადაშვილია „ჭაობის“ დირექტორი.**

**— თუმცა დიმიტრი კოპალიანმა დაწერა წერილი, რომ საკუთარი ნებით დატოვა თანამდებობა...**

— ასეთ პატიოსან კაცს, როგორიც კოპალიანია, ამ პატარა რეგიონის პოლიტიკურმა კანიბალებმა განცხადება დააწერინეს, რაღაცით შეაშინეს. ძალიან ცუდი რამ მოხდა ქუთაისში. მე გეუბნებით, ეს განცხადება არის დაწერილი კარნახით, მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს, როცა ამ წერილს წერდა, თავზე იარაღით ადგნენ და არ იცოდა, როდის ესროდნენ. გავა დრო და, ალბათ, ის ყველაფერს მოყვება...

**— ბატონო თემურ, ქუთაისში ხუმრობენ კიდეც: დაგვწყევლა შაშიაშვილმაო...**

— წყევლა ქალების საქმეა. ასეთი ხუმრობა მეც მოვისმინე. ჩემზე იმასაც კი წერდნენ, შაშიაშვილმა თქვა, ჩემს დას არ ვიცნობო. ვინც არ უნდა იყოს, კანონი ყველასთვის ერთია. ჩემი და დღეს ამერიკაში მოსამსახურედ მუშაობს. ყველა მიხვდა, რომ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა, რასაც მაბრალებდნენ.

კოპალიანი ამერიკის მოქალაქეა. თუ ამერიკასთან კარგი ურთიერთობა გინდა, რას ერჩი ამ ადამიანს? მაგრამ ამათ არ იციან, ნამდვილი ამერიკა რა არის. **ჩვენ ვიცით მაკკეინისა და ლიბერმანის ამერიკა. ამერიკის ეკონომიკური და სოციალური სისტემა არ ვიცით. ჩვენთან „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ბოკერიები ნამდვილ ამერიკას ებრძვიან, ვინაიდან ისინი ამერიკული მასონურ-სექტანტური ჯგუფებმა იყიდეს. ამიტომაცაა, რომ ჩვენთან ამერიკაზე ლაპარაკობენ და პოლიტიკა ბოლშევიკური აქვთ. სწორედ ასეთი ანტიამერიკული პოლიტიკა ჰქონდა სააკაშვილს.** სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის პოლიტიკურ რანგში აყვანა, ჩვენი ხელისუფალნი, როგორც წესი, ადვილ გზას ირჩევენ და ან ერთ დიდ სახელმწიფოს ლანღავენ, ან მეორეს.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ **არსებობენ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც მიითვისეს უფლება, პატარა სახელმწიფოები თავიანთ „დუდუკზე აცეკვონ“. ეს სახელმწიფოები დიდი პოლიტიკური კანიბალების როლს ასრულებენ. ისინი ყველა ქვეყანაში ეძებენ დასაყრდენს, სააკაშვილის მსგავს პოლიტიკურ კანიბალებს.** ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ედუარდ შევარდნაძემ მითხრა, მე თუ იმას გავაკეთებ, რასაც მთხოვენ, სიკვდილამდე პრეზიდენტი ვიქნები, მაგრამ ისედაც უკმაყოფილოა ხალხი და ის რომ გავაკეთო, რასაც მეუბნებიან, ჩემს საფლავსაც ამოთხრიანო. ეს მისი სიტყვებია. შევარდნაძესაც უთხრეს: ან გააკეთებ ყველაფერს, ან წახვალ თანამდებობიდანო და წავიდა. **ზუსტად ვიცი, შევარდნაძე გაეროს ასამბლეაზე გამოსვლას და ქართველი ერის წინაშე ყველაფრის მონანიებას აპირებდა, მაგრამ იქამდე არ მიუშვეს.**

მე ვარ ის პიროვნება, რომელიც ჯერ კიდევ 1993-1996 წლებში ამერიკელებსაც და რუსებსაც ესაუბრებოდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მათი მითითებები არ შევასრულე. პირველი ვიყავი, ვინც ამერიკაში საქართველოდან სასწავლო კურსებზე გაემგზავრა; პენტაგონში საოცარი სადილი გამიმართეს ამერიკელებმა, ევრაზიის პრეზიდენტს შევხვდი, ეროვნულ-ნაციონალურ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე კი ჟურნალისტები პირდაპირ მეკითხებოდნენ, თქვენ მომავალი პრემიერმინისტრი ან პრეზიდენტი ხართო? გამზადებენ ამისთვის და სანაცვლოდ გთავაზოვენ, ისე მოიქცე, როგორც მათ სურთ.

**— რას გთავაზობდნენ სანაცვლოდ?**

— ყოველგვარ ეროვნულზე უარის თქმას. ეს დიდი ქვეყნების პოლიტიკაა. მაგალითად, რუსების გენერალმა გერასიმოვმაც შემომთავაზა, ხუთ რამეზე უნდა თქვა უარი: ილაპარაკე, რამდენიც გინდა, დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ერთიანი საგარეო, სამხედრო, საბაჟო, საფინანსო პოლიტიკა უნდა გვქონდესო. **სოროსს აქვს კარგად ჩამოყალიბებული ეს ფორმულა: სამოქალაქო საზოგადოების დასავლური პრინციპები და ნაციონალური პოლიტიკა ერთმანეთთან კონფლიქტშია. ბჟეზინსკიმ თქვა, დავანგრიეთ საბჭოთა კავშირი, ახლა უნდა დავანგრიოთ მართლმადიდებლობაო. მსოფლიო მართლმადიდებლობას სერიოზულად შეურყიეს ტახტი. ერთმორწმუნე ხალხი დაუპირისპირეს ერთმანეთს.**

**— „რაც დრო გადის, ივანიშვილის ყოველი განცხადება შეურაცხმყოფელი ხდება უამრავი ადამიანისთვის“, — განაცხადეთ თქვენ შეკრებაზე. რატომ ფიქრობთ ასე, რა არ მოგწონთ ახალი ხელისუფლების ქმედებებში?**

— ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი ხდება ამ ხელისუფლების ქმედებები. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში საუცხოო პროგრამით მოვიდა, მაგრამ, მგონი, ეს პროგრამა თავადაც, დიდი ხანია, აღარ წაუკითხავს. ისევ დიდმა პოლიტიკურმა კანიბალებმა არ მისცეს მისი შესრულების საშუალება. მეგონა, ივანიშვილი ამ თამაშს არ ითამაშებდა, მაგრამ შევცდი. დარწმუნებული ვარ, პოლიტიკიდან წასვლაც იმიტომ უნდა, რომ შეეჩეხა იმას, რასაც არ ელოდა. **ქვეყანაში ყველაფერს ის წყვეტს, რას იტყვის ლიბერმანი, მაკკეინი ან რომელიმე ელჩი. ქართველი ხალხი რას ამბობს, არავის აინტერესებს. ქვეყნის ტრაგედია გარედან მართვადი ხელისუფალია. დაუკვირდით, ყველაფერ ამერიკულს, რაც საქართველოში შემოვიდა, NDI იყო, სოროსის ფონდი თუ „თავისუფლების ინსტიტუტი“, მარგველაშვილი ედგა სათავეში და ეს კაცი გამოდის დღეს და ჩოხით გველაპარაკება.**

ივანიშვილი თვითკმაყოფილია თავისი მუშაობით და ხალხი გაჭირვებისგან გმინავს. **თანამდებობებზე 70-80% „ქართუ ბანკიდან“ ინიშნება, შეიძლება მთელ ერს თავზე ერთი ბანკი დააჯდეს?!** ნაცვლად იმისა, რომ ივანიშვილმა ხალხს ბოდიში მოუხადოს, სამართლიანობა აღვადგინეო, — იძახის. არადა, ვინც ჩვენ დაგვარბია, დღეს ის ადამიანები ისევ თანამდებობებზე მუშაობენ.

**— გამოდის, რომ თქვენც ეთანხმებით კობა დავითაშვილის ინიციატივას — „ნაციონალებს“ თანამდებობების დაკავება აეკრძალოთ?**

— კობა დავითაშვილის ინიციატივამდე, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი თვის წინ, მეცნიერთა სადისკუსიო დაბრაზმა პაატა ცნობილაძის ხელმძღვანელობით, განაცხადა, რომ ქვეყანაში ორი რამ უნდა მოხდეს: ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები და რეჟიმი გასამართლდეს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ასეთი აკრძალვების, თუ არ მოხდა რეჟიმის გასამართლება. ჩვენ ჯერ კიდევ 4 თვის წინ გავუგზავნეთ მთავარ პროკურორს 700-გვერდიანი დოკუმენტი და მივწერეთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართველ ხალხს გენოციდი მოუწყო და ის უნდა გასამართლდეს, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. ბატონ კობას კი მინდა ვუთხრა, რომ, როგორც დეპუტატმა, ამაზე იფიქროს და მიაქციოს ყურადღება, სად არის ეს მასალა. ამ მასალის დიდი ნაწილი ბატონ ბიძინასაც გავუგზავნეთ, პასუხი არც მისგან მიგვიღია. ელემენტარული პოლიტიკური კულტურაა, პასუხი გაგვცენ. ხალხს ეუფროსებიან. მენტორული ტონით გვეუბნებიან, რომ არავითარი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო. არადა, თუ ბიძინა ივანიშვილი წავა, სამარცხვინო იქნება, რომ მისი ხათრით არჩეული პარლამენტი დარჩეს და სამარცხვინოა, რომ ივანიშვილს სურს, პრეზიდენტიც მისი ხათრით აირჩიონ.

**არ მინდა, პოლიტიკიდან წავიდეს ბიძინა ივანიშვილი. მინდა, ნინო ბურჯანაძემ გაიმარჯვოს და ყველაფერი გააკეთოს, რათა ამ კაცის პოტენციალი საქართველოს სამსახურში გამოიყენოს. ბიძინა ივანიშვილის დაღუპვა იქნება მისი კადრის პრეზიდენტად გასვლა.** თუ ეს არჩევნები არ გაყალბდა, ბიძინა ივანიშვილიც გადარჩება და საქართველოც. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში აირევა სიტუაცია და უნდა დავიწყოთ მოძრაობა „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. მარგველაშვილი არჩევნების გაყალბების გარეშე პრეზიდენტი ვერ გახდება, გამორიცხულია.

**— სააკაშვილმა ახლახან თურქეთის 936 მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, ამაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მტრის ჯინაზე თურქეთში კიდევ რამდენიმე ათასს მინიჭებს მოქალაქეობას. რას მოუტანს ეს ქვეყანას?**

— რუსთაველისა და აღაშენებლის პროსპექტებზე აღარ არის საქართველო; აჭარაში აღარ არის საქართველო. ბევრ ქართულ სოფელში, ადგილობრივ მოსახლეზე მეტი შეიძლება არაბული, ჩინური, ინდური ან თურქული ეროვნების მაცხოვრებელი აღმოჩნდეს.

ამას წინათ ესტონეთის პრეზიდენტის ნათქვამმა შემაძრწუნა. მან განაცხადა, ესტონეთის მცხოვრებლები ტოვებენ ქვეყანას არამარტო ფულის გამო, არამედ გაბოროტებულებიო. ჩვენთან კი ნიმუშად მოჰყავთ ესტონეთის მდგომარეობა. ამას გვიკეთებენ პატარა ქვეყნებს. **ათი წლის შემდეგ ქართველები უფრო ცოტანი ვიქნებით საქართველოში, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენლები. ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ვაფასებთ, რა მდგომარეობაში ვართ.**

გადახედავ და პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების 80%-ს გვარი და ეროვნება აქვს შეცვლილი. ეს არ არის საქართველოს წინააღმდეგ მომართული პოლიტიკა?! **ეს სექტები სწორედ ასეთ ხალხს აწინაურებენ. „პეტერსონ ბელქნაფმა“ ჩამოგვიყვანა სააკაშვილი და ძარცვავენ ქვეყანას. სხვა ეროვნების წარმომადგენლებს არ ვებრძვი, მაგრამ, ადამიანი რომ გვარს და ეროვნებას შეიცვლის, ის მოღალატეა. ვკითხულობ, რატომ არის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში 80% გვარშეცვლილია? ბეჟუაშვილების მამა მარტიროსიანი იყო, მე მას პირადად ვიცნობდი. ეს ხომ ქართველი ერის შეურაცხყოფაა?!** და ამის მერე მე ნუ მასწავლიან ჭკუას ბოკერია და უსუფაშვილი, იმას მიხედონ, გვარშეცვლილები, საკუთარ გვარს რომ უღალატეს, ისეთები რომ სხედან თანამდებობებზე. საბჭოთა პერიოდში არ უკადრებიათ ქართველებისთვის ასეთი რამ. ტრაგედიაა, რომ ადამიანი შენი ქართველობის, ქართული პოლიტიკის გამო, საკუთარ ქვეყანაში წინ ვერ მიდიოდე...

შევარდნაძე იმ ხალხმა დაღუპა, რომელიც ყველაფერში ეთანხმებოდა და ადიდებდა. როცა ვაკრიტიკებდი, მეუბნებოდნენ, რა გინდა, რას გადაეკიდეო. დღეს კი ბიძინა ივანიშვილს ვინც გააკრიტიკებს, მისი მტრად მოიხსენიება. როგორც ჩანს, ყველას მოსწონს გვერდით მონური ფსიქოლოგიის ადამიანები. არადა, საქართველოს მხოლოდ განათლებული ადამიანები თუ გადაარჩენენ.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები ინვესტიციებს საქართველოში შეგნებულად არ ჩადებენ, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ამით, მოგების ნაცვლად, საშინლად დაზარალდებიან. სწორედ ამგვარი სიტუაცია უწყობს ხელს თურქებისა და ირანელების დიდი რაოდენობით შემოდინებას საქართველოში.“**

# მერაბ შათირიშვილი: «ნაციონალურ მოძრაობას» არა კოაბიტაციის, არამედ მხოლოდ გადარჩენისა და რევანშის სურვილი აქვს

**სახელმწიფო, ისევე როგორც საზოგადოება, ერთ ცოცხალ ორგანიზმად შეიძლება აღვიქვათ. ამგვარად, მისი არსებობისა და განვითარებისთვის ქვეყნის ძლიერი საფუძველია საჭირო. ქვეყნის სიმყარე კი, უპირველესად, ხელისუფლების მიერ გატარებული წინდახედული პოლიტიკითა და ჯანსაღი ეკონომიკური გარემოთი იზომება. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, რა გავლენას ახდენს კოაბიტაცია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მიმდინარე პროცესებზე და ურთიერთთანამშრომლობის ნიადაგზე, რამდენად შეერწყა ერთმანეთს ძველი და ახალი ხელისუფლება ისე, რომ საზოგადოების თვალში სიჯანსაღე კიდევ უფრო დაკარგა, — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მწერალი მერაბ შათირიშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო მერაბ, მაშინ, როდესაც ხალხი დღევანდელი ხელისუფლებისგან „ნაცების“ მკაცრ გასამართლებას და დასჯას მოითხოვდა, „ქართული ოცნება“ მათი შესრულების მყარ გარანტიებს იძლეოდა, ახლა კი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესაშურად თანაცხოვრობენ და თანამშრომლობენ. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი მთავრობის ერთგვარი სისუსტე ხომ არ მჟღავნდება ამ კოაბიტაციაში?**

— მიუხედავად იმისა, რომ კოაბიტაციის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არანაირ კოაბიტაციაში არ შესულა. მიუხედავად დასავლეთისა და ევროპის სურვილისა, ჩამოყალიბებულიყო ჯანსაღი თანაცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყოფილ და ახალ მთავრობებს შორის, ეს არ მომხდარა, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ (წინა ხელისფლებას) ამის არანაირი სურვილი არ ჰქონია. ამ პოლიტიკურ ძალას აქვს არა კოაბიტაციის, არამედ მხოლოდ გადარჩენისა და რევანშის სურვილი, აქედან გამომდინარე, კოაბიტაცია, მისი ჯანსაღი გაგებით, დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სამართლიანობის სრულად არ აღდგენა და წინასაარჩევნო დაპირებების გარკვეულწილად შეუსრულებლობა კოაბიტაციის შედეგია, მაგრამ მერწმუნეთ, ასე ნამდვილად არაა. თანაარსებობა და სამართლიანობის აღდგენა სრულებით არ ემიჯნება ერთმანეთს. **კოაბიტაცია დამნაშავეს ვერ იხსნის სასჯელისგან. ვინც არ უნდა იყოს, პრეზიდენტი, პრემიერი თუ რომელიმე მინისტრი, დანაშაულის შემთხვევაში, აუცილებლად პასუხს აგებენ კანონის წინაშე.**



**— საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ძველ და ახალ ხელისუფლებებს შორის დამყარებულმა ურთიერთთანამშრომლობამ სხვა რელსებზე აქტიურად იწყო გადასვლა. თითქოს კოაბიტაციური პროცესები ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებათა შერწყმაში გადაიზარდა...**

— კოაბიტაციას თვითონ „ნაციონალური მოძრაობა“ უკეთებს ცუდ ინტერპრეტაციას. მათი გაგებით, კოაბიტაცია თურმე წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ყველაფრის პატიებას ნიშნავს. მათი აზრით, **თურმე არ უნდა დავიჭიროთ მერაბიშვილი, უგულავა სასამართლოში ექვმიტანილის სტატუსით არ უნდა დავიბაროთ, თურმე მათ ის შეჭმული თანხები, ახალგაზრდების მკვლელობები, 26 მაისი და მრავალი სხვა უბედურება უნდა შევარჩინოთ, რომლითაც ფეხქვეშ გათელეს და მიწასთან გაასწორეს მთელი ქართული საზოგადოების სახელი და ღირსება. მათ კოაბიტაციის შემდეგი გაგება აქვთ: გადავიხდი იმდენს, რამდენსაც მეტყვით, ოღონდ სასამართლოში ნუ დამიბარებთ და ნუ მომისჯით სასჯელს.** საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ კოაბიტაციამ სხვა სახე მიიღო და ის ნებით თუ უნებლიეთ შერწყმაში გადაიზარდა, მაგრამ მე გეტყვით, რომ ეს ასე არ არის. უბრალოდ, მიდის პოლიტიკური ფილტრაცია. ყველაფრის ფილტრი კი თვითონ საზოგადოებაა.

**— მოგეხსენებათ, ქვეყნის შენების საფუძველი ჯანსაღი ეკონომიკური გარემოა, რაც თავისთავად თავისუფალ კონკურენციასა და ბაზარზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ამ მხრივ კი ამჟამინდელ ხელისუფლებას უკვე თითქმის ერთი წლის თავზე დასაკვეხნი არაფერი გაუკეთებია. ამგვარი გარემოება კი ქვეყანაში თურქებისა და ირანელების შემოდინებას უწყობს ხელს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რუსეთთან ჯერ კიდევ გაურკვეველი ურთიერთობა გვაქვს. რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოუტანოს ამგვარმა პროცესებმა ჩვენს ქვეყანას და როგორ შეიძლება ვითარების გამოსწორება?**

— თურქებისა თუ ირანელების დიდი ნაკადი გამოწვეულია იმით, რომ რუსეთთან ჯერ კიდევ არ გვაქვს ჩამოყალიბებული ურთიერთობა. ქართველი ბიზნესმენების დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ჯერ კიდევ გაუწმენდელი, დაურეგულირებული ბაზარი და პოლიტიკა არ არის სწორი და მომგებიანი ჩვენთვის. ეს კი ქვეყნებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთობისას თავის შეკავებას იწვევს. ბიზნესის საფუძველი სწორედ იქაა, სადაც ქვეყნებს შორის კარგი დამოკიდებულებაა. **რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები ინვესტიციებს საქართველოში შეგნებულად არ ჩადებენ, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ამით, მოგების ნაცვლად, საშინლად დაზარალდებიან. სწორედ ამგვარი სიტუაცია უწყობს ხელს თურქებისა და ირანელების დიდი რაოდენობით შემოდინებას საქართველოში.**

ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი, სხვაგვარად არ შეიძლება. ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, რა ხდება თურქეთსა და ირანში ქართველებთან მიმართებაში. გამარტივებული სავიზო რეჟიმი მოსაზღვრე ქვეყნებს შორის, ერთის მხრივ, მომგებიან ბიზნესურთიერთობას ქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართული გენოფონდისთვის კატასტროფული შედეგების მომტანია. **აღმოსავლეთის ქვეყნები ჩვენი გენოფონდის ხარჯზე ცხოვრებას იადვილებენ, კეთილდღეობას იქმნიან, ფულს შოულობენ და ბიზნესს აკეთებენ. საქართველოსთვის კი ეს ყველაფერი კატასტროფული შედეგების მომტანია.**

ამ პროცესებთან დაკავშირებით აქტიურად უნდა იმსჯელოს ახალმა მთავრობამ და ეს ყველაფერი, რაც შეიძლება მოკლე დროში, აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს. დღეს ახალი ხელისუფლება, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრ საკანონმდებლო ინიციატივას შეფერხებებით ამტკიცებს. როგორც კი 27 ოქტომბერს საქართველოში ორხელისუფლებიანობა დასრულდება და არ იქნება ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა ვეტოების დადება და ცინიკური დამოკიდებულება საკუთარი ხალხის მიმართ, მართლები ვიქნებით, თუ ამგვარ დელიკატურ საკითხებზე პასუხს არსებული ხელისუფლებისგან მოვითხოვთ.

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

# ზუგდიდი კატეგორიულად ემიჯნება ლგბტ-ს

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

**ბატონო დავით!**

**საზოგადოება „ზუგდიდელი“ წარმოადგენს მოქალაქეთა წევრობაზე დაფუძნებულ ნებაყოფლობით გაერთიანებას. წესდების მიხედვით, მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა, ზნეობრივი და ეთიკური ქცევის ნორმების დამამკვიდრებელი ღონისძიებების გატარება და მხარდაჭერა.**

სწორედ ამის გამო საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივითა და ძალისხმევით, 24 მაისს შეიკრიბნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის თითქმის ყველა სფეროსა და სტრუქტურის წარმომადგენლები, რათა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება გეიაღლუმებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასთან დაკავშირებით და დაგმეს წლეულს, 17 მაისს ქვეყნის დედაქალაქ თბილისში მოწყობილი გეიაღლუმები. დააფიქსირეს, რომ **ზუგდიდი კატეგორიულად ემიჯნება ლგბტ-ს. მიუღებელია მათი უზნეო, ადამიანის რწმენისა და სიწმინდის შემბღალავი ქმედებები და ისინი თავიდან აცილებული უნდა იქნეს ყოველგვარი ძალადობის გარეშე.**

ბატონო დავით, გამომდინარე აღნიშნულიდან, საზოგადოება „ზუგდიდელი“ მოგმართავთ წინადადებით:

**1. მიღებულ იქნას კანონი:**

ა) ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის შესახებ;

ბ) ქვეყნის ნებისმიერ დასახლებაში გეიაღლუმების ჩატარების აკრძალვის თაობაზე;

გ) მოზარდი თაობის უცხო ტენდენციებისა და გავლენისგან მათი ეროვნული მსოფლმხედველობის დაცვისა და ჯანსაღი წესით აღზრდისთვის ოჯახის, საგანმანათლებლო სისტემებისა და საზოგადოების მიერ ერთობლივი ძალისხმევით საჭირო პრაგმატული ღონისძიებების აუცილებლობაზე, რადგან მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახისა და ერის შენარჩუნება.



**2. მაქსიმალურად შეიზღუდოს ან საერთოდ აიკრძალოს მედიის საშუალებით ყოველგვარი პროპაგანდა გეიაღლუმების მოწყობა-ჩატარების თაობაზე. მიექცეს მათი მხრიდან საჭირო ყურადღება ეროვნული ფასეულობების გაშუქებასა და ასახვას პრესის ფურცლებზე.**

**3. მიღებული იქნას, აგრეთვე, იურიდიული გადაწყვეტილება, საზღვარგარეთიდან დაფინანსირებული იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე კონტროლის დაწესების შესახებ, რომლებიც ეწევიან (ფარულ ან ღია) არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობათა პროპაგანდას.**

ბატონო დავით, ვფიქრობთ, ჩვენი მიმართვა პარლამენტისადმი არამარტო ზუგდიდელთა, არამედ მთელი სამეგრელოს მიმართვაა, იმ სამეგრელოსი, რომელზეც დიდმა ილიამ ბრძანა: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო“.

გთხოვთ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

**ულრმესი პატივისცემით,**

საზოგადოება
„ზუგდიდელის“
თავმჯდომარე
**ოთარ ფაცაცია**

„არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, ნოუთბუქის დადება რბილ საგანზე, ვინაიდან სავენტილაციო არხები დაილუქება, დედაპლატა ველარ გაგრილდება, გაცხელდება და გაითიშება. ამან შეიძლება პროცესორის, ვიდეო ჩიპის ან ჩიპსეტის გადახურება და დაზიანება გამოიწვიოს. თუ არ გაქვთ საშუალება, სპეციალური ქულერ-სადგამი შეიძინოთ, აიღეთ მყარი საგანი, წიგნი ან ხის დაფა და თქვენი ნოუთბუქი მასზე მოათავსეთ.“

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ შევარჩიოთ და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება კომპიუტერის ან ნოუთბუქის შეძენისას



**კომპიუტერული განვითარების სტუდია CDS (Computer Development Studio) საქართველოში 2003 წლიდან ფუნქციონირებს და დაინტერესებულ მომხმარებლებს ყველა სახის კომპიუტერულ მომსახურებას სთავაზობს.**

**CDS-ს აქვს ოთხი ვებგვერდი ორგანიზაციის სხვადასხვა განყოფილებისთვის:**

**www.cds.ge კორპორატიული ვებგვერდი,**

**www.ite.ge კომპიუტერული სერვის ცენტრის ვებგვერდი,**

**www.cds.shop.ge კომპიუტერული ტექნიკის ონლაინ მაღაზია,**

**www.web.style.ge ვებსტუდიის განყოფილების ვებგვერდი.**

**ცენტრში ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. აქ შეგიძლიათ შეისწავლოთ IT-ინჟინერია, ვებპროგრამირება და დიზაინი.**

**თუ როგორ უნდა მოვუაროთ კომპიუტერს და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება მისი შეძენისას, კომპანიის დამფუძნებელი დირექტორი მაია არსოშვილი და მენეჯერი რობი გაჩეჩილაძე გვესაუბრებიან.**



**რობი გაჩეჩილაძე:**

— თუ კომპანიის საქმიანობის დასაწყისში ჩვენი მთავარი მიმართულება კომპიუტერის სასწავლო კურსები იყო, ქვეყანაში კომპიუტერებთან დაკავშირებით არსებულმა ტექნიკურმა და პროგრამულმა პრობლემებმა განაპირობა, რომ 2005 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ კომპიუტერული მომსახურების სერვისი ჩამოაყალიბა. შედეგად, **დღეს მომხმარებლებს უკვე კომპიუტერული მომსახურების სრულ სერვისს ვთავაზობთ. 2006 წლიდან, CDS-ში გაიხსნა კომპიუტერული ტექნიკის მაღაზია, რომელშიც ჩვენს მომხმარებლებს ევროპული წარმოების ტექნიკის შეძენა შეუძლიათ.**

ჩვენთან ერთხელ მოსული კლიენტი აუცილებლად კიდევ ბევრჯერ ისარგებლებს ჩვენი მომსახურებით და ბევრ თავის ნაცნობსაც მოიყვანს, ვინაიდან ჩვენი უცვლელი კრიტერიუმებია — მომსახურების მაღალი ხარისხი და დაბალი ფასები.

**მაია არსოშვილი:**

— ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ხარისხის კონტროლის საკუთარი მექანიზმი გვაქვს შემუშავებული, რაც საქართველოში, კომპიუტერული მომსახურების სფეროში არავის აქვს. ჩვენთან შესრულებული სამუშაოს ფოტო და ვიდეოგადაღება ხდება, რისი მეშვეობითაც, მომხმარებელს შეუძლია, მუშაობის ხარისხი თავად გააკონტროლოს. შესრულებული სამუშაოს ფოტო მასალას კლიენტს ვუწერთ კომპიუტერში და თან ვატანთ. ამას გარდა, მასალებს განვათავსებთ ჩვენი სერვის ცენტრის ვებგვერდზე, სადაც მომხმარებელი თავისი უნიკალური სერვისის ნომრით ნახულობს, რა სახის სამუშაო ჩაუტარდა მის კომპიუტერს. **ჩვენ ვიყენებთ საკმაოდ ძვირადღირებულ სახარჯ მასალებს, მწარმოებლები გვამარაგებენ ამ მასალებით და ამიტომ გვაქვს ის ფუფუნება, რომ ყოველ კლიენტს მაღალი ხარისხი შევთავაზოთ.** სერვისში მონიტორინგს აწარმოებენ უცხოელი დამკვირვებლებიც, პერიოდულად ჩვენს თანამშრომლებს უტარდებათ ტრეინინგები და ისინი იმაღლებენ კვალიფიკაციას. ასე რომ, ჩვენთან ტყუილი გამორიცხულია. ჩვენ მომხმარებელს სრულ კომპიუტერულ მომსახურებას ვთავაზობთ.

**— როგორი საგარანტიო პირობები მოქმედებს თქვენთან?**

**რობი გაჩეჩილაძე:**

— ჩვენს ტექნიკაზე მოქმედებს მწარმოებლის მიერ დადგენილი საგარანტიო პირობები და ვადები. მაგალითად, **ASUS-ს აქვს 2-წლიანი მსოფლიო გარანტია. შესაბამისად, ჩვენს მომხმარებელს, სპეციალური საგარანტიო ტალონის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოს ნებისმიერ ASUS-ის სერვის-ცენტრში მოემსახურებიან.** ჩვენ ყველა მომხმარებელს ვუქმნით შინაურულ გარემოს, ვუწევთ კონსულტაციას და ვაცნობთ კომპიუტერის ექსპლუატაციის პირობებს.

**— როგორ შევარჩიოთ და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება კომპიუტერის ან ნოუთბუქის შეძენისას?**

**მაია არსოშვილი:**

— ყურადღება უნდა მიაქციოთ რამდენიმე დეტალს. პირველ რიგში, — ფასს და აუცილებლად რამდენიმე მაღაზიაში გადაამოწმეთ, რათა არ მოტყუვდეთ. ვინაიდან, ხშირად მოდიან ჩვენთან და გაოცებულები რჩებიან, როცა სხვა მაღაზიებში ორმაგ და სამმაგ ფასში ყიდულობენ იმავე კომპიუტერს, რომელიც ჩვენთან გაცილებით იაფი ღირს. ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ ბრენდს, თუ ვის შემოაქვს ესა თუ ის ნივთი ქვეყანაში და რა გზით მოხვდა ის მაღაზიაში. კომპიუტერს არ უნდა ჰქონდეს ნაკაწრები, არ უნდა იყოს გახსნილი. **ბევრი შემოდის „რეფაბლიშები“, ანუ გახსნილი და გარემონტებული ტექნიკა და თბილისის მაღაზიებში მათ, როგორც ახლებს, ისე ყიდიან. ამიტომ, ყუთიდან მწარმოებლის ლუქსაც არ ვხსნით, რათა მყიდველი თავად დარწმუნდეს, რას ყიდულობს.** ქართველი მომწოდებლები არ გვყავს, აღნიშნული მიზეზების გამო, მათ, უბრალოდ, ვერ ვენდობით. ჩვენ შემოგვაქვს მხოლოდ ევროპული ტექნიკა ლიტვიდან. ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ საგარანტიო პირობებს.

**— რომელი ბრენდის შეძენას ურჩევთ დაინტერესებულ მკითხველს?**

— საერთოდ ძალიან რთულია, დაასახელო, რომელი ბრენდია ცუდი ან კარგი, კარგი და ცუდი ყველა ბრენდს აქვს. თუმცა, მაგალითად ASUS, დაბალფასიანიც და მაღალფასიანიც ერთ-ერთი ყველაზე გამძლეა ნოუთბუქების მწარმოებელ ფირმებს შორის, მაგრამ ხელაღებით რომელიმე ბრენდზე ვერ ვიტყვით, რომ ცუდია.



**— უნდა ვერიდოთ თუ არა ჩინურ ნაწარმს?**

— ჩინეთში არის სამი სახის წარმოება — ამერიკისთვის, ევროპისთვის და განვითარებადი ქვეყნებისთვის. წარწერა — Made in china სულაც არ ნიშნავს ცუდს ან უხარისხოს, ამგვარი დამოკიდებულება არასწორია. საქმე ისაა, რომ ამერიკული და ევროპული წარმოებისთვის განკუთვნილი ნაწარმი საქართველოში არ იყიდება. **სამწუხაროდ, ჩვენთან შემოდის განვითარებადი ქვეყნებისთვის შექმნილი უხარისხო ჩინური პროდუქცია. სწორედ ამიტომ ვთანამშრომლობთ ლიტვასთან და იქიდან მხოლოდ ევროპისთვის ნაწარმოები ტექნიკა შემოგვაქვს.** შესაბამისად, ჩვენთან ნაყიდ ტექნიკას ქარხნული წუნი ძალიან იშვიათად თუ აღმოაჩნდება ხოლმე.

**— თუ ჩაი, წყალი ან ყავა დაგვესხა კომპიუტერის კლავიატურაზე, როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— როგორც კი ნებისმიერი სითხე მოხვდება კომპიუტერში, უნდა გავთიშოთ, ამოვაცალოთ ბატარეა, მაქსიმალურად შევეცადოთ, სითხე გადმოვწუროთ კომპიუტერიდან და სასწრაფოდ მივაკითხოთ სერვის-ცენტრს, რათა კომპიუტერი სასწრაფოდ გაიწმინდოს სპეციალური სითხეებით. **ყველამ უნდა იცოდეს, როდესაც სითხე მოხვდება ნოუთბუქში, ის უკვე „სიკვდილის კანდიდატია“ და სასწრაფოდ შველა სჭირდება.**

**— რა რჩევებს მისცემთ მკითხველს, რათა კომპიუტერმა დიდხანს იმუშაოს?**

— მოხმარებისა და ექსპლუატაციის პირობები არის ყველაზე მთავარი, რაც ყველა კომპიუტერის ყველა მეპატრონემ უნდა გაითვალისწინოს.

**არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, ნოუთბუქის დადება რბილ საგანზე, ვინაიდან სავენტილაციო არხები დაილუქება, დედაპლატა ველარ გაგრილდება, გაცხელდება და გაითიშება. ამან შეიძლება პროცესორის, ვიდეო ჩიპის ან ჩიპსეტის გადახურება და დაზიანება გამოიწვიოს. თუ არ გაქვთ საშუალება, სპეციალური ქულერ-სადგამი შეიძინოთ, აიღეთ მყარი საგანი, წიგნი, ან ხის დაფა და თქვენი ნოუთბუქი მასზე მოათავსეთ.**

თუ ნოუთბუქი ხმაურობს, „ქულერი“ იწყებს მაღალი სიჩქარით მუშაობას, შესაძლოა, სავენტილაციო არხები დახურულია, მტვერია შესული, ცხელი ჰაერი ველარ გამოაქვს გარეთ და მუშაობს მაქსიმალური დატვირთვით, რათა გააგრილოს პროცესორი. ან თუ შეატყვეთ, რომ ცხელდება, მაგრამ ჰაერი მაინც არ გამოდის სავენტილაციო არხებიდან, ამ შემთხვევაშიც სასწრაფოდ უნდა გამორთოთ კომპიუტერი და სერვის ცენტრს მიაკითხოთ.

**რობი გაჩეჩილაძე:**

— საყურადღებოა, რომ ნოუთბუქის ბატარეა უნდა დაიმუხტოს ას პროცენტამდე და შემდეგ კვების კაბელი გამოვაძროთ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასე ვამუშაოთ, რათა ბატარეა არ გაზარმაცდეს. ეს ბატარეას სიცოცხლისუნარიანობას უხანგრძლივებს.

**— რამდენ ხანში ერთხელ არის საჭირო კომპიუტერის ტექნიკური გასუფთავებაAან „ვინდოუსის“ ჩაწერა?**

**— კომპიუტერის ტექნიკური გაწმენდა ყოველ 6-8 თვეში ერთხელ აუცილებელია. „ვინდოუსმა“ შესაძლოა დიდხანს გაძლოს, მაგრამ, თუ დროზე არ გაწმენდთ კომპიუტერს, შესაძლოა, სავალალო შედეგამდე მივიდეს.** სერვის ცენტრში ბევრი კურიოზი ხდება, გვაქვს სია „რა ვიპოვეთ ტექნიკაში“ — ნოუთბუქების სიის ლიდერია ობობა თავის მსხვერპლებთან ერთად. ნოუთბუქის დედაპლატასთან „სიდი დისკიც“ კი დაგვხვდა, ოღონდ ეს როგორ „მოახერხა“ პატრონმა, დღემდე არ ვიცით. პრინტერებში ოცთეთრიანები, სიგარეტები, სტეპლერებიც კი გვინახავს. ამ ყველაფერზე ახლა გვეღიმება, მაგრამ ეს საშინელებაა. **უნდა მოვერიდოთ უცხო საგნების ტექნიკაში მოხვედრას, ეს ყველაფერი ტექნიკას ვნებს და შეიძლება ჩვენი ჩარევა დაგვიანებულიც კი აღმოჩნდეს.**

**— ეკრანის გაწმენდის დროს რა ნორმები უნდა დავიცვათ?**

**მაია არსოშვილი:**

— იყიდება სპეციალური ეკრანის გამწმენდი ხელსახოცები ე.წ. სველი სალფეთქები, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება, რადგან ისინი ეკრანზე კვალს ტოვებს და აზიანებს მას. **აუცილებელია, ეკრანი სპეციალური სითხით გაიწმინდოს. ჩართული ტექნიკის გაწმენდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.**

**— ვინ არიან და რა სახის შეღავათებით სარგებლობენ თქვენი მუდმივი მომხმარებლები?**

— ჩვენი მუდმივი კლიენტები დიდი შეღავათებით სარგებლობენ. იქიდან გამომდინარე, რომ CDS არის მრავალპროფილიანი ორგანიზაცია. ჩვენს მომხმარებლებსა და კონტრაქტორ კომპანიებს კომპიუტერული მომსახურების სრულ პაკეტს ვთავაზობთ. ჩვენ ვზრუნავთ მათზე და, რა თქმა უნდა, ისინი ყველა შესაძლო ფასდაკლებით სარგებლობენ. ჩვენი კონტრაქტორები დიდი კომპანიები არიან, მაგრამ მე მათ არ დავასახელებ, რადგან „ IT აუთსორსინგი“ ინფორმაციის კონფიდენციალურობასაც ითვალისწინებს. რაც შეეხება კერძო პირებს ჩვენი ერთგული მომხმარებლები ყოველთვის სარგებლობენ ფასდაკლებებითა და შეღავათებით. რამდენიმე თვეა, რაც CDS-ის „ფანკლუბი“ ჩამოყალიბდა და უკვე 1690 ადამიანია გაწევრიანებული. ჩვენთან აქციები და ფასდაკლებები კლუბის წევრებისთვის ხშირად იმართება.

**რობი გაჩეჩილაძე:**

**კომპიუტერის ტექნიკური გაწმენდა ყოველ 6-8 თვეში ერთხელ აუცილებელია. «ვინდოუსმა», შესაძლოა, დიდხანს გაძლოს, მაგრამ, თუ დროზე არ გაწმენდთ კომპიუტერს, შესაძლოა, სავალალო შედეგამდე მივიდეს**

**მაია არსოშვილი:**

**ყველამ უნდა იცოდეს, როდესაც სითხე მოხვდება ნოუთბუქში, ის უკვე «სიკვდილის კანდიდატია» და სასწრაფოდ შველა სჭირდება**

მოამზადა **შორენა ცივქარაშვილმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოველდღიურად მხოლოდ ძალადობის მიზეზით ქვეყანაში ხუთზე მეტი ბავშვი კვდება! უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ოჯახური ძალადობის გამო ოთხჯერ მეტი ბავშვი მოკვდა, ვიდრე ერაყისა და ავღანეთის ომში — ჯარისკაცი.**

# ამერიკაში ბავშვებზე ტოტალური ძალადობის ეპიდემია მძვინვარებს



**დედამ შვილი მთელი ღამით ჩამოკიდა ტანსაცმლის საკიდზე. მამამ შვილს ფეხები მდუღარე ზეთში ჩააყოფინა. დედინაცვალმა გავარვარებული დანა მიიტანა გერის გენიტალიებთან და მოჭრით დაემუქრა. ოჯახურმა წყვილმა 8 ათას დოლარად დაითანხმა ქალი, მათთვის ბავშვი გაეჩინა, შემდეგ კი ეს ბავშვი პორნოგრაფიული ფილმების მთავარ „გმირად" აქცია — ბიჭი რვა პედოფილის მსხვერპლი გახდა... ამერიკაში ბავშვებზე ტოტალური ძალადობის ეპიდემია მძვინვარებს.**



არიზონაში მდებარეობს ბავშვებისადმი სასტიკი დამოკიდებულების მსხვერპლთათვის დახმარების უმსხვილესი ნაციონალური ორგანიზაცია Childhelp-ის ოფისი. იქ ათასობით გულახდილი წერილი ინახება. წერილებში კი ასახულია დამახინჯებული ბედის, დასახიჩრებული ცხოვრების, დამსხვრეული ფსიქიკის უამრავი შემთხვევა... შიში და ტკივილი.

**რონალდი: „აქტიური ბავშვი ვიყავი, ბევრს ვლაპარაკობდი. დედამ სახეზე პირსახოცი ამაფარა და იმდენ ხანს მაჩუმებდა ამ მეთოდით, ვიდრე უჰაერობის გამო ხრიალი არ დავიწყე. ვფიქრობ, დედას ვეზიზღებოდით. მესმოდა, როგორ სცემდა ხოლმე ჩემს უფროს დას და ადანაშაულებდა, რომ მამასთან იწვა".** საბოლოოდ ეს ბიჭი სახლიდან გაიქცა, მაგრამ არც ნათესავებმა დაიცვეს. ბიძაშვილმა, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა, ერთხელ დასჯის მიზნით ბავშვს პირში საბურავების გასაბერი მილი ჩაუდო და ჰაერი გაუშვა. ბავშვს შინაგანი ორგანოები დაუსკდა, ექიმებმა ძლივს შეძლეს მისი გადარჩენა. რონმა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაბედა საკუთარი ისტორიის მოყოლა.

**ბრენდა: „დედა პატარაობიდანვე მცემდა. საწოლის ქვეშ ვიმალებოდი ხოლმე, როდესაც მესროდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. კოშმარი მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე დაწყებითი სკოლა არ დავამთავრე. მეგონა, რომ ამით ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ამ დროს საქმეს მამაჩემი შეუდგა... უკანასკნელად იმ დღეს მცემა, როდესაც 18 წელი შემისრულდა. გავიქეცი სახლიდან და სხვა ქალაქში წავედი. ახლა მხოლოდ ტელეფონით ვეკონტაქტები მათ. ასე უფრო უსაფრთხოა. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ბიჭი იშვილეს. იმედი მაქვს, მის მიმართ მაინც მეტ სიკეთეს გამოიჩენენ".**

**ხევენლი: „მამინაცვალი ნიჩბით მცემდა. დუნდულებს თმის დასახვევი უთოთი მიწვავდა. ერთხელ სახეში ისე გამარტყა, კინაღამ დავბრმავდი. მაიძულებდა, დამელია რაღაც ქიმიკატები, მეჭამა სანაგვე ბუნკერიდან და მემუქრებოდა, რომ განავალს მაჭმევდა... ახლა 19 წლის ვარ და მუდმივად დეპრესია მაქვს, არ შემიძლია ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობები დავამყარო".**

**ლი: „ოთხწლიანი წამება საკუთარ სახლში. თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ გადავრჩი და ახლა გაღიმებაც კი შემიძლია. მაგრამ ნაიარევები დამრჩა. ყველაზე ახლობელმა ადამიანებმა წამართვეს უბიწოება და მომპარეს ბავშვობა. შევძლებ თუ არა, რომ ოდესმე ნამდვილად თავისუფალი ვიყო? ამ მონსტრებმა სული გამიუპატიურეს, მოკლეს ჩემი გონება და სამარე გაუთხარეს ჩემს გულს".**

აშშ-ში ბავშვებზე ძალადობასთან დაკავშირებით Childhelp-ის ანგარიშში ასახული ფაქტები შოკისმომგვრელია. **ყოველდღიურად მხოლოდ ძალადობის მიზეზით ქვეყანაში ხუთზე მეტი ბავშვი კვდება! უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ოჯახური ძალადობის გამო ოთხჯერ მეტი ბავშვი მოკვდა, ვიდრე ერაყისა და ავღანეთის ომში — ჯარისკაცი.** ამრიგად, როგორც კვლევის ავტორები ასკვნიან, **ამ მაჩვენებლით აშშ-მა მთელს მსოფლიოში განვითარებულ ქვეყნებს შორის ანტირეკორდი დაამყარა.** ბავშვების მიმართ ყველაზე გავრცელებული უსამართლობა მათი სიცოცხლისა და ინტერესების გაუფრთხილებლობაა (78,3%). მეორე ადგილზეა ფიზიკური ძალადობა (17,6%), შემდეგ მოდის სექსუალური ძალადობა (9,2%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (8,1%). **ყოველწლიურად 6 მილიონ ბავშვზე ძალადობის 3,3 მილიონი შემთხვევის შესახებ იტყობინებიან.**

## უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აშშ-ში 20 ათასი ბავშვი საკუთარ სახლში მოკლეს საკუთარი ოჯახის წევრებმა

ძალადობის შედეგად დაღუპული ყოველი ხუთი ბავშვიდან ოთხი ხუთ წელზე ნაკლები ასაკისაა. ამასთან, შემთხვევათა დაახლოებით 60% გარდაცვალების მოწმობაში არ ფიქსირდება, რომ სიკვდილის მიზეზი ბავშვისადმი ცუდი მოპყრობა გახდა. ბავშვების სიკვდილიანობის ნამდვილ მიზეზებს საგულდაგულოდ მალავენ, **„ყველაზე უარესი ისაა, რომ ყოველწლიურად ქვეყანაში მდგომარეობა ლიგიურ თემში, ოჯახების განათლების ხარისხის მიუხედავად. აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაახლოებით 30% მოზრდილობისას ანალოგიურად ძალადობენ უკვე საკუთარ შვილებზე და განაგრძობენ ამ საზარელ, არაადამიანურ ციკლს".**




გასულ წელს „ბი-ბი-სის" ჟურნალისტებმა დოკუმენტური გამოძიება ჩაატარეს და მივიდნენ ამაზრზენ დასკვნამდე, რომ **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აშშ-ში 20 ათასი ბავშვი საკუთარ სახლში მოკლეს საკუთარი ოჯახის წევრებმა.** ჟურნალისტებმა ბავშვებისადმი ამგვარი დაუნდობლობის მიზეზად სიღატაკე დაასახელეს, მაგრამ ეს აბსოლუტურად მხეცურად ჟღერს მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ქვეყანასთან მიმართებაში. ფაქტი კი ფაქტად რჩება — **პრობლემური ოჯახების უმეტესობა საჭირო დახმარებას ვერ იღებს, ბავშვებს კი სახელმწიფო ვერ იცავს.**

ამერიკული სახელმწიფო თავის პატარა მოქალაქეებს თავადაც ბოროტი დედინაცვალივით ექცევა. სიცოცხლის საფრთხე და თავისუფლების შეზღუდვა ბავშვებს ყველგან ემუქრება, თვით სკოლაშიც კი. მთელს ამერიკაში საგანმანათლებლო ბიუჯეტები მცირდება. მასწავლებლების კვალიფიკაცია სულ უფრო იკლებს. ამ ყველაფერმა განაპირობა შეუწყნარებლობის პოლიტიკა, რომელიც მთავრდება იზოლაციით, თავისუფლების შეზღუდვით, განდევნით და სულ უფრო ხშირად სამართალდამცავების ჩარევით ბავშვთა დასჯის საქმეში.

შოკისმომგვრელი ინციდენტების შესახებ ახალ ამბებს პერიოდულად ყველა შტატის გაზეთები იუწყებიან. **ბრუკლინში აუტიზმით დაავადებული 5 წლის ბავშვი ტრამვირებულ იქნა პოლიციელების მიერ. ისინი სკოლაში გამოიძახეს, როდესაც ბავშვს ისტერიკა დაეწყო და მასწავლებლებმა ვერ გაარკვიეს, რა ექნათ. ადგილზე მოსულმა პოლიციელებმა ბავშვს, უბრალოდ, ხელები გადაუგრიხეს, საკაცეზე დააბეს და ფსიქიატრიულში გააქანეს.** როდესაც შემთხვევის ადგილზე მისული დედა და ბებია ბავშვს გამოესარჩლნენ, პოლიციელებმა ორივეს ხელბორკილები დაადეს, დამატებით ბებიას ნეკნებიც ჩაუმტვრიეს.

**ალბუკერკში პოლიციელებმა ხელბორკილები დაადეს 7 წლის ბავშვს.** სკოლაში პოლიცია მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ბავშვმა საკლასო ოთახში სირბილი, ყვირილი და მასწავლებლისთვის რეზინების სროლა დაიწყო.

**ატლანტაში ინვალიდმა მოსწავლემ ტონი სმიტმა ადგილობრივ პოლიციას და სკოლის ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ იგი შვიდი საათის განმავლობაში კარადაზე მიაბეს.** ტონი იმის მოწმე გახდა, თუ როგორ წაართვა ერთმა მოსწავლემ მეორეს ორი დოლარი. პოლიციამ ვერ მოიფიქრა რაიმე უფრო გონივრული, ვიდრე გადაადგილების შეზღუდვა იყო, რათა ბავშვისგან როგორმე საჭირო ინფორმაცია გამოეწურა.

**აიდაჰოს შტატში პოლიციამ ხელბორკილები დაადო და დააპატიმრა 8 წლის ეველინ ტაური.** ინცინდენტი იმით დაიწყო, რომ ეველინი არ შეუშვეს სკოლაში თავისი საყვარელი ზედატანის გამო, რომელზეც მულტფილმის გმირი ძროხა იყო ამოქარგული. მასწავლებლებს ეს ზედატანი არ მოეწონათ. გოგონამ ყვირილი და ხელების ქნევა დაიწყო, მასწავლებლებმა კი პოლიცია გამოიძახეს. ამ უკანასკნელმა ბავშვი არასრულწლოვანთა ციხეში წაიყვანა.

და ეს ყველაფერი აისბერგის მხოლოდ მწვერვალია. ანალოგიური შემ- ▶

## თანამედროვე ამერიკის კიდევ ერთი უმთავრესი დაავადება საკუთარ შვილებზე სექსუალური ძალადობაა

**მსოფლიო ვაშინგტონის გადარჩენას არ აპირებს, მას ვერ იტანენ თავისი უზარმაზარი კრედიტებითა და უცხოური დახმარებებით. ამერიკელები უნდა მოემზადონ, დიდწილად აანაზღაურონ საკუთარი დაუდევრობა, უდარდელობა და უგუნური რწმენა, რომ მათ ცუდი არაფერი დაემართებათ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტეხასის შტატში უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მასწავლებლებმა 18 ათასჯერ გამოიყენეს ხელბორკილები მოსწავლეთა დასასჯელად. როტინბერგ-ცენტრის სკოლაში კი აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა დასამშვიდებლად საერთოდაც ელექტროშოკს იყენებდნენ

◀ თხვევების ჩამონათვალი ყოველდღიურად იზრდება. სკოლების ხელმძღვანელობები არ ითვალისწინებენ თანამედროვე ბავშვების განსაკუთრებულობებს. **წელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა 6 წლის სელესია ჯონსონის საქმეს. მან ისტერიკა გამართა დირექტორის კაბინეტში, მაგრამ დირექტორს ბავშვის დამშვიდება არც უცდია, უბრალოდ, გამოიძახა პოლიცია, ამ უკანასკნელმა კი „დამნაშავეს" ხელბორკილები დაადო.**

სამოქალაქო უფლებების დაცვის ამერიკულ კავშირში ადასტურებენ, რომ **ყველა შტატში მკვეთრად იმატა შემთხვევებმა, როდესაც სკოლის ხელმძღვანელობები პოლიციას მიმართავენ ბავშვების ყოველდღიური ცუღლუტობების აღსაკვეთად. ამასთან, აღნიშნული ზომების გამოყენებისას არავინ ითვალისწინებს, ჯანმრთელია ბავშვი თუ ინვალიდი.**

ამასთან, აშშ-ში განუხრელად იზრდება ინვალიდი ბავშვების რაოდენობა. ყოველწლიურად მატულობს სხვადასხვა ინტელექტუალური, ემოციური და შემეცნებითი შეფერხებების მქონე ინვალიდი ბავშვების რიცხვი. იგულისხმება, რომ ანალოგიური რამ უნდა აღელვებდეს ყველა დონის ხელისუფლებას, მაგრამ სინამდვილეში სიტუაცია აბსოლუტურად საპირისპიროა და **სკოლების ხელმძღვანელობები სულ უფრო ხშირად იშველიებენ პოლიციის ძალას მსგავსი მოსწავლეების დასასჯელად.**

ორეგონის სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ამგვარი პრაქტიკა პირველ რიგში ინვალიდ ბავშვებს ეხებათ. ყოფილა სიკვდილიანობით დასრულებული შემთხვევებიც კი. და ეს მხოლოდ ჩვეულებრივ სკოლებს არ ეხება. **ფსიქიკური დაავადებების მქონე ბავშვების დასამორჩილებლად პოლიციას თვით სპეციალიზებულ სკოლებშიც კი იძახებენ, იქ, სადაც, წესით, ანალოგიური შემთხვევებისთვის სათანადოდ მომზადებული მასწავლებლები უნდა მუშაობდნენ.**

მაგალითად, იონკერსის ბავშვთა გამაჯანსაღებელი ცენტრის პაციენტი, 16 წლის კორი ფოსტერი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც პოლიციამ მისი დაკავებისას ძალა გამოიყენა. შემდგომში გაირკვა, რომ წესრიგის დასამყარებლად პოლიციის გამოძახება ამ ცენტრში ჩვეულებრივი ამბავია. მისისიპის სპეცსკოლებშიც დასაწყნარებლად ბავშვებს ხშირად ადებენ ხელბორკილებს. **ტეხასის შტატში უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მასწავლებლებმა 18 ათასჯერ გამოიყენეს ხელბორკილები მოსწავლეთა დასასჯელად. როტინბერგ-ცენტრის სკოლაში კი აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა დასამშვიდებლად საერთოდაც ელექტროშოკს იყენებდნენ.**

**თანამედროვე ამერიკის კიდევ ერთი უმთავრესი დაავადება საკუთარ შვილებზე სექსუალური ძალადობაა.** მსხვერპლთა წერილებს შორის ამის დამადასტურებელი არაერთი საბუთია.

**სერილი: „მახსოვს, რომ ოთხი წლისას უკვე მცემდნენ ხოლმე. სიგარეტისგან ამომწვარი ხელები და მდუღარე ყავის ნაკვალევი კი სამუდამოდ დამრჩა. დედა მეორედ გათხოვდა. მამინაცვალი კი მის თვალწინ მაუპატიურებდა, როცა ჯერ კიდევ არასრულწლოვანი ვიყავი. იგი მაიძულებდა, მეყურებინა მისი და დედაჩემის სექსისთვის. დედამ მაიძულა პროსტიტუცია, მაიძულა მიმეღო ალკოჰოლი, ნარკოტიკები... 16 წლის ასაკში გავიქეცი მათგან".**

**ჯესი: „მამისა და პაპის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გავხდი. პირველად საკუთარმა მამამ გამაუპატიურა. ზაფხულში კი, როდესაც მშობლებმა ბებიასა და პაპასთან გამიშვეს, იგივე გააკეთა პაპამაც. პაპა ყოველ დღე მაიძულებდა ორალურ სექსს. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ, რაც ოჯახში ხდებოდა, ოჯახშივე უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გავაცნობიერე, თუ რა მიქნეს ამ კაცებმა".**

**არიანი: „ჩემი მშობლები განქორწინდნენ, როდესაც დაახლოებით ერთი წლის ვიყავი. შემდეგ დედამ ბოიფრენდი გაიჩინა. იგი ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. დედა ბევრს მუშაობდა, მე მასთან ერთად მიწევდა დარჩენა. თავდაპირველად პორნოგრაფიას მაყურებინებდა და მაიძულებდა, დედისთვის არაფერი მეთქვა. შემდეგ ორალური სექსი მაიძულა. შემდეგ დაიწყო ჩემთვის სექსუალური ტანსაცმლის ყიდვა. ბევრ რამეს, რაც ხდებოდა, მობილური ტელეფონით იღებდა. მალე ეს ყველაფერი მოსწყინდა და გამაუპატიურა. ვტიროდი, ვეხვეწებოდი, შეეწყვიტა. მაშინ 12 წლის ვიყავი. დედა არ მიჯერებდა, „მეძავს" მეძახდა და ამბობდა, რომ ამ ყველაფერს ვიგონებდი. ახლა 16 წლის ვარ და უკვე მყავს შვილი, მაგრამ შევძლებ კი, ოდესმე დავივიწყო ეს ყველაფერი და თავადაც არ ვიქცე მონსტრად?"**

ძალადობის მსხვერპლი ბავშვები 60%-ით უფრო მეტჯერ ხდებიან არასრულწლოვანი დამნაშავეები და 30%-ით უფრო ხშირად ხვდებიან ციხეში ზრდასრულობისას. **აშშ-ში პატიმარი ქალების მესამედი ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო. ნარკომანებს შორის იგივე მაჩვენებლი ორ მესამედს აღწევს.**

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ამერიკა უკვე შეეგუა ამ ყველაფერს და ბავშვებზე ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტებს უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ჯოჯოხეთი, რომელიც ამერიკის ოჯახებში ტრიალებს, იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ მას განსაკუთრებულ ყურადღებასაც კი აღარ აქცევენ, პრესაში გამოხმაურება მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულად მხეცურ და ამაზრზენ შემთხვევებს მოჰყვება. ამერიკა საკუთარ და სხვათა შვილებზე ძალადობის ეპიდემიამ წალეკა!

ru.fbii.org

## აშშ-ში პატიმარი ქალების მესამედი ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო. ნარკომანებს შორის იგივე მაჩვენებლი ორ მესამედს აღწევს

# შტერი ობამა და იდიოტი კერი

## ამერიკა სრულად დისკრედიტებულია

**შტერმა პრეზიდენტმა ობამამ და იდიოტმა სახელმწიფო მდივანმა კერიმ აშშ-ის ხელისუფლება თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე უარეს დიპლომატიურ მარცხამდე და პრეზიდენტის კანცელარიის, სახელმწიფო დეპარტამენტის თუ მთელი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი უნდობლობამდე მიიყვანა.**



ერაყისა და ლიბიის განადგურებისას გამოყენებული წარმატებული ტყუილების ძველი ხიბლით მთვრალი ობამა ფიქრობდა, რომ აშშ „ზესახელმწიფო", „განსაკუთრებული" და „აუცილებელი" ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია, იგივე ფანდი ახლაც გამოიყენოს სირიასთან მიმართებაში.

მაგრამ ჩვეულებრივმა მსოფლიომ ისწავლა, ვაშინგტონური ციებცხელების გამო არ დათანხმდეს ომს, თუ რეალური მტკიცებულებები არ არსებობს. **სულელი ობამა კუთხეში მიიმწყვდიეს არაკომპეტენტურმა და არასაიმედო მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საქმეში — სიუზენ რაისმა და იმ ნეოკონსერვანტების გროვამ, რომლებიც მხარს უჭერენ მას.**

რომელი შტერი ჩაიგდებდა თავს ამგვარ უსუსტეს მდგომარეობაში?

ახლა ობამა მარტოდმარტო დარჩება, იზოლირებული; შეეცდება, თავი დააღწიოს მუქარებს, რომ გაეროს, ნატოს ან კონგრესის თანხმობის გარეშეც განახორციელებს შეტევას, კონგრესისა, რომელსაც სრულ იგნორირებას უკეთებს დიქტატორული ქვეყანა. **ნიურნბერგული სტანდარტებით საომარი აგრესია სამხედრო დანაშაულია. ვაშინგტონი ამ დრომდე თავს უფლებას არ აძლევდა, საკუთარი სამხედრო დანაშაულები გაეროსა თუ ნატოში დამტკიცებით შენიღბვის გარეშე განეხორციელებინა. მაგრამ, მიუხედავად ამ „შეთანხმებებისა", ისინი მაინც სამხედრო დანაშაულებებად რჩება.**

მაგრამ ნაციონალური უშიშროების საკითხებში მისი მრჩეველი და ნეოკონსერვატორები ეუბნებოდნენ ობამას, რომ მან უნდა დაამტკიცოს: პრეზიდენტი ნამდვილი ვაჟკაცია, რომელსაც შეუძლია, მარტომ ჩაიდინოს სამხედრო დანაშაულები გაეროს, ნატოს ან აშშ-ის მხდალი კონგრესის მხრიდან მფარველობის გარეშე. ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, მართალია. რომ ის და მხოლოდ ის არის „გადამწყვეტი" ცეზარი, რომელიც ადგენს, რა არის დასაშვები და რა არა. **„ერთადერთი ზესახელმწიფოს" ცეზარი ახლა ვალდებულია, დაამტკიცოს თავისი ძალაუფლება ყველა კანონზე, თორემ ვაშინგტონი მსოფლიოში ჰეგემონიას დაკარგავს.**

**თუ ობამა პოლიტიკიდან წავა, მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე სამხედრო დანაშაულებების გამო დევნა ელის და ვერასდროს დატოვებს აშშ-ს.**

**მიუხედავად ყველაფრისა, აშშ-ის ხელისუფლებამ მთელ მსოფლიოში დაკარგა ავტორიტეტი და მას ველარასდროს დაიბრუნებს, თუ ბუშისა და ობამას რეჟიმები სამხედრო დანაშაულებისთვის სასამართლოს არ გადაეცემა.**

ობამას მიერ აშშ-ისადმი ნდობის განადგურება დიპლომატიის საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდება. **თუ მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთარში არა, 2014 წელს მაინც აშშ გარდაუვალად აღმოჩნდება უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირისპირ.**

აშშ-ის დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის, როლის ხანგრძლივი ვადით ბოროტად გამოყენებით აშშ-ის ხაზინა დაუსრულებლად იღებდა ახალ ვალებს, ბეჭდავდა ფულს, რომ გადაერჩინა ის ბანკები, რომლებიც „ძალიან დიდია იმისთვის, რომ განადგურდეს". შედეგი აშშ-ის ხელისუფლებას სრულ კრახს უმზადებს, კრახს, რომელიც ამ ხელისუფლების ინტელექტთან, ცოდნასა და ვაჟკაცობასთან შედარებით ძალიან დიდია საიმისოდ, რომ გაუმკლავდნენ.

როდესაც ობივატელისთვის შტორმი დაიწყება, არაკომპეტენტური და კორუმპირებული ფედერალური სარეზერვო სისტემა, ასევე არაკომპეტენტურ და კორუმპირებულ აშშ-ის ხაზინასთან ერთად, იმაზე მეტ ნდობას ვერ მოიპოვებს, ვიდრე ობამასა და ჯონ კერის აქვთ.

დანარჩენი მსოფლიო, განსაკუთრებით მარიონეტული ნატო, უბრალოდ, დასცინებს ვაშინგტონს. მათ სიამოვნებას მიანიჭებს „მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოს" დისკომფორტი.

**მსოფლიო ვაშინგტონის გადარჩენას არ აპირებს, მას ვერ იტანენ თავისი უზარმაზარი კრედიტებითა და უცხოური დახმარებებით. ამერიკელები უნდა მოემზადონ, დიდწილად აანაზღაურონ საკუთარი დაუდევრობა, უდარდელობა და უგუნური რწმენა, რომ მათ ცუდი არაფერი დაემართებათ.**

ორი ათწლეულია, აშშ-დან სამუშაო ადგილები პერიფერიებში გადადის და მესამე მსოფლიოში ასაქმებს იაფ მუშახელს. **„მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფო" უკვე იტანჯება — მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიცოცხლე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.** ვინაიდან ეკონომიკა სულს ღაფავს, სახელმწიფოს უმცირდება მზარდი მოთხოვნების მოსახლეობის გადარჩენის შესაძლებლობები. მდიდრები მოითხოვენ, რომ ღატაკები მათ სასიკეთოდ გაიწირონ, პოლიტიკური პარტიები კი წინ ვერ აღუდგებიან მათ.

რამდენი დრო გავა, სანამ ამერიკის მოქალაქეები ქუჩებში გამოვლენ საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ?

**ამერიკელებმა გასწირეს თავისუფლების მოთხოვნები.** ამერიკელებს სჯერათ, რომ ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, დროშაში გამოხვევაა, ხალხი კი, ყოველ შემთხვევაში მისი უდიდესი ნაწილი, მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას მწოლიარე მდგომარეობაშიც შეუძლია განაგრძოს ლაპარაკი.

**თუ ამერიკელები ხელისუფლების ტყუილების დაჯერებას განაგრძნობენ, მათ მომავალი არ ექნებათ. უფრო სწორად, ამერიკელებმა უკვე დაკარგეს რეალური მომავალი. „ამერიკული საუკუნის" ნეოკონი უფრო მალე დასრულდა, ვიდრე დაიწყებოდა.**

ღმერთმა უშველოს გადებილებულ და უბედურ ქვეყანას, რომელსაც შტერი წარმოადგენს.

**პოლ კრეიგ რობერტსი,**
**„რეიგანომიკის მამა", საპატიო ლეგიონერის ორდენის კავალერი, გავლენიანი რესპუბლიკელი, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწე.**

paulcraigroberts.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად ათასობით ბანკი ათეთრებს 1,5 ტრილიონამდე ნარკოდოლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფულის 80% შემდეგ აშშ-ში რჩება, გამოდის, რომ ყოველწლიურად ამერიკის ეკონომიკურ სისტემას 1,2 ტრილიონი ბინძური დოლარი ემატება.**

# აშშ-ის ეკონომიკა ნარკოდოლარებზეა დამოკიდებული



**კლასიკურ ვესტერნებში უკვდავყოფილი ტეხასური ელ-პასო და მექსიკური სიუდად-ხუარესი ძველებურად დგანან რიო-გრანდეს საპირისპირო ნაპირებზე და ისევე, როგორც ველური დასავლეთის დროს, ახლაც განასახიერებენ უკანონობასა და ცივილიზაციას შორის საზღვარს. თუმცა დღეს ხიდზე აღარ დარბიან მძარცველების ბანდები, აქ მოძრაობს ათასობით სატვირთო მანქანა, რომელთა ტვირთებს შორის უმთავრესს, უკვე არაერთი ათწლეულია, კოკაინი წარმოადგენს.**

## ნარკოდოლარები, როგორც წამალი ბანკებისთვის

სწორედ აქ აკუმულირდება მოცულობით უპრეცედენტო რაოდენობის ნარკოტიკების დინებები მთელი ლათინური ამერიკიდან: მარიხუანა, ჰეროინი, ამფეტამინი, LSD და, რაღა თქმა უნდა, კოკაინი.

გასაკვირი არაა, რომ **სიუდად-ხუარესი არა მხოლოდ მთავარი მიმღებ-გამგზავნი პუნქტია მექსიკასა და აშშ-ს შორის, არამედ ყველაზე კრიმინოგენული ქალაქიც მსოფლიოში — ყოველდღიურად აქ, სულ მცირე, ათი ადამიანი კვდება.** თითქმის ყოველ დილით ქუჩებში მრავლადაა კარტელებს შორის ღამეული გარჩევების ნაკვალევი: მოჭრილი თავები, ჩაცხრილული მანქანები, დამწვარი ცხედრები — ასე გამოიყურება საბოლოო პუნქტი ნარკოტიკების გზაზე, ვიდრე ეს ნარკოტიკები აშშ-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდება. თუმცა რიო-გრანდეს გადაკვეთის შემდეგ ყველა ნარკოომი რაღაც სასწაულებრივად სრულდება. ამ შემთხვევაში ნარკოპოლიცია არაფერ შუაშია, მთავარი აშშ-ის კორპორატიულ-სახელმწიფო წყობაა — **სავარაუდოდ, აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მხარდაჭერით ნარკოტიკები აქ, უკვე დიდი ხანია, დიდი ბიზნესის ნაწილად იქცა და მტკიცედ ინტეგრირდა ფინანსურ სისტემაში.**

ამ ფაქტის დაფარვამ აზრი დაკარგა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს (UNODC) აღმასრულებელი დირექტორის — მარია კოსტას განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ **2008 წლის ფინანსური კრიზისის პერიოდში სწორედ ნარკოკარტელების ფულმა იხსნა ამერიკის საბანკო სისტემა საბოლოო კოლაფსისგან.** ნაღდი ფულის ფატალური დეფიციტის დაძლევა მაშინ მხოლოდ 350 მილიარდი ნარკოდოლარის დროული ინექციით მოხერხდა. **„სისტემა პრაქტიკულად პარალიზებული იყო ბანკების უსურვილობის გამო, კრედიტები გაეცათ ბანკებსშორისი ბაზრისთვის,** — ირწმუნება კოსტა. — **და ამ დროს კრედიტირება დაიწყო იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც მიღებული იყო ნარკოვაჭრობისა და სხვა უკანონო აქტივობის შედეგად. ამან მრავალი ბანკი იხსნა“.**

მაგრამ სინამდვილეში ნარკოშემოსავლების ლეგალიზება კიდევ უფრო ადრე დაიწყო. ყველაზე ხმაურიანი სკანდალი გაჩაღდა 1999 წლის ზაფხულში, როდესაც ცნობილი გახდა ნიუ იორკის საფონდო ბირჟის თავმჯდომარის, რიჩარდ გრასოს, ვიზიტის თაობაზე კოლუმბიაში მეამბოხე დაჯგუფება ფარკის *(Fuerzas Armadas Revolucionarias de Colombia)* ნარკოვაჭრობით დაკავებულ ლიდერებთან შესახვედრად. **ბიზნესმენი არც კი მალავდა, რომ ლათინოამერიკელებს აგიტაციას უწევდა, გამომუშავებული მილიონები უოლ-სტრიტის აქციებში დაბანდების გზით ლეგალური გაეხადათ.**

ბოლოს და ბოლოს ვის ადარდებს სახსრების წარმომავლობა, როდესაც საუბარია 12-ნულიან თანხებზე? **საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად ათასობით ბანკი ათეთრებს 1,5 ტრილიონამდე ნარკოდოლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფულის 80% შემდეგ აშშ-ში რჩება, გამოდის, რომ ყოველწლიურად ამერიკის ეკონომიკურ სისტემას 1,2 ტრილიონი ბინძური დოლარი ემატება.** ფაქტობრივად, ამერიკის შეერთებული




**2008 წლის ფინანსური კრიზისის პერიოდში სწორედ ნარკოკარტელების ფულმა იხსნა ამერიკის საბანკო სისტემა საბოლოო კოლაფსისგან**

შტატების ეკონომიკა ნარკოდოლარებზეა დამოკიდებული და, როგორც ნებისმიერი ნარკომანი, ისიც მუდმივად ითხოვს დოზის გაზრდას.

## ერთი ტონა კოკაინი – ყოველ დღე

**ნარკოტიკების, ამ მომაკვდინებელი ნედლეულის, გზა სამხრეთ ამერიკაში, ყველაზე ხშირად კოლუმბიასა და პერუსე, ნარკოტიკების ამ ორ ლიდერ ქვეყანაში, იწყდება.** 35 წლის პაბლო ლოჯისტიკაზე აგებს პასუხს ერთ-ერთ უძველეს კოლუმბიურ კარტელში. მის ანგარიშზე, პოლიციის ვერსიით, ოთხი მკვლელობაა, სამჯერ დააკავეს კიდეც. ადამიანი, რომელიც სიკვდილით ვაჭრობს, დიდი სიხარულით ყვება საკუთარი ბიზნესის შესახებ. გასაკვირი არაა, რომ ნარკოტოპ-მენეჯერი ყველგან ორი პირადი მცველისა და უზარმაზარი პისტოლეტის თანხლებით დადის:

**„ჩვენს სამყაროში ყველაფერს ფული მართავს. თუ ვინმე რამეს უფასოდ მოგცემთ, მხოლოდ მონაზვნები — თავიანთი საქველმოქმედო სამუშაოებისას. მაგრამ ისინიც კი მოგთხოვენ, სანაცვლოდ მესას დაესწროთ. ყველაფრისთვის გადახდაა საჭირო. ნარკოტიკები ის საქონელია, რომელიც უნდა გავყიდო. ცხადია, პატარა პრობლემა იქმნება იმის გამო, რომ ეს უკანონობაა. მაგრამ რას იტყოდით, ნავთობი რომ იყოს უკანონო საქონელი? თავად განსაჯეთ, მხოლოდ აშშ-ში ყოველდღიურად ერთი ტონა ნარკოტიკი შეაქვთ. წარმოიდგინეთ, ყოველ დღე ერთი ტონა! იქ მიდის კოლუმბიური ნარკოკარტელების პროდუქციის თითქმის 95%. ეს ხელს აძლევთ DEA-საც (ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო), აშშ-ის პოლიციასაც, კოლუმბიის პოლიციასაც. ჩვენ გარეშე ამ სამსახურებიდან მრავალი ადამიანი დარჩებოდა უმუშევრად. და, რაც მთავარია, მათ ჯიბეში ბევრი ფული მიდის — საქონელი, რომლის კონფისკაციაც ხორციელდება დაკავებისას, ნარკოტიკებს ხომ არასდროს ანადგურებენ. ეს ჩამორთმეული საქონელი ჩვენივე არხებით იყიდება. მახსოვს ერთი კარიკატურა: დააკავეს სატვირთო მანქანა ორი ტონა კოკაინით. მეთაური სერჟანტს უბრძანებს, ბაზას გადასცეს, რომ 1500 კილოგრამი კოკაინი დააკავეს, სერჟანტი ბრძანებს 1000 კილოგრამის გამოცხადებას, თავად გადამცემი კი ბაზას აუწყებს, რომ სატვირთო მანქანაში 500 კილოგრამი კოკაინი იყო. სწორედ ამგვარი სქემით მუშაობს ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა.**

**პოლიცია და DEA ამბობენ, რომ მუდმივად დაძრწიან კოლუმბიის მთებში, მაგრამ იქ ყოველდღიურად კოკაინისა და მარიხუანას სულ უფრო მეტი პლანტაცია ჩნდება. ნარკოტიკები მრავალთათვის უდიდესი ბიზნესია. მაგრამ მთავარი ფული აქ კი არა, ამერიკულ ბანკებშია. აშშ-ში ყველა ორპირია. ამბობენ, რომ ლათინოსები მათ უშლიან, რომ ეს მათი საზოგადოების სიმსივნეა, მაგრამ უჩვენოდ არ შეუძლიათ. ვინ ულაგებთ, ვინ უმზადებთ საჭმელს, ვინ უკეთებთ მთელ ბინძურ საქმეს? არალეგალი იმიგრანტები, რომელთაც დევნიან. იგივე ხდება ნარკოტიკებთან მიმართებაშიც. ყველა გვეხვეწება, მოგვეცით კიდევ და კიდევ. ამდენად, ჩვენ მხოლოდ ვასრულებთ მათ თხოვნას. ხელისუფლება ამაში ხელს გვიშლის, მაგრამ რა მიზნით? მხოლოდ იმისთვის, რომ ფასები იზრდებოდეს და ამის შემდეგ კი ყველა კმაყოფილია — პოლიციაც, ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოც“.**

ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრეს იარაღს — DEA-ს — ნარკომოვაჭრეები ძალზე ხშირად ახსენებენ. ფედერალური სამსახური დიდ დაფინანსებას იღებს (ოფიციალური ბიუჯეტი 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს), აქვს მრავალრიცხოვანი საკადრო აპარატი (დაახლოებით 7 ათასი სპეციალური აგენტი), აღჭურვილია ელექტრონულ-ტექნიკური თვალთვალის თანამედროვე საშუალებებით, ასობით თვითმფრინავით, ჩქაროსნული ხომალდით, მძლავრი პროპაგანდისტული რესურსებით და შეთანხმებებით, მსოფლიოს 65 ქვეყანაში ანალოგიურ სამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ. გარეგნულად ყველაფერი მშვენივრად გამოიყურება, მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ სამსახურის მუშაობას, არასასურველი დეტალები საკმარისზე მეტია.

## ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო

**DEA „ამოტივტივდა“ 90-იანი წლების დასასრულს, როდესაც აშშ-მა „ჯვაროსნული ომი“ გამოაცხადა კარტელების წინააღმდგ და დაიწყეს ეგრეთ წოდებული „კოლუმბიის გეგმის“ განხორციელება.** მაგრამ ნარკობიზნესზე გამარჯვება რატომღაც იგეგმებოდა არა მისი განადგურების, არამედ მასზე კონტროლის დამყარების გზით. **„გეგმა კოლუმბია“ ითვალისწინებდა DEA-ს წარმომადგენლების მიერ დამნაშავეობრივ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი პოსტების დაკავებას და ამ სტრუქტურების შესახებ „ოპერატიულ ექსპანსიას“.** გარდა ამისა, არსებობდა სხვა ამოცანებიც: კოლუმბიაში მემარჯვენე მარქსისტული პარტიზანული დაჯგუფებების განადგურება, კოლუმბიური ნარკობიზნესის ნაწილის ვენესუელაში განდევნა და მოგვიანებით ეკვადორშიც (უგო ჩავესისა და რაფაელ კორეას ხელისუფლებების დისკრედიტირებისთვის), რეგიონში ამერიკის ახალი სამხედრო ბაზების შესაქმნელად მიზეზების შექმნა.

კოლუმბიის პროვინცია პოტამაიოში კოკაინის მწარმოებელთა პროფკავშირის ლიდერი ხულიო გუტიერესი ამბობს, რომ ამ გეგმის განხორციელების შედეგად სიტუაცია მხოლოდ გაუარესდა. **„ფაქტობრივად, ჩვენ გვაიძულებენ, კოკაინი მოვიყვანოთ. ადრე საქმე გვქონდა ამ ადგილებისთვის ტრადიციულ კულტურებთან — ბანანთან, კარტოფილთან, ბრინჯთან... მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ კოკაინის მოყვანა აქ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბოლივიაში, სხვა გზა არ დაგვიტოვეს. ჩვენთვის ეს სიკვდილსიცოცხლის საკითხია. ჩვენ მხოლოდ კაპიკებს ვიღებთ იმ მილიარდები-** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მთელი ეკონომიკური და სამხედრო ძლევამოსილებით ვერ ხერხდება ნარკომოვაჭრეების აქტივობის არა მხოლოდ ლიკვიდირება, არამედ შემცირებაც კი. ბრუნვა მხოლოდ იზრდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ეკონომიკა სულ უფრო მეტ ნარკოდოლარებს იღებს. ნარკომაფია ფლობს ამერიკის საინვესტიციო კომპანიებისა და ფონდების ნახევარს... DEA-ს მიერ კონტროლირებადი ნარკოინდუსტრია დღეს აშშ-ის უმსხვილესი ინვესტორია.**




◀დან, რომელიც ნარკოტიკების ირგვლივ ტრიალებს და რისი უმთავრესი ნაწილიც მაფიის, ძირითადად კი თავად აშშ-ში მოქმედი მაფიის ჯიბეში რჩება. რეგიონში არმიის, მაფიისა და პარტიზანების მუდმივი ყოფნა ჩვენს ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ხელისუფლების მთელი პოლიტიკა აშშ-ის ნაკარნახევია. სინამდვილეში ისინი არ არიან დაინტერესებულნი ნამდვილი ნარკომოვაჭრეების დევნით. ხომ იცით, აშშ-სა და ევროპაში ნარკოტიკების მოხმარება არასდროს მცირდება, პირიქით, ყოველწლიურად მხოლოდ იზრდება და ყოველწლიურად გვაიძულებენ, სულ უფრო მეტი კოკაინი მოვიყვანოთ, კოკაინი, რომლის ხარჯზეც იკვებებიან აქ მაფიაც, პოლიციაც და ჩინოვნიკებიც“.

1999 წლიდან აშშ-ის კონგრესმა „კოლუმბიის გეგმისთვის“, სულ მცირე, 6 მილიარდი დოლარი დახარჯა. მიუხედავად ამისა, მისი რეალიზების შედეგები სავალალო აღმოჩნდა. **კოლუმბიის ნარკობიზნესმა 2008 წელს კოკაინის ბუჩქების ნათესები 26%-ით გაზარდა და თავად კოკაინის მოყვანა 16%-ით გაიზარდა. გეგმის შესაბამისად, DEA აპირებდა, კოლუმბიური კოკაინის წარმოება გაენახევრებინა და წელიწადში 300 ტონამდე დაეყვანა, მაგრამ სინამდვილეში კოლუმბია წელიწადში 600 ტონა სუფთა პროდუქტს იძლევა.**

**პირველმა საკუთარ ქვეყანაში DEA-ს მოღვაწეობა ვენესუელის აწგანსვენებულმა პრეზიდენტმა უგო ჩავესმა აღკვეთა. მის მაგალითს მიბაძა ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა. ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ 2009 წელს დაკეტა მანტეში ბაზა, რომელსაც ამერიკელები ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონულ ცენტრად ასაღებდნენ.**

რაც უნდა საოცარი იყოს, DEA-ს წარმომადგენლობების დახურვამ მხოლოდ გააუმჯობესა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები. მაგალითად, ეს მშვენივრად ჩანს ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანიშნულების ძალების მეთაურის, პოლკოვნიკ გონსალო კესადას მოხსენებიდან ბოლივიის პრეზიდენტისადმი: **„2012 წელს ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ 13 ათასზე მეტი პოლიციური ოპერაცია განხორციელდა. შედეგად მათ 32 მილიონი დოლარი ნაღდი ფული დაკარგეს. კონფისკაციას დაექვემდებარა უამრავი ავტომანქანა და იარაღი. განადგურდა 11043 ჰექტარი არალეგალური ნათესები, ჩამორთმეულ იქნა 36 ტონა კოკაინი და 407 ტონა მარიხუანა“.** ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ ყველა ოპერაცია, წინა წლებისგან განსხვავებით, მასში ამოქმედებული სამხედროებისა და პოლიციის მხარეს დანაკარგების გარეშე დასრულდა.

## სამრეცხაო უოლ-სტრიტზე

DEA-ს მოღვაწეობის შესახებ ზოგიერთი ფაქტის გამოქვეყნების შემდეგ გასაკვირი აღარაფერია. გაირკვა, რომ ბოლივიაში, სანტა-კრუსის დეპარტამენტში, ნარკოტიკების წარმოების ყველა მსხვილი ფაბრიკა სწორედ ამ ორგანიზაციის მფარველობის ქვეშაა. **1995 წელს ანტინარკოტიკულმა აგენტებმა „სპეცოპერაციის ფარგლებში“ აშშ-ში გაგზავნეს 4 ტონა კოკაინით დატვირთული თვითმფრინავი, რის შემდეგაც ეს პრაქტიკა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და აიხსნება ხოლმე „მიწოდებების კონტროლის“ აუცილებლობით ნარკომაფიის მიერ გამოყენებადი არხების გამოსავლენად.**

DEA-ს მუდმივი ზრუნვა აშშ-ში „კონტროლირებადი“ ნარკოტიკების გადასაგზავნად საიმედო არხების უზრუნველსაყოფად იქამდე მივიდა, რომ რეგიონში გაჩნდა მტკიცე მაფიოზური სტრუქტურები. ჩამოყალიბებულმა ნარკოსახელისუფლო სიმბიოზმა სწრაფად დაამტკიცა თავისი ეფექტურობა და დაიწყო მოღვაწეობის გაფართოება ბაზარზე.

გასაკვირი არაა, რომ **აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მთელი ეკონომიკური და სამხედრო ძლევამოსილებით ვერ ხერხდება ნარკომოვაჭრეების აქტივობის არა მხოლოდ ლიკვიდირება, არამედ შემცირებაც კი. ბრუნვა მხოლოდ იზრდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ეკონომიკა სულ უფრო მეტ ნარკოდოლარებს იღებს.** ზოგიერთი შეფასებით, დღეს ნარკომაფია ფლობს ამერიკის საინვესტიციო კომპანიებისა და ფონდების ნახევარს, 2000-იანი წლების საინვესტიციო ბუმი კი პროვოცირებულ იქნა ბირჟაზე იმ კომპანიების მასობრივი გასვლით, რომლებიც ნარკოდოლარებს ათეთრებდნენ. ამრიგად, ფაქტობრივად, **DEA-ს მიერ კონტროლირებადი ნარკოინდუსტრია დღეს აშშ-ის უმსხვილესი ინვესტორია.**

გამოდის, რომ თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ნიუ იორკის ბირჟის დირექტორის მიერ მოფიქრებული გეგმა ცხოვრებაში წარმატებით განხორციელდა — ასობით მილიარდი ნარკოდოლარი საფონდო ბაზარზე წავიდა, ბაზარზე, რომლის წარმატებებისა და ზრდის შესახებაც ასე უყვარს მოყოლა უოლ-სტრიტს. საჭირო არ არის, იყო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რომ მიხვდე: **ნარკოფინანსირების ფართო დინების გადაკეტვის შემთხვევაში Dow Jones-ისა და NASDAQ-ს ინდექსები შეწყვეტენ რეკორდების დამყარებას, ბირჟაზე გამეფებული სტაგნაცია კი უმალ ჩაითრევს ფსკერისკენ ამერიკის ესესაა სულმოთქმულ ეკონომიკას.** ასე რომ, ამერიკელი პოლიტიკოსები სულაც არ არიან დაინტერესებულნი ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლით, მით უფრო მისი ლიკვიდაციით. ამერიკა არ ებრძვის საკუთარი ხალხის გამანადგურებელ სენს, რადგან არავინ კლავს ქათამს, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს.

vpoanalytics.com

**ნარკოფინანსირების ფართო დინების გადაკეტვის შემთხვევაში Dow Jones-ისა და NASDAQ-ს ინდექსები შეწყვეტენ რეკორდების დამყარებას, ბირჟაზე გამეფებული სტაგნაცია კი უმალ ჩაითრევს ფსკერისკენ ამერიკის ესესაა სულმოთქმულ ეკონომიკას**



# ომი, რომელიც არ სურს პენტაგონს

**ჩანაწერებს ბევრის თქმა შეუძლიათ. გადაახვიეთ უკან და კიდევ ერთხელ ნახეთ კადრები, რომლებშიც ამერიკის ყველაზე დამსახურებული ჯარისკაცი, გენერალი მარტინ დემპლი მონაწილეობს და ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ როგორ იქცეოდა იგი აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც სირიაში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა. ეჭვგარეშეა, რომ დემპსს, შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელს, ეს ომი არ სურს. იმ დროს, როდესაც სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, ჟესტები და მჭექარე ხმა ბევრს აიძულებს, მრისხანება განიცადონ ბაშარ ასადის მხეცობების წინააღმდეგ, დემპსი საგანგებოდ დუმს.**

ქვეყნის შეიარაღებული ძალების ლიდერთა უმეტესობაც დუმს, როგორც ჩანს, დემპსის აზრს იზიარებს. ათეულობით სამხედრო მოსამსახურის აზრის გათვალისწინებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალების დიდი უმრავლესობა, რომლებიც მიმდინარე მოვლენების მოწმენი არიან, ადასტურებენ, რომ ეს ყველაფერი აშშ-ს აუცილებლად მიიყვანს კიდევ ერთ ომამდე.

ეს ადამიანები თავს უზომოდ უხერხულად გრძნობენ, როდესაც მათ მიაწერენ ხოლმე ობამას ადმინისტრაციის დილეტანტიზმს. ეს ადმინისტრაცია ცდილობს, შეიმუშაოს გონივრული სტრატეგიული გეგმა, მაგრამ **თეთრი სახლის წარმომადგენლებისგან არც ერთს უმნიშვნელო წარმოდგენა და გამოცდილება არ გააჩნია ომის წარმოებაში და არ ესმის ეს თემა. ისიც კი, თუ როგორ მიექანება ახლა აშშ ომისკენ, არღვევს მის ყველა პრინციპს, მათ შორის მოულოდნელობის პრინციპს, ძლევამოსილების მოკრების და ნათელი, მიღწევადი მიზნის დასახვის პრინციპებს.**

სამხედროებს შორის ზიზღს იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორპირობა. ეს უკანასკნელნი ხალხს ჰიტლერიზმის დაბრუნების შესახებ აფრთხილებენ, კერძო საუბრებში კი აღიარებენ, რომ ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლით გარისკვის მთავარი მოტივი არის ამერიკის ვალდებულება, დაიცვას უდანაშაულო ადამიანები მთელ მსოფლიოში. **სირიაში მოსალოდნელი საომარი ოპერაცია ახლოსაც კი არ არის ამერიკის უსაფრთხოების დაცვასთან. აშშ-ის არმიის სამოქალაქო ხელმძღვანელები კერძო საუბრებში აღიარებენ, რომ ვერ აღკვეთეს მხეცობები რუანდაში, სუდანსა და კოსოვოში და სულაც არ აწუხებთ ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის შექმნილი საფრთხე.**

სამხედროებს ის არ მოსწონთ, რომ უახლოეს პერიოდში მათ კიდევ ერთი ომი ელით და ხელისუფლება მზადაა, გარისკოს ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლე, რათა შეასრულოს „წითელი ზოლების“ შესახებ შემთხვევითი და გაუაზრებელი დანაპირებები. **ეს საომარი ოპერაცია, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იქით, რომ დასაჯოს სირიის რეჟიმი და აღადგინოს პრეზიდენტის რეპუტაცია.** სამხედრო მოსამსახურეთა შორის პროფესიონალები დარწმუნებულნი არიან, რომ კიდევ უფრო ბევრი სირიელის მოკვლა ვერ აიძულებს ირანს, აღარ შეეწინააღმდეგოს ამერიკას. ირანელებმა უკვე მიიღეს გაკვეთილი.

ამერიკელი ხალხი თავის მარტოობას გლოვობს. **ამერიკელი ჯარისკაცები თავს იწონებენ დამსახურებებით იმ ომებში, რომლებსაც თავიანთ მოკავშირეებთან ერთად, კოალიციის ფარგლებში აწარმოებდნენ, სირიის ომი კი მხოლოდ ამერიკის იქნება.**

სამხედროები დაიღალნენ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც საკუთარ ტანზე სამხედრო ფორმის მორგება სურთ, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან უსისხლო ომის იდეით. **„თუ გსურთ, ყველაფერს ბოლო მოუღოთ, გაგზავნეთ სირიაში ჯარები და გაანადგურებინეთ სირიის არმია. თუ ჩვენი ერი თვლის, რომ სირია არ ღირს იმად, რომ იქ სერიოზული ოპერაცია ჩატარდეს, მაშინ უბრალოდ დაანებეთ თავი მას“,** — ამბობს ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურე. სამხედროები ასევე ამბობენ, რომ სირია არ არის ლიბია ან სერბეთი. შესაძლოა, აშშ ძალზე შეეჩვია ომის წარმოებას მესამეხარისხოვან ჯარებთან, მაგრამ, როგორც უკვე დარწმუნდნენ ისრაელელები 1973 წელს, სირიელები დაუნდობელი მკვლელები არიან, რომელთაც დასაკარგი არაფერი აქვთ.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ესმით და სერიოზულად ეკიდებიან სამოქალაქო ხელმძღვანელების დაცვისთვის დადებულ ფიცს. მათ ესმით, რომ აშშ არის ერთადერთი ლიბერალური დემოკრატია, რომელსაც არასდროს მართავდა არმია. მაგრამ **თანამედროვე ჯარისკაცებმა კარგად იციან, თუ რა არის ომი და მათ სძულთ სამოქალაქო პოლიტიკოსები, რომლებიც ჯარისკაცებს აიძულებენ, იბრძოლონ არასაჭირო ომში.**

**შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო პირები არ უსმენდნენ მათ, ვინც პირადად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა რვაჯერ თქვა უარი ომზე საკუთარი პრეზიდენტობისას. მან უარი უთხრა თავის ძველ მომხრეებსა და მოკავშირეებს, არ დაემორჩილა ლიბერალური დემოკრატების ზეწოლას, მაგრამ, როდესაც მისმა მემკვიდრემ ეს კურსი არ განაგრძო, ყველას მშვენივრად ახსოვს, რითაც დასრულდა ეს.**

ძალიან მალე შეიარაღებული ძალები პატივს მიაგებენ და გაუშვებენ რამდენიმე ასეულ ფრთოსან რაკეტას, რომლებიც აუცილებლად მოყვავენ მათ, ვისი დაცვაც ამერიკელებს სურთ. სამხედროები ოპერაციას პროფესიონალურად და ცოდნით აღჭურვილნი ჩაატარებენ — აშშ-ის არმია ხომ მსოფლიოში ყველაზე გამოცდილი არმიაა მთელ მსოფლიოში.

The Washington Post



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ადამიანები ომისშემდგომ წლებში ასევე გმირულად შრომობდნენ ქვეყნის აღმშენებლობისთვის და ახლა მათ მკურნალობა და დასვენება სჭირდებათ. სამწუხაროდ, დიდი სამამულო ომის მონაწილეები არც ადრე იყვნენ განებივრებულები მთავრობის ყურადღებით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა უკმარისობის გრძნობით წავიდა ამ ქვეყნიდან.**

# როდემდე უნდა გაგრძელდეს მთავრობის უსინდისო, ცინიკური და არაჰუმანური დამოკიდებულება ვეტერანების მიმართ?

## ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგიენკოს

**სხვაგვარად ვერ დავასათაურებდით ამ წერილს, რადგან ასაკოვანი და ავადმყოფი ვეტერანების ჯანმრთელობის მიმართ საქართველოს მთავრობის უპასუხისმგებლო, უგულო და არაჰუმანური დამოკიდებულება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ჰოსპიტალში ავადმყოფებისთვის არსებულ პირობებს ოდნავადაც არ ვაზვიადებ და არც ემოციები მალაპარაკებს, მაგრამ ქვემოთ აღნიშნულის ობიექტურობაში ან ნამდვილობაში ეჭვი რომ არავის შეეპაროს, მთავრობის ან პარლამენტის წარმომადგენლებს ვურჩევ, ერთხელ მაინც შეიარონ ქ. თბილისში, იამანიძის ქ. №3-ში მდებარე ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალში და საკუთარი თვალით დარწმუნდებიან აღნიშნულის რეალობაში.**



დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 68 წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში მთავრობა რამდენიმეჯერ შეიცვალა, ყველა მათგანი პირობას იძლეოდა საავადმყოფოსთვის ახალი შენობის აგებაზე ან შესაფერისი შენობის გამონახვაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დაპირება სულ ტყუილი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიცრუის რეკორდი დაამყარა. მისი დაპირებიდან, რომ ქვეყანაში 100 საავადმყოფოს ააშენებდა, ომის ვეტერანებისთვის ერთიც არ იყო გათვალისწინებული. ამ ორი წლის წინ ვეტერანები კვლავ თავხედურად მოგვატყუეს. **2011 წელს მაშინდელმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ა. ურუშაძემ ქ. თბილისის ომის ვეტერანთა კავშირიდან რამდენიმე ვეტერანთან და არსებული საავადმყოფოს გენერალურ დირექტორ გ. მაცაბერიძესთან ერთად წაგვიყვანა დიღმის მასივში ვეტერანთა საავადმყოფოსთვის აშენებული შენობის დასათვალიერებლად. მართლაც რომ კარგი შენობა იყო, საავადმყოფოს მოთხოვნილების შესაბამისად თანამედროვე დონეზე აშენებული. შენობა დამთავრებული იყო, მხოლოდ სამედიცინო აპარატურის შეტანა აკლდა. მინისტრი დაგვპირდა, რომ საავადმყოფო 2012 წლის 1 იანვრისთვის დამთავრდებოდა, ხოლო მისი გახსნა 2012 წლის გაზაფხულზე იყო გათვალისწინებული, რომელზედაც ურუშაძემ წინასწარ ჩვენც მიგვიწვია, მაგრამ ვაი, რომ ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა. როგორც გავიგეთ, ის შენობაც გაუყიდიათ. სააკაშვილი ხომ ყველაფერს ყიდის? ვეტერანთა ჰოსპიტალი კი ისევ ამორტიზებულ ძველ შენობაში დარჩა და კვლავ იქ აგრძელებს მუშაობას.**

**წელს მეორედ აღმოვჩნდი აღნიშნულ საავადმყოფოში გულის დაავადებით. საავადმყოფოში პირობები აბსოლუტურად შეუცვლელი დამხვდა. რომ არა საავადმყოფოს სამედიცინო და მომსახურე პერსონალის გულისხმიერი, ყურადღებიანი და თავისი მოვალეობისადმი მაღალი პროფესიონალური დამოკიდებულება, არათუ მკურნალობა, არამედ საერთოდ იქ ყოფნაც კი შეუძლებელი იქნებოდა.**

ხმამაღლა ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, მოვიყვან ფაქტებს. რაც მთავარია, უპირველესად, უნდა აღინიშნოს ტუალეტის საშინელი მდგომარეობა, რომელიც წყლის ჩასარეცხის სიძველის გამო მოშლილია და ამ ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც საბიჯგი ჯოხით ძლივს დალასლასებენ, დიდი ვედრით უხდებათ უნიტაზის ჩარეცხვა. ვინც ამას ვერ ახერხებს, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა მდგომარეობა იქნება იქ, ანტისანიტარიის თვალსაზრისით. უნიტაზებს დასაჯდომი რგოლი არ აქვს და ზოგიერთი ავადმყოფი სახლიდან მოტანილი რგოლით სარგებლობს, რომელსაც ცელოფანის პარკით თან დაატარებს. აქ ძირითადად ხანდაზმული ავადმყოფები მკურნალობენ და წარმოიდგინეთ, როგორი სანიტარული მდგომარეობა იქნება ავადმყოფის კუჭის აშლილობის შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს ყოვლად დაუჯერებელი ფაქტის შესახებაც, რომ ქალებიც და მამაკაცებიც ერთი და იმავე ტუალეტით სარგებლობენ; სადაც მხოლოდ ორადორი უნიტაზია, თანაც კარი ხეირიანად არ იხურება. იქვეა ორი ონკანი, სადაც პირის დაბანისა თუ სხვა საჭიროებისთვის ხშირად უხდებათ რიგში დგომა. ავადმყოფის საწოლები, ტახტები ძველი და ამორტიზებულია და ნორმალური დასვენებისთვის გამოუსადეგარი. იგივე შეიძლება ითქვას თეთრეულზეც — მას სიძველის გამო ჭუჭყის ფერი ადევს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ავადმყოფებს სახლიდან მოაქვთ. რაც შეეხება კვებას, ჩემს იქ ყოფნაში იქაური საჭმელი არ მიმიღია, მაგრამ ავადმყოფების გადმოცემით ვიცი, რომ არც თუ ისე კარგია. რაც შეეხება წამლებს, საავადმყოფოს მედიკამენტები, ძირითადად, აქვს, მაგრამ ზოგჯერ ავადმყოფებს მაინც უხდებათ ძვირადღირებული წამლების შეძენა.

**ასეთ ანომალურ პირობებში უხდებათ მკურნალობა ბრძოლაგამოვლილ, დამსახურებულ ადამიანებს. ავადმყოფებსაც და ჰოსპიტლის თანამშრომლებს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი გადაწურული აქვთ.**

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ვიცოდეთ, თუ ვინ არიან ამ საავადმყოფოს პაციენტები — ძირითადად, ისინი დიდი სამამულო ომგამოვლილი ვეტერანები არიან, რომელთა ასაკი 87-90 წელზე მეტია და რომელთა მხრებზე გადაიარა იმ საშინელი ომის ქარტეხილებმა. რუსეთის ტრამალებში, ყინვებსა და ქარბუქში გატარებულმა ბრძოლის წლებმა, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა იქონია მათ ჯანმრთელობაზე, რომელმაც მოხუცებულობის წლებში იჩინა თავი. **ეს ადამიანები ომისშემდგომ წლებში ასევე გმირულად შრომობდნენ ქვეყნის აღმშენებლობისთვის და ახლა მათ მკურნალობა და დასვენება სჭირდებათ. სამწუხაროდ, დიდი სამამულო ომის მონაწილეები არც ადრე იყვნენ განებივრებულები მთავრობის ყურადღებით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა უკმარისობის გრძნობით წავიდა ამ ქვეყნიდან.**

სანამდე უნდა გაგრძელდეს მთავრობების ასეთი უსინდისო მოპყრობა სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანებისადმი? მიუხედავად ჰოსპიტალში ზემოაღნიშნული მდგომარეობისა, ჩემი მკურნალი ექიმის — **ინგა მეყანწიშვილისა** და საერთოდ საავადმყოფოს მთელი კოლექტივის გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად ჩემმა მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა და სახლში გამოჯანმრთელებული დავბრუნდი. მე იქ ვერ ვნახე ავადმყოფი, რომელსაც უკმაყოფილება გამოეთქვას თავისი მკურნალი ექიმის მიმართ. **დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჰოსპიტლის გენერალური დირექტორის — დ. მაცაბერიძისა და მისი მოადგილის — ე. სანიკიძის, განყოფილების გამგის — ტ. ნამორაძის, ექიმების — ი. მეყანწიშვილის, დ. ბახტაძისა და ექთნების მიმართ, რომლებიც ასეთ არაორდინალურ პირობებში მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებენ ავადმყოფების განკურნებისთვის.**

ბოლოს მინდა მივმართო ვეტერანთა საქმის დეპარტმენტს, საქართველოს მთავრობის წინაშე სრული სერიოზულობით დასვას საკითხი მაქსიმალურად მოკლე დროში ომის ვეტერანებისთვის ახალი საავადმყოფოს აშენებისა თუ მისთვის შესაბამისი შენობის გამონახვის შესახებ. ამ საქმის კიდევ დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, ასაკის გამო ამ ადამიანებს ამქვეყნად ყოფნისთვის ხომ ისედაც მცირე დრო დარჩათ?!

დასასრულს, ისიც მინდა შევნიშნო, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, სადაც ომის მონაწილენი ყველაზე მიზერულ პენსიას იღებენ.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე**

# სტალინის ფონდი დახმარებას გთხოვთ!

**2013 წლის თებერვალში შეიქმნა (დაფუძნდა) ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი. მისი მიზანი მის დასახელებაშივე ჩანს. ჩვენ, დამფუძნებლები, გამგეობისა და კრების წევრები, თანხის მოზიდვის მიზნით, დიდ აგიტაციას ვეწევით საზოგადოებაში, რომლის შედეგად ფონდში ნელნელა შემოდის თანხა.**

**ფონდის საბანკო რეკვიზიტები:**

1. სს „ლიბერთი ბანკი“. მიმღები ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22

მიმღების დასახელება — ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი.

ანგარიშსწორების ანგრიში — GE67LBO115183520536000

2. სს „თიბისი ბანკი“. საბანკო კოდი — TBCBGE22

მიმღების დასახელება — ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი.

ანგარიშსწორების ანგარიში — GE18TB743773600100001.

**გთხოვთ, მოქალაქეებმა ყურადღება გამოიჩინოთ და ფულადი დახმარება გაუწიოთ ფონდს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

პატივისცემით,
ფონდის თავმჯდომარე **თამაზ ჯაპოშვილი**

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

**3-4 ოქტომბერს გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისთვის“.**

**კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 10-ზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმა, ბულგარეთმა, უკრაინამ, ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებმა.** ნოემბრის შუა რიცხვებში აკადემიის სამეცნიერო საბჭო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გამართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: **„საქართველოს სოფლის მეურნეობის აწმყო, მომავალი და წარმოების კოოპერირების აუცილებლობა“.** კონფერენციაზე მოწვეულნი არიან პრაქტიკოსი აგრარიკოსები და ფერმერები.

**აკადემიის პრესსამსახური**

**„რამდენიმეჯერ ახალგაზრდა გულშემატკივართა შორის მოვხვდი და ისინი სსრკ-ის პერიოდში ქართველი სპორტსმენების წარმატებას „საბჭოურად“ ნათლავდნენ, ათვლის წერტილად კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დროს მიიჩნევდნენ. ვფიქრობ, ეს სრული აბსურდი და საკითხისადმი არაპროფესიული მიდგომაა. რობერტ შავლაყაძეს, ომარ ფხაკაძეს, ლევან თედიაშვილსა და სხვებს გამარჯვებები, უპირველესად, საქართველოსთვის მოჰქონდათ და არა საბჭოთა კავშირისთვის.“**

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული ჰაიდპარკი არსებობას განაგრძობს

**წინა საუკუნის 50-იან წლებში თბილისის მოსახლეობა უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა. იმდროინდელ კიროვის ბაღში გულშემატკივართა არაოფიციალურმა „დაჯგუფებამ“ დაიწყო შეკრება და ამ „წრეში“ არაერთი პროფესიის ადამიანი გაერთიანდა. ფეხბურთის თაყვანისმცემლები ძირითადად საღამოობით იკრიბებოდნენ და „ტყავის ბურთზე“, პოლიტიკაზე გათენებამდე კამათობდნენ. ულმობელი დრო იდგა. შესაბამისი სამსახურები ქუჩაში სამ მოსაუბრეს თუ გადააწყდებოდნენ, უშიშროების კომიტეტში მიჰყავდათ და მათი ვინაობით ინტერესდებოდნენ. ვერისბაღელებმა დროის გამოცდას გაუძლეს და ამ კლუბის წევრები ერთმანეთთან ურთიერთობას დღესაც აგრძელებენ. ნება მომეცით, პატარა გადახვევა გავაკეთო და სიტყვა ბატონ ნოდარ დუმბაძეს გადავცე: „ვერისბაღელები მაგრები იყვნენ! — ბევრისგან მსმენია ეს ფრაზა. მომინდა, გამეგო, რით იყვნენ მაგრები და გავიგე კიდეც. ჰაიდპარკში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არა მგონია, იქ იმდენ სენსაციურ, ანეკდოტურ, ფანტასტიკურ და გადასარევ ამბებს ყვებოდნენ, როგორც კიროვის პარკში. მე, მაგალითად, პირველად აქ გავიგონე, რომ სპარსეთის პრემიერმინისტრი მოსადიკი აფერისტი ყოფილა, რომ ჩერჩილი დღეში სამ ბოთლ კონიაკს სვამს, რომ ტრუმენმა მოწამლა რუზველტი, რომ ჰარიმანი 14 წლამდე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და ბორია პაიჭაძე ბასკებთან ოქროს ბუცებით თამაშობდა“ (ნოდარ დუმბაძე). ბატონი თემურ ღაღანიძე ვერისბაღელთა საძმოს ერთ-ერთი აქტიური წევრი ბრძანდება. რამდენიმე დღის წინ სტუმრად ვეწვიეთ და იმ პერიოდის გახსენება ვთხოვეთ. თავდაპირველად გულშემატკივართა კლუბის ჩამოყალიბების ისტორიით დავინტერესდით.**



თემურ ღაღანიძე:

## ვერის ბაღში ჩვენი შეხვედრების ერთ-ერთი მუდმივი თემა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, თითოეული ჩვენგანი ამ დღეზე ვოცნებობდით

— ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბის ჩამოყალიბების იდეა წინა საუკუნის 50-იან წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გაჩნდა. ამ არაფორმალურ გაერთიანებას სათავე ბატონებმა ქართლოს სვანიძემ, გოგი დემეტრაძემ, ვერნი ალფაიძემ და მათმა მეგობრებმა დაუდეს. ამ კლუბის წევრების დასახელებიდან თავს შევიკავებ. მეშინია, რომელიმე მათგანი არ გამომრჩეს და გული არ ვატკინო. ჩვენმა მეგობრობამ და ურთიერთსიყვარულმა რამდენიმე ათეულ წელს გაუძლო. მრავალი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. ვინც დავრჩით, დღე არ გავა, ერთმანეთი არ მოვიკითხოთ და არ მოვესიყვარულოთ.

**— ბოლოს ბატონი გოგი დემეტრაძე გამოგაკლდათ.**

— ბატონი გოგი წლეულს, იანვარში გარდაიცვალა. ეს უდიდესი ადამიანი ხელიდან მოულოდნელად გამოგვეცალა. თავს ჯანმრთელად გრძნობდა და სიკვდილამდე სამი დღით ადრე, გვიან ღამით „ბარსელონას“ თამაშს უყურა. შეხვედრა ღამის სამ საათზე დასრულდა. ჩვენმა ერთ-ერთმა „ვერისბაღელმა“ გიგლა ჯაყელმა დაურეკა და ანგარიში იკითხა. „გაბრაზებულმა“ გოგიმ ცოტახანში გამაღვიძა და „რა დავუშავე გიგლას ასეთიო“, — მკითხა. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში გოგი დემეტრაძე გარდაიცვალა.

**— გულშემატკივართა არაოფიციალური ლიდერის სახელით ბატონი ქართლოს სვანიძე სარგებლობდა...**

— ჩვენ შორის არანაირ იერარქიულ კიბეზე საუბარი არ შეიძლებოდა. ბატონი ქართლოსი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და ეს მეტსახელი თავის დროზე ხუმრობით გოგი დემეტრაძემ შეარქვა. მინდა, ერთი ისტორია გაგახსენოთ: **ქართლოს სვანიძის დიდი დამსახურებაა, დავით ყიფიანი ცნობილ ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდა. თავის დროზე დათო თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა. ეს გუნდი 1969 წელს დაიშალა და ყიფიანმა ფეხბურთისთვის თავის მინებება გადაწყვიტა. ქართლოს სვანიძე დათოს ბოლომდე შეუჩნდა და ვარჯიშის განახლება აიძულა. შედეგად საქართველომ კიდევ ერთი დიდებული ფეხბურთელი მიიღო.** აქვე კიდევ ერთ ვერისბაღელ ლევან ჭაჭიაშვილს გავიხსენებ, რომელსაც დათო ყიფიანი „მამას“ ეძახდა, მათ ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდათ.

**— თქვენი საქმიანობით შესაბამისი ორგანოები თუ ინტერესდებოდნენ?**

— რომ გითხრათ, არ დაინტერესებულანო, ნამდვილად მოგატყუებთ. რასაკვირველია, გვითვალთვალებდნენ, მაგრამ ჩვენ მიმართ რაიმე ზეწოლა არ განუხორციელებიათ. მახსოვს, ერთხელ ივნისის ცხელი საღამო იდგა და ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი გვესტუმრა. როდესაც მოგვიახლოვდა და შემოგვხედა, სიტყვა ყელში გაეჩხირა, რადგან გულშემატკივრებს შორის ქალაქში კარგად ცნობილ არაერთ ადამიანს წააწყდა. ბატონი კვანტალიანი მოწიწებით შემოგვიერთდა და ჩვენთან ერთად ფეხბურთის შესახებ დილამდე იკამათა.

ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: **რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ რადიოგადაცემაში სტუმრად გახლდით მიწვეული და ფარდა „დიდ საიდუმლოებას“ აეხადა. მორიგმა მსმენელმა დარეკა და უშიშროების სამსახურის ყოფილ თანამშრომლად გაგვეცნო. ამ პიროვნებამ წარსული გაიხსენა და გვაცნობა, რომ თურმე ჩვენს ღამის საუბრებს საგულდაგულოდ იწერდნენ და კგბ-ში დილაობით სიტყვასიტყვით შიფრავდნენ. ამ ადამიანმა გაიხსენა, რომ იმდროინდელი უშიშროების სამსახურის თანამშრომლები დიდი ინტერესით გვისმენდნენ.** „წინასწარ ვიცოდით, ბატონო თემურ, რომ თავდაპირველად ფეხბურთით იწყებდით, შემდეგ ქალებზე გადადიოდით, ბოლოში კი პოლიტიკით ასრულებდით“, — გვითხრა მან.

**— პოლიტიკა ახსენეთ, ბატონო თემურ...**

— არ დაიჯერებთ და საქართველოს 1918-1921 წლების ისტორიას თავდაპირველად ვერის ბაღში გავეცანი. მახსოვს ივანე ჯავახიშვილის მიერ 1924 წელს დაწერილი საქართველოს უახლესი ისტორია იქ წავიკითხე. აქვე გავეცანი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გამოცემულ „ოქროს საწმისსაც“. **ვერის ბაღში ჩვენი შეხვედრების ერთ-ერთი მუდმივი თემა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. თითოეული ჩვენგანი ამ დღეზე ვოცნებობდით. ამის გარდა, ჩვენი გაერთიანების არაერთი წევრი უცხოეთში ხშირად დადიოდა და იქაური ცხელ-ცხელი ამბები ჩამოჰქონდა. მოგვიანებით ეს ინფორმაციები თბილისში ვერის ბაღიდან ვრცელდებოდა.**

ერთსაც გავიხსენებ: ჩერნობილის ტრაგედიის შესახებ პირველად ვერისბაღელებმა შევიტყეთ. პანტიანში ფეხბურთის სანახავად გახლდით და ეს ამბავი თურქულმა საინფორმაციო გამოშვებამ გამოაცხადა. საბჭოთა ინფორბიუროზე ადრე ეს ინფორმაცია თბილისში ჩვენ გავავრცელეთ.



**«ქართლოს სვანიძის დიდი დამსახურებაა, დავით ყიფიანი ცნობილ ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდა»**

**— იმ დროს საბჭოთა სპორტული ფუნქციონერები ქართველ სპორტსმენებს განსაკუთრებულად ჩაგრავდნენ.**

— კულტურა და სპორტი ის სფერო იყო, რომელშიც ქართველობას საკუთარი თვითმყოფადობის დამტკიცება განსაკუთრებით შეეძლო. ფეხბურთს თუ შევეხებით, ჩვენს გუნდებს საბჭოთა სპორტული ფუნქციონერები განსაკუთრებულად ჩაგრავდნენ. ბაღში „დინამოს“ მოთამაშეები ხშირად გვსტუმრობდნენ და ეს თემა ჩვენი საუბრების ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო. არ შემიძლია არ გავიხსენო 1977 წელი, როდესაც თბილისის „დინამოს“ ოქროს მედლები არ დაანებეს. იმ წლის შემოდგომაზე კიევის „დინამოს“ ვმასპინძლობდით და წარმატების შემთხვევაში სტუმრებს ქულებით გავუთანაბრდებოდით. სამწუხაროდ, იმ მატჩის მსაჯმა ყველაფერი იღონა, უკრაინელებს რომ არ წაეგოთ.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ერთი გულისტკივილიც გაგანდოთ. **რამდენიმეჯერ ახალგაზრდა გულშემატკივართა შორის მოვხვდი და ისინი სსრკ-ის პერიოდში ქართველი სპორტსმენების წარმატებას „საბჭოურად“ ნათლავდნენ, ათვლის წერტილად კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დროს მიიჩნევდნენ. ვფიქრობ, ეს სრული აბსურდი და საკითხისადმი არაპროფესიული მიდგომაა. რობერტ შავლაყაძეს, ომარ ფხაკაძეს, ლევან თედიაშვილსა და სხვებს გამარჯვებები, უპირველესად, საქართველოსთვის მოჰქონდათ და არა საბჭოთა კავშირისთვის.**

**— ახალგაზრდობა ახსენეთ, ბატონო თემურ, და რით ახსნით ჩვენს სტადიონებზე მომრავლებულ ვანდალიზმის ფაქტებს?**

— ალბათ, დრო შეიცვალა და, სამწუხაროდ, ამჟამინდელი ქართველი გულშემატკივრები ზრდილობისა და საფეხბურთო სამყაროს მიმართ პატივისცემის დეფიციტს განიცდიან. **როგორ არ გავიხსენო ინგლისის ნაკრებთან თბილისში ჩატარებული შეხვედრა, როდესაც საქართველოს ნაკრების იმდროინდელ მთავარ მწვრთნელს — ალექსანდრე ჩივაძეს ტრიბუნიდან ბოთლი ესროლეს. როგორ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს პირველობის ერთ-ერთ მატჩში გულშემატკივრები დავით ყიფიანზე საცემრად გაიწევდნენ. ეს, ალბათ, დღევანდელი ქართული ცხოვრების ნამდვილი რეალობაა.**

ერთხელ ბატონი გოგი დემეტრაძე სტადიონის ტრიბუნაზე მყოფ აღგზნებულ ახალგაზრდა გულშემატკივრებს მიუბრუნდა და „რა გჭირთ, რატომ ილანძღებით. 1936 წლიდან სსრკ-ის ჩემპიონობას რამდენიმე ათეული წელი ველოდი, მეორე მსოფლიო ომშიც ვმონაწილეობდი და ასე არ გავბოროტებულვარო“, — მიუგო. ალბათ, ბრალი ჩვენს ფეხბურთელებსაც მიუძღვით, რომლებმაც წაგებებს დაგვაჩვიეს. როდესაც 1976 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის თასი პირველად მოიპოვა, გუნდი რამდენიმე მანქანით დაასაჩუქრეს. ერთ ავტომანქანას საზიაროდ რამდენიმე მოთამაშე იყოფდა. დღეს სხვა სურათი გვაქვს. გამოჩნდება ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც პირველივე აღებული თანხით ძვირადღირებულ მანქანას იძენს, შემდეგ კი, თითქოს ცხოვრების უმთავრეს მიზანს მიაღწია, თამაშს აშკარად უკლებს.

**— ვერისბაღელებს დღეს თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— სამწუხაროდ, ცოცხლები ბევრნი აღარ დავრჩით. **„გადარჩენილებს“ ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს და ამისი მთავარი მოთავე ბატონი გიგლა ჯაყელი ბრძანდება. ეს ასაკოვანი ადამიანი შინიდან ველარ გამოდის, მაგრამ ჩვენთან უწყვეტი, 24-საათიანი სატელეფონო კავშირი აქვს.** დროდადრო ვერის ბაღში კვლავ ვიკრიბებით, მაგრამ ამ შეხვედრებს სულ უფრო ეპიზოდური ხასიათი აქვს. სამწუხაროდ, ახალგაზრდობა ჩვენი „კლუბით“ არ ინტერესდება და ეს გაერთიანება კვლავ „ძველი გვარდიის“ იმედზეა.

ესაუბრა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ფონტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წლების განმავლობაში „ფასადური დემოკრატიისთვის“, „გამჭვირვალე“ კონკურსების წყალობით, ქუჩისთვის გამეტებულ პროფესორ-მასწავლებელთა დაჟინებული მოთხოვნა, გადასინჯულიყო და მისცემოდა სამართლებრივი შეფასება პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე ჩატარებულ, ფაქტობრივად, არშემდგარი კონკურსების შედეგებს, დღემდე არ განხორციელდა.**

# ფასადური დემოკრატიის ფასადური კონკურსები

## ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს



**ქალბატონო თამარ, რადგან თქვენთან და თქვენს მოადგილეებთან შეხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ამისთვის არანაირი დრო არ გაქვთ გამოყოფილი, ვირჩევ თქვენდამი საჯარო მიმართვის ფორმას — გიგზავნით ღია წერილს, იქნებ ასე მაინც მოგაწვდინოთ ხმა.**

მოგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თავისუფალ უნივერსიტეტში, შესაძლოა, სხვა სასწავლებლებშიც, კვლავ ჩატარდა „ტრადიციულად ღია, გამჭვირვალე“ კონკურსები. ამას ირონიით იმიტომ ვწერ, რომ ის უსამართლობა, რაც წლების წინ იყო გამეფებული კონკურსებთან დაკავშირებით, კვლავაც გრძელდება. ამ სასწავლებლებიდან საუბარი შემეძლო ტექნიკური უნივერსიტეტით დამეწყო, სადაც ფასადური კონკურსების ჩატარებისას, ტრადიციულად, არ ღალატობენ თავიანთ ხელწერას და საკონკურსოდ შერჩეულ კომისიას, რომელმაც არც კი იცის, თუ რა კრიტერიუმებით ირჩევს კონკურსანტს, მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია აკისრია. მაგრამ მასზე მსჯელობა, რომელიც უმაღლეს სკოლებს შორის რეიტინგით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება, როგორც მკითხველისთვის, ისე თქვენთვისაც ნაკლებად საინტერესო იქნება. ხოლო რაც შეეხება საუნივერსიტეტო სივრცეში „პარადის წამყვან“ ბენდუქიძის თავისუფალ უნივერსიტეტს, ღირს მასზე შეჩერება.

**მას შემდეგ, რაც ერის მამებმა საქართველოში განათლების სფერო მიზანმიმართულად უდაბნოდ აქციეს, ამ ფონზე თევზაძე-ბენდუქიძის იდეოლოგიით შექმნილი „პრივატიზებული“ თუ დაფუძნებული „ოაზისები“, ერთგვარ რეიტინგულ სასწავლებლებად წარმოჩინდნენ. ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი, თუ როგორ ატარებს ეს ხალხი საკუთარ სასწავლებლებში კონკურსს, რა ნიშნით ირჩევს პედაგოგებს? რამდენად ეძლევათ ადამიანებს პროფესიულ საქმიანობაში, თუნდაც კონკურსებში მონაწილეობით, საკუთარი ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობა?** შეგიძლიათ დაინტერესდეთ მათი საქმიანობის ანატომიით და შეამოწმოთ, რომ კონკურსანტთა შეფასების არავითარი ობიექტური კრიტერიუმი არც ბენდუქიძის სასწავლებელს გააჩნია. გასაგებია, რომ ფიზიოგნომიკა შესაძლებლობას იძლევა, ადამიანის ჰაბიტუსიდან გამომდინარე, მისი წაკითხვა შევძლოთ, ან გრაფოლოგები, რომლებიც ახერხებენ ადამიანის ხელწერით მისი სულიერი მდგომარეობის დადგენას, მაგრამ **რამდენად გამართლებულია, მხოლოდ წარმოდგენილი სილაბუსით შეაფასო კონკურსანტის შესაძლებლობები, რომელიც მისი უნარების წარმოჩენის მხოლოდ სეგმენტია?** ამაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია. ასე რომ, ამ მხრივ, **ბენდუქიძის კანტორაც ისეთივე მდგომარეობაშია ჩაყენებული, როგორც დღეს საქართველოში არსებული ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელი. ეს კი განათლების სფეროს იმ ცხრაწლიანი გეგმაზომიერი ნგრევის შედეგია, რომლის ნანგრევებიდანაც ვერა და ვერ ამოვსულვართ.**

### უნივერსიტეტებში კოაბიტაციის პერიოდი არათუ მთავრდება, არამედ გადამწყვეტ ფაზაში შედის...

ფასადური დემოკრატიის ეპოქის პირმშოებს ფასადური კონკურსების ჩატარება ტრადიციულად დღესაც რომ არ უჭირთ, ეს უკვე ამჟამინდელი ხელისუფლების უუნარობის შედეგია. ამაში კი თავადაც დარწმუნდებით, თუ გაგიჩნდებათ სურვილი და გაერკვევით, რადგან ეს თქვენი მოვალეობაცაა: თუ **როგორ, რა კრიტერიუმებით ხდება კონკურსანტთა შერჩევა, რამდენად დაცულნი არიან მასში მონაწილენი ვოლუნტარიზმისგან, ვქმნით კი ქვეყანაში რეალურად კონკურენტუნარიან გარემოს? რამდენად დაინტერესებულები ვართ, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მოვიდეს ძლიერი, გონიერი, საქმის მკეთებელი ხალხი?**

დღეს არავისთვის გაუმხელელ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, **კვლავ წინასწარ დაწერილი სცენარით წყდება თანამშრომლების მიღება-არმიღების საკითხი. ამიტომ არის, რომ კარგა ხანია, რაც ნეპოტიზმით, ფავორიტიზმით შუა საუკუნეებში დავბრუნდით.** თუ მას წინა წლებში იდეოლოგიური საფუძველი მაინც გააჩნდა და ე. წ. მენტალური რევოლუციის შემოქმედნი, „სატრაპების“ მეშვეობით კადრების შერჩევის საკითხს თავად წყვეტდნენ საკუთარი შეხედულებისამებრ, **ამჟამად სამეცნიერო კადრებს არა პროფესიონალიზმის, არამედ პოლიტიკური ნიშნით და ე.წ. კომპლიმენტარული პრინციპით არჩევენ, რომელიც, რა თქმა უნდა, არც ადრე იყო უცხო ჩვენთვის.** რას ნიშნავს ეს? ვისაც ოდესმე სახლში ძაღლი ჰყოლია, შეამჩნევდა, რომ ის არჩევანს აკეთებს თქვენთან სტუმრად მოსულ უცხო პირებს შორის. რატომღაც ზოგიერთების მიმართ დადებით ემოციებს ამჟღავნებს და მისი კომპლიმენტი სტუმრის მიმართ კუდის ქნევით გამოიხატება, ზოგიერთის მიმართ კი აშკარა აგრესია იწყება, ხანდახან იმდენად შემაწუხებელი, რომ აუცილებელია მისი იზოლაცია. ეს კიდევ უფრო უკეთ ადამიანებში შეინიშნება.

ნებისმიერი „ერთობის“ შექმნას სწორედ კომპლიმენტარული პრინციპი უდევს საფუძვლად, სიმპათია ვიღაცის მიმართ და ანტიპათია ვიღაც სხვის მიმართ. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, თუ ასეთ ადამიანებს რა აერთიანებს, რა არის მათი მისწრაფებები, აზროვნების ფორმა. მათი ინტელექტი, განათლება, ერთი შეხედვით, ისეთი დონის არაა, ფანატიზმიც უცხოა მათთვის, იმ ამოცანის ისე მარტივად გადასაწყვეტად, რასაც ისინი ახერხებენ — დაიმონონ უბრძოლველად ყველა დანარჩენი, უარეს შემთხვევაში შეინარჩუნონ მათზე კონტროლი. **არ არის აუცილებელი ეს ხალხი კორუმპირებული იყოს, ამ ადამიანებს შეზღუდული აზროვნება კარნახობთ, რომ განსხვავებული ნიჭისა და შეხედულებების ადამიანები ახლოსაც არ გაიკარონ.**

ასეთები კი ჩვენ გვერდით მრავლად არიან, ყოველდღე გვეკონტაქტებიან: გვესალმებიან ზრდილობიანად, გვთხოვენ ასანთს, გვიყვებიან ანეგდოტს; შეუძლიათ სუფრასთან თითოეული ჩვენგანის სადღეგრძელო ლამაზი სიტყვებით გამოთქვან, მაგრამ თქვენ მათ კომპლიმენტებს ვერ დაიმსახურებთ, თუ მათი მსგავსი არა ხართ. **მათთვის თქვენი ზრდილობა სიბრიყვეა, პატიოსნება — უსუსურობა. მათში თქვენი ზნეობრივი ნორმები გაუცნობიერებელ სიძულვილს იწვევს, მათ შეუძლიათ ტყვიის გარეშეც მოგკლან, წაგართვან ყველაფერი, მათ შორის სამსახური, ულუკმაპუროდ დაგტოვონ ქუჩაში და არავითარი დისკომფორტი არ გაუჩნდეთ; გაუკვირდეთ კიდეც, თუ მათ მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამ. ხოლო მათ, ვისაც დასდებენ პატივს, ასეთ „მსხვერპლთმიმღებთა“ მიერ შერჩეული ინდივიდი, როგორც გურჯიევი იტყოდა, ქმნილება ხდება.** მარიონეტად გადაქცეული კი ვერ იაზრებს თავის უსუსურობას, თუნდაც თავზე გვირგვინი დაადგან და ხელში კვერთხი დააჭერინონ. ის შეიძლება კმაყოფილი იყოს (კმაყოფილი და არა ბედნიერი) თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ერთი ბანანით ან ერთი კარტოფილით მეტის შოვნა შეძლო, ვიდრე გუშინ, ან იმით, რომ თანამოძმეებმა დღეს მარტო პერანგი წაართვეს, ქუდი კი სამათხოვროდ შეინარჩუნა. ასეთ სუბიექტს, რაოდენ განათლებულიც არ უნდა იყოს, დაკარგული აქვს ღირსების გრძნობა, ძირითად ფასეულობათა აღქმის უნარი. განურჩევლად იმისა, იმსახურებდა თუ არა იმ ადგილს, რომელიც უკავია, ის მაინც ამას სხვას უმადლის. სინამდვილეში ეს ასეც არის. **ასეთ შემთხვევაში, ასეთი ქმნილებებისგან შექმნილი კრებულები სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისგან ყოველთვის შორს იქნებიან, ხოლო თუ რა უბედურება მოუტანა ასეთმა ყოფამ ჩვენს ქვეყანას — შედეგი სახეზე გვაქვს.**

 აი, რატომ არის გათითოკაცებული და მიუსაფარი ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი, განურჩევლად პროფესიისა. ის უსამართლობისგან ყოველთვის იყო და იქნება არა მარტო დაუცველი, არამედ მიტოვებულიც თავისივე კოლეგების მიერ და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ სამოქალაქო საზოგადოების ანატომიაში არ გავერკვევით და ამ მოჯადოებული წრიდან ადამიანებს არ დავიხსნით.

**გსურთ, გავაგრძელოთ ასეთი ცხოვრება? მაშინ, თუ არ გნებავთ, გამოსავალზე დროულად ერთად ვიფიქროთ?**

ის, რომ აკადემიური თანამდებობების დაკავება კონკურენტუნარიან გარემოში უნდა ჩატარდეს, ხოლო კონკურსანტთა შერჩევა-შეფასება თავისუფალი უნდა იყოს ვოლუნტარიზმისგან, ამ მოთხოვნის დამკვიდრებისთვის თავადაც აქტიურად ვარ ჩართული, როგორც ჩემი პუბლიკაციებით, ისე პირადი შეხვედრებით, როგორც ბატონ გიორგი მარგველაშვილთან, ისე ბატონ გია დვალთან. მქონდა პატივი, ჩემს კოლეგებთან ერთად მათთან ამ პრობლემებზე მესაუბრა და მემსჯელა, მაგრამ ვეჭვობ, რომ თუნდაც ახლო მომავალში ამ საქმეს საშველი დაადგეს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ჰყავს განათლების მინისტრი, რომელსაც, წინამორბედის მსგავსად, სამწუხაროდ, პულსი არ ესინჯება. მაშინ რა ვქნათ ასეთ დროს ქვეყნის მოქალაქეებმა, როდესაც ქვეყანაში კვლავაც ვოლუნტარიზმია გამეფებული, როდესაც ცალკეული ადამიანების ვიწრო პირადული ახირებებისა და სურვილების გამო ვანადგურებთ სამეცნიერო კადრებს, რომელიც დღითიდღე ისედაც საგრძნობლად მცირდება? **როგორც წინა, ასევე თქვენი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ამდენი პროფესორი და მეცნიერი გარეთაა დარჩენილი, უნივერსიტეტები კი გავსებულია დილეტანტებით.**

**30-იანი წლებისგან განსხვავებით, როდესაც ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე რეპრესიულმა მანქანამ ფიზიკურად გაანადგურა,**

### ამჟამად სამეცნიერო კადრებს არა პროფესიონალიზმის, არამედ პოლიტიკური ნიშნით და ე.წ. კომპლიმენტარული პრინციპით არჩევენ, რომელიც, რა თქმა უნდა, არც ადრე იყო უცხო ჩვენთვის

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოაბიტაცია გუშინდელი ოპონენტის გამოცდილების გაზიარებასაც გულისხმობს და რა გასაკვირია, რომ თქვენც გსურდეთ, შეინარჩუნოთ ის ვერტიკალი, რომელიც ყველა რეჟიმის გუნდრუკისმკმეველი მედროვეების მეშვეობით საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის უსიტყვო მორჩილებას უზრუნველყოფს. მაშინ ვის ვუტოვებთ ასპარეზს, ვისი ან რისი იმედი უნდა გვქონდეს? სადამდე შეიძლება ვითმინოთ განუკითხაობა?

**მე-20 საუკუნის მიწურულისა და 21-ე საუკუნის საქართველოში, თუ არ ჩავთვლით აკადემიკოს გურამ შარაძის იდუმალებით მოცულ მკვლელობას, ხელოვანებს, ინტელექტუალებს, მეცნიერებს ტყვიას არავინ ესვრის, მათ გამოკეტილ ოთახში, უბრალოდ, კარი გადაურაზეს.**

მისი შედეგები კი სავალალო აღმოჩნდა მეცნიერების, განათლების სისტემისთვის და სრული კატასტროფა — ქვეყნისთვის. **ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუსაძლისი პირობების გამო, ინტელექტუალური ელიტის ერთმა ნაწილმა მოასწრო და გავიდა ქვეყნიდან, სამშობლოში უფუნქციოდ დარჩენილები კი სულს ღაფავენ.**

საკვირველი ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებული ნაწილი, რომელსაც სურვილი აქვს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის, დღეს შეშფოთებასაც კი არ გამოთქვამს განათლების სფეროში ინერციით მიმდინარე იმ იდეოლოგიის მიმართ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო სივრცის გადაკეტვა კვლავაც რომ შეუძლია.

მოგეხსენებათ, საქართველოში 2003 წლიდან მიმდინარე მენტალური რევოლუციის მთავარი სამიზნე საზოგადოებაში ძველი, „დრომოჭმული“ მენტალიტეტი აღმოჩნდა. მისი შეცვლის აუცილებლობა შემდგომი პროგრესის აუცილებელ პირობად დაისახა. საზოგადოების შეცვლას კი მასში არსებული ღირებულებები უშლიდა ხელს, ეს ღირებულებები კი ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ენასთან, ეთნიკურ წარმომავლობასა და რელიგიასთან.

ბატონი კახა ლომაიას მინისტრობის დროიდან მოყოლებული განათლების სისტემაში კლანურმა მმართველობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. წლების განმავლობაში მკაცრად განსაზღვრული იდეოლოგიური წნეხის ქვეშ დგინდებოდა „ჩემიანი“. **„ჩემი კლანის კაცი“ — აი, ასეთი პრინციპით ხდებოდა „ვარდისფერ საქართველოში“, რომელიც სულ უფრო წითლდებოდა, საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში კადრების შერჩევა. ასე იყო, რა თქმა უნდა, კომუნისტების დროსაც, მაგრამ წინა ხელისუფლებამ, ამ მხრივ, წარმოუდგენელი საქმეები აკეთა. გარდა საკუთარი ნდობით აღჭურვილი პირებისა და მათ მიერ შერჩეული კადრისა, სხვა აღარავინ არსად გაიკარა, თუნდაც იგი დარგის უთვალსაჩინოესი სპეციალისტი ყოფილიყო. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ბევრი უცოდინარი და არაპროფესიონალი ადამიანი მოხვდა თანამდებობაზე. დღესაც ისინი არიან წარმოდგენილნი უნივერსიტეტებში, თვითმმართველობებში, ხელისუფლებაში, პარლამენტში.**

დიდი გულისტკივილი მინდა გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მენტალური რევოლუციისგან „ჩარეცხილი“ ჩემი კოლეგების მრავალწლიანი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისთვის, კარგა ხანია, კაზუისტიკაშია მოქცეული. ამის მიზეზი კი ისაა, რომ **წლების განმავლობაში „ფასადური დემოკრატიისთვის“, „გამჭვირვალე“ კონკურსების წყალობით, ქუჩისთვის გამეტებულ პროფესორ-მასწავლებელთა დაჟინებული მოთხოვნა, გადასინჯულიყო და მისცემოდა სამართლებრივი შეფასება პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე ჩატარებულ, ფაქტობრივად, არშემდგარი კონკურსების შედეგებს, დღემდე არ განხორციელდა.** არადა, ბრძოლა უსამართლობასთან, დიდი ხანია, თავის ლოგიკურ დასასრულს ელოდება.

ჩვენ ხომ მშვენივრად გვესმის, რომ ამ ადამიანების მიერ „ჩადენილი დანაშაული“ ქვეყნის წინაშე ის იყო, რომ არ შეიძლებოდა მათი განათლების სისტემასთან მიკარება და ამიტომაც დაითხოვეს სამსახურებიდან, რადგან, როგორც თვითონ, ისე ხშირ შემთხვევებში მათი სპეციალობებიც, ხელისუფლების მიერ შექმნილ პროკრუსტეს სარეცელზე არ ეტეოდა.

ამიტომ **სამართლიანობის აღდგენა მოითხოვდა, გარკვეულიყო და დადგენილიყო იმ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხიც, თუნდაც მორალურის, ვინც წლების განმავლობაში, სხვებს მათთვის წინასწარ დაწერილი სცენარით კონკურსებს უტარებდა.** მეტი დამაჯერებლობისთვის ასეთ კომისიებს დროდადრო კვალიფიციურ სპეციალისტებსაც შეურევდნენ ხოლმე, მაგრამ მათი უპრინციპობა დანაშაულზე უფრო მეტად შეფასდა.

**თქვენ რომ თავის დროზე ეს ადამიანები გემხილებინათ, დღეს იმავეს სხვები ვეღარ გაბედავენ. განმეორებისგან კი დაზღვეულნი არც მომავალში ვართ.**

ერთადერთი, რაც თქვენმა წინამორბედმა, დღეს უკვე პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა განათლების მინისტრად ყოფნის დროს, ის იყო, რომ მოგვიწოდა: პრობლემის გადაწყვეტა უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან „შინაურული მოლაპარაკებით“ მიგვეღწია. მაგრამ, როგორც ვნახეთ, სამართლიანობის აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. ვერც მოხერხდებოდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ საქმე გვაქვს არა ერთეულ შემთხვევებთან, არამედ მსოფლმხედველობრივი პრობლემებით შექმნილ მასობრივ დანაშაულთან. ის ხელისუფლება იქცეოდა ისე და შედეგიც მიიღო ისეთი, როგორსაც მას მისი იდეოლოგია კარნახობდა.

ამიტომ, უწინარესად, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უნდა შემუშავებულიყო განათლების სფეროში, სადაც ეროვნულობის პრიორიტეტი მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული და განმარტებული და, რაც მთავარია, საზოგადოებისთვის გასაგები: **ვემიჯნებით იმ იდეოლოგიას თუ მსოფლმხედველობას, რომელიც წლების განმავლობაში იყო დღემდე მოყვანილი, თუ ინერციით მას კვლავაც ვაგრძელებთ?** ხოლო თუ ვემიჯნებით, მაშინ **სამართლიანობის აღდგენისთვის აუცილებლობა მოითხოვდა, დღემდე ჩატარებული კონკურსები განათლების სფეროს ყველა რგოლში ბათილად გამოცხადებულიყო, რათა ჩატარებულიყო ახლიდან.**

**როგორც წინა, ასევე თქვენი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ამდენი პროფესორი და მეცნიერი გარეთაა დარჩენილი, უნივერსიტეტები კი გავსებულია დილეტანტებით**

ჩვენ, ყველანი ველოდებოდით, რომ თსუ გახდებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შემდგომ დაიწყებოდა რადიკალური ცვლილებები. მერე რა შეიცვალა ამით?! მივიღეთ უარესი. **2013 წლის 11 სექტემბრის თქვენი ბრძანებით დამტკიცებული თსუ-ს წესდებით, 2014 წლის ბოლომდე არაფერი იცვლება, გარდა იმისა, რომ, ვისაც სამეცნიერო ხარისხი არ აქვს** (დეკანი, რექტორი) **და არაა არჩეული აკადემიურ თანამდებობაზე, დატოვებენ სავარძლებს...**

ასე რომ, **უნივერსიტეტებში კოაბიტაციის პერიოდი არათუ მთავრდება, არამედ გადამწყვეტ ფაზაში შედის...**

არადა, თქვენ გქონდათ სრული უფლება, გამოგეყენებინათ თუნდაც ის გარემოება, რომ პარლამენტში შემოტანილი კანონპროექტით უქმდება ე. წ. სრული პროფესორის თანამდებობა და მის ნაცვლად რჩება ის, რაც იყო უწინ. ამიტომ შეგეძლოთ, თუნდაც ამ მიზეზით, ხელახლა გამოგეცხადებინათ კონკურსები, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. შესაბამისად, გადახალისდებოდა სხვა რგოლებიც. **ჩვენ გვჭირდება „გამჭვირვალე“ კონკურსები არა ვინმესთვის „ფასადური დემოკრატიის“ საჩვენებლად, არამედ ობიექტურად ჩატარებული კონკურსები ქვეყანაში კონკურენტურანიანი გარემოს დასამკვიდრებლად.**

ამ მხრივ კი თუ სხვათა მიბაძვა და გამოცდილების გაზიარებაა აუცილებელი, უცხო კულტურებიდან იქნებ ის მაინც გადმოვიღოთ, რაც მართლაც დასაფასებელია და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ასე სჭირდება.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით ამერიკულ კულტურაში ღირებულებებს შორის ერთერთი ყველაზე ძირეული კონკურენტულობა და წარმატებულობაა. პოლიტიკაში, სპორტში, ბიზნესში, სკოლასა და ყოველდღიურ ყოფაში ამერიკელები თამაშობენ, სწავლობენ, შრომობენ თუ იბრძვიან, ამას აკეთებენ მხოლოდ გამარჯვებისთვის. ეს იმ ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, რომლის წყალობითაც ამერიკა ზესახელმწიფოდ იქცა. სხვა ქვეყნების კულტურაში კონკურენტულობის, როგორც ღირებულების, ასეთი მძაფრი განცდა სრულიად უცხოა.

**იქნებ ჩვენც დაგვემკვიდრებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონკურენტულობა, როგორც ღირებულება, არა ვინმეს თვალის ასახვევად, არამედ როგორც ქვეყნის აღორძინების უმთავრესი პირობა.**

**საამისოდ კი, სულ ცოტა, უნდა შემუშავდეს სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე, კვალიფიციური სპეციალისტების მიერ გარკვეულ კრიტერიუმებზე დამყარებული, „საყოველთაო ჭეშმარიტებაზე“ დაფუძნებული ხარისხის შეფასების მექანიზმი.** გასაგებია, რომ იგი ყველას „ინდივიდუალურ ჭეშმარიტებებს“ ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ მოგვცემს შესაძლებლობას, როგორც უმაღლესი სასწავლებლების სწავლების ხარისხი, ისე იქ დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია დადგინდეს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვოლუნტარიზმისთვის ადგილს აღარ დატოვებს. ამ მხრივ, უდავოდ დასაფასებელია, რასაც მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ბატონი გია დვალი აკეთებს, მაგრამ ჩვენი ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე ის კრიტერიუმები, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში არის მიღებული, აუცილებლად საჭიროებს კიდევ დამატებით სხვა დამცავი მექანიზმების მოფიქრებასაც, რათა უზრუნველყოთ სამ ამოსავალ პრინციპზე დაფუძნებული აკადემიური სისტემის წარმატებულობა:

**1) აკადემიური თავისუფლება;**

**2) აკადემიური მიუკერძოებლობა;**

**3) აკადემიური ხარისხი.**

ამ სამი კონცეფციის საყრდენ და დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ტენუარის (ტენურე) ინსტიტუტი (ანუ ტენუარის სისტემა).

**საუნივერსიტეტო მოწყობის ეს სისტემა, დიდი ხანია, მოწინავე მსოფლიო სტანდარტია, მაგრამ იგი დღემდე არ დანერგილა საქართველოში.** ეს, რა თქმა უნდა, არ არის იოლი საქმე. იმედია, საზოგადოება ამ თემას კიდევ უფრო მეტ დროს დაუთმობს და განსჯის საგნად აქცევს: თუ ვის შეიძლება ვანდოთ თითოეულმა ჩვენი პროფესიული საქმიანობის შეფასება. **განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმირებამ უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, განათლების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას, რათა ჩვენი შვილების აღზრდა მივანდოთ არა შემთხვევით პირებს, არამედ დარგის საუკეთესო სპეციალისტებს.**

**განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმირებამ უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, განათლების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას, რათა ჩვენი შვილების აღზრდა მივანდოთ არა შემთხვევით პირებს, არამედ დარგის საუკეთესო სპეციალისტებს**

ქართული ანდაზა ამბობს: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველებაო“. **ობიექტურად ჩატარებული კონკურსები და არჩევნები, ერთის მხრივ, არ მისცემს „თვითკმაყოფილების“ უფლებას გამარჯვებულს, ხოლო დამარცხებული, რომელსაც უყვარს თავისი პროფესია, სამომავლოდ უკეთ მომზადებული, კვლავაც შეეცდება, იბრძოლოს მომდევნო კონკურსში გამარჯვებისთვის.**

იმედია, დამეთანხმებით, რომ **პრობლემის გადაჭრის ეს გზა, არც პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეიძლება შეფასდეს ვინმეს მიერ და არც ხელების გადაგრეხად. თუმცა, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ასეთი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მოწინააღმდეგენი, როგორც სხვა სფეროში, განათლების სისტემაშიც მრავლად არიან, ე.წ. ყვარყვარეების, „ადამიანი ფლუგერების“ სახით, რომლებიც, საითაც ქარი ქრის, იქით ირხევიან.** ეს კი ტიპიური აღმოსავლური ფენომენია და დასავლური კულტურა მას, როგორც ასეთს, არ იცნობს. საზოგადოების ამ კასტის აქტიურობა ყველა დროში, ნაცნობ-მეგობრების მხარდაჭერით, ახერხებდა მოვლენების ეპიცენტრში ყოფნას და ამით, სულ ცოტა, ხელშეუხებლობას მაინც აღწევდა, ნამდვილად სულისშემძვრელია. პოეტის სიტყვებით თუ ვიტყვით: „რაც იყო გუშინ, რაც გუშინწინ, ის არის დღესაც, ისევ ავარდა მედროვეთა მდარე მაზანდა“.

რადგან მხოლოდ ერთი მიმართულებით გონების ვარჯიში, „ააწყო საკუთარი ცხოვრება, როგორც გიტარა“ და ქვეყნის და სხვათა ბედი ფეხზე დაიკიდო, არ არის საკმარისი პირობა ამ ადამიანების კვალიფიკაციის შესაფასებლად. კონკურენტურანიანმა გარემომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ეს უნარ-ჩვევები რუდიმენტული უნდა გახადოს.

**ვიმედოვნებ, კონკურსებში მონაწილეობის მიღების სურვილი ასევე არ ექნება მათ, ვინც თავს დარგის სპეციალისტად არ მიიჩნევენ, მაგრამ საკუთარი ამბიციით არც სხვებს აწუხებენ.**

დასასრულს, მინდა გკითხოთ: **ვითხოვთ რამეს შეუძლებელს? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგინდეს, ის, რაც წლების განმავლობაში განათლების სისტემაში ხდებოდა, რამდენად შესაძლებელია ამ საკითხებში გარკვევა? ვინ ან რა არის დამნაშავე? ძნელია მათი გადაწყვეტა? იქნებ მისი განხორციელება დიდ ინვესტიციას და გრანტებს თხოულობს?** მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, — არა. ეს მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, რომელიც არ გაგაჩნიათ. ფაქტია, რომ **კოაბიტაცია გუშინდელი ოპონენტის გამოცდილების გაზიარებასაც გულისხმობს და რა გასაკვირია, რომ თქვენც გსურდეთ, შეინარჩუნოთ ის ვერტიკალი, რომელიც ყველა რეჟიმის გუნდრუკისმკმეველი მედროვეების მეშვეობით საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის უსიტყვო მორჩილებას უზრუნველყოფს.**

მაშინ ვის ვუტოვებთ ასპარეზს, ვისი ან რისი იმედი უნდა გვქონდეს? სადამდე შეიძლება ვითმინოთ განუკითხაობა?

დაველოდები თქვენს პასუხს, იმედია, გაერკვევით შექმნილ სიტუაციაში და მიიღებთ ქმედით გადაწყვეტილებებს, ამასთანავე, ვიტოვებ უფლებას ასეთივე ღია წერილით მივმართო პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ქართულ საზოგადოებას. ეს თემა უნდა გასაჯაროვდეს და მსჯელობის საგნად იქცეს, რათა საქართველოში ხელოვანებს, ინტელექტუალებს, მეცნიერებს წლების წინ გადარაზული კარი გაეხსნათ და ამით ფეოდალიზმი და ფეოდალური აზროვნება ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს.

**ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუსაძლისი პირობების გამო, ინტელექტუალური ელიტის ერთმა ნაწილმა მოასწრო და გავიდა ქვეყნიდან, სამშობლოში უფუნქციოდ დარჩენილები კი სულს ღაფავენ**

პატივისცემით,
**გიორგი მჭედლიშვილი,**
პროფესორი

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპარსული ქორწილი თურქულს ჰგავდა. მზითევი მიჰქონდათ ბრწყინვალე ქარავნით. მეგობრები პატარძალს შუაღამით მიჰგვრიდნენ სიძეს. ჩვეულების მიხედვით, მას წინააღმდეგობა უნდა გაეწია პირბადის მოხსნის მომენტში. ეს აიხსნებოდა არა იმდენად ქალწულებრივი კდემამოსილებით, რამდენადაც კარგად გათვლილი სისტემით, რომელიც ცოლ-ქმარს შორის ყალიბდებოდა და ქმრის სამართავად იყო გამიზნული.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-34 (204-221)

სპარსელ დიდებულთა სახლები შაჰის სასახლის მოკრძალებული ასლები იყო. ყურანის მიხედვით სხვის სახლში შესვლა პატრონის ნებართვის გარეშე აკრძალულია. მბრძანებლის წარგზავნილებიც კი, რომლებიც დამნაშავის დასაკავებლად იყვნენ მისულნი, ვერ ბედავდნენ ქალთათვის განკუთვნილ ნახევარზე შესვლას, მორჩილად იცდიდნენ, სანამ ბრალდებული თავად ინებებდა მათთან გამოსვლას.

**სახლები ისე იყო დაგეგმილი, აგებული და მოწყობილი, რომ სრულიად ითვალისწინებდა ქვეყნის ცხელი და მშრალი ჰავის თავისებურებას. ქუჩის მხარეს ყრუ კედელი იყო მოქცეული, ისევე, როგორც ბევრ სხვა აღმოსავლურ ქვეყანაში.** დახურულ შენობებში უმთავრესად წლის ცივ დროში ცხოვრობდნენ, დროის უმეტეს ნაწილს ან გადახურულ აივანზე ატარებდნენ, ეზოში ან ბაღში, ღამღამობით სიგრილეს სახურავზე ეძებდნენ, სადაც შლიდნენ ლოგინს, დღისით კი — შიდა ეზოში, აუზთან.

**სპარსელები ბევრს არ ჭამდნენ. მდიდართა სახლებშიც კი ცხელი კერძი დღეში მხოლოდ ერთხელ შემოჰქონდათ სუფრაზე. ყოველდღიური რაციონი უბრალო და მოკრძალებული იყო — ყველი, ხაჭო, მაწონი, ბოსტნეული, დაშაქრული ან ახალი ხილი და ყურძენი.** საკვების მომზადებასა და შენახვას იმდენი ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ ადგილობრივებიც კი ამჯობინებდნენ მზა კერძების ბაზარზე ყიდვას.

**გარეშე პირების სუფრაზე მიწვევა და საჭმლის ღარიბებისთვის დარიგება სამადლო საქმედ ითვლებოდა,** საპატიო სტუმრებს სუფრას დარბაზში უშლიდნენ, რომელიც კაცების მხარეს იყო, ან ბაღში ჩადგმული ცალკე შენობაში. **საზეიმო მიღებას სპარსელის სახლში თავისებურება ახასიათებდა — ტრაპეზი დასასრულს იმართებოდა და არა თავიდანვე.** სტუმრები ჯერ საუბრითა და ნარგილეს მოწევით ერთობოდნენ, სვამდნენ ყავასა და ღვინოს (ღვთისმოსავი ოჯახების გამოკლებით), მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა უხვი გამასპინძლება, სადილი, რომელიც ნახევარ საათზე მეტს არ გრძელდებოდა და რომელსაც საგანგებოდ მიწვეული ორკესტრის მუსიკა ახლდა. **მუსიკა სპარსელებს თავდავიწყებით უყვარდათ, რასაც აღნიშნავდა ყველა მოგზაური, ეგზოტიკური საკრავების მიერ ყოველდღიურად გამოცემული ხმებით თავმობეზრებული.** მდიდარი ოჯახების საზეიმო წვეულებაზე ხორცისა და თევზის ათამდე ცხელი კერძი შემოჰქონდათ, უხვად — ბოსტნეული, მწვანილი, ცხარე საწებლები და მწნილი. მიირთმევდნენ ტკბილეულსა და ცივ სასმელებს — ლიმონის, ბროწეულისა და სხვა ხილისგან დამზადებულ შარბათს.

**სპარსული ქორწილი თურქულს ჰგავდა. მზითევი მიჰქონდათ ბრწყინვალე ქარავნით. მეგობრები პატარძალს შუაღამით მიჰგვრიდნენ სიძეს. ჩვეულების მიხედვით, მას წინააღმდეგობა უნდა გაეწია პირბადის მოხსნის მომენტში. ეს აიხსნებოდა არა იმდენად ქალწულებრივი კდემამოსილებით, რამდენადაც კარგად გათვლილი სისტემით, რომელიც ცოლ-ქმარს შორის ყალიბდებოდა და ქმრის სამართავად იყო გამიზნული.**

მეუღლეთა შორის დავა და ჩხუბი ორივე მხარის ნათესავების დახმარებით უნდა მორიგებულიყო — ამას ყურანი მოითხოვდა. **რაგინდ სერიოზულიც გინდა ყოფილიყო ბრალი, დამნაშავის სახლიდან გაგდება რეკომენდებული არ იყო.**

ინგლისელმა ულისმა, რომელიც XIX საუკუნეში თეირანში იყო ჩასული და იქაური საპატიმროები დაათვალიერა, ვერც ერთი ქალი იქ ვერ ნახა. ისინი, ვინც ხელახლა აღზრდას ექვემდებარებოდნენ, სასჯელს ადგილობრივ ღვთისმსახურთა სახლებში იხდიდნენ ისეთი გადაცდომებისთვის, როგორიც იყო სახსრების ზედმეტად ფლანგვა, სიზარმაცე სახლის დალაგებისას თუ ბავშვთა აღზრდის დროს, ლაყბობა, ხელთუპყარობა, ცოლის მოვალეობის შეუსრულებლობა და ა. შ.

**სპარსელები საკმაოდ კარგად ეპყრობოდნენ თავიანთ ცოლებს და ჭკვიანი ქალი ხშირად თავისი ქმრის მმართველი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მის პიროვნულ თვისებებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ არა ოდენ ეს.** ერთმა უცხოელმა ექიმმა ყურადღება მიაქცია, რომ მის პაციენტ ქალს წარწერებით აჭრელებული ბარათები ჰქონდა ხელზე მიბმული. შეკითხვაზე, რას ნიშნავდა ეს ფურცლები, საჭურისმა ხელი ჩაიქნია და უპასუხა: — „ქალების ყურანია“. ეს იყო ქალების საიდუმლო კოდექსი, ანუ კანონთა კრებული, რომელიც შექმნეს სპარსმა ქალებმა თავიანთი ყოფის შესამსუბუქებლად. იგი ჰარამხანის ძველებურ წეს-ჩვეულებათა, წარმართული რწმენის, ხალხური ცრურწმენისა და ისლამის დებულებათა თავსამტვრევ ნაზავს წარმოადგენდა. ამ კოდექსს ქალები ხელნაწერების სახით ინახავდნენ, უმალავდნენ ქმრებს, რადგან ეს უკანასკნელნი ყოველთვის მათ განადგურებას ცდილობდნენ. კოდექსი საუკუნეების განმავლობაში დგებოდა, იხვეწებოდა და ითვალისწინებდა ყველაფერს, რასაც კი „ქალთა ბედნიერება“ გულისხმობდა. მისი კანონების დაცვა ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომელსაც ისეთივე მონდომებით (მეტით თუ არა) იცავდნენ, როგორითაც სარწმუნოების მოთხოვნებს.



**მუსიკა სპარსელებს თავდავიწყებით უყვარდათ, რასაც აღნიშნავდა ყველა მოგზაური, ეგზოტიკური საკრავების მიერ ყოველდღიურად გამოცემული ხმებით თავმობეზრებული**



**სპარმა ქალებმა კოდექსის დებულებების მოქნილად გამოყენებით შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ერთგვარი თავისუფლება. „ქალთა ყურანი“ თავიდან ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, შემდეგ წერილობით დაფიქსირებაც მოხერხდა.** ჩაწერა ვინმე მირ-დამედმა დაიწყო, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა და დასრულება ვერ მოასწრო. შემდეგ ფახტ-ალი-შაჰმა, რომელიც თავის მრავალრიცხოვან ჰარამხანაში ქალთა კოდექსის უდიდესმა გავლენამ გააოცა, უბრძანა მეფისწულ მოჰამედ-მირზას, თავი მოეყარა და სრულად გამოექვეყნებინა „ქალთა ყურანი“.

მეფისწულმა შეასრულა დავალება და ჩანაწერი ლექსად გამართა სახელწოდებით **„ადაბ-უნისა“** („ქალთა ჩვეულება“). შესავალში კი დაწერა: **„მირ-დამედმა, ღმერთმა აცხონოს მისი სული, მოინდომა აეხადა ფარდა ჩვენი ქალების მანკიერი მოძღვრებისა და საიდუმლო ჩვევებისთვის, რომლებიც მანამდე დამალული იყო.**

**მან დაიწყო იმით, რომ ყურადღებით დაუწყო მათ ქცევას თვალთვალი. შემდეგ მოაწესრიგა იმ ისტორიების ჩანაწერები, რომლებსაც მოუყვნენ კომპეტენტურად მიჩნეული ისპაჰანელი ქალები“.**

უნიკალური ნაშრომი 16 თავისგან შედგება.

**პირველ თავში მოთხრობილია იმ ქალების შესახებ, რომლებმაც სახელი გაითქვეს ძლიერი სქესის თავიანთი სურვილებისა და ნებისადმი დამორჩილების დახვეწილ მეცნიერებაში.** ასეთი ქალბატონები ცოტა როდი იყო სხვადასხვა ეპოქაში, მაგრამ XIX საუკუნემდე მოაღწია მხოლოდ ხუთი მათგანის სახელმა: **ყულსუნ-ნენემ, ჰალეჯან-აღამ, ბიბი-შაჰ-ზეინებმა, ბაჯი-იას-მინმა** და **დედებესმარამ.** სპარსი ქალები წმინდად იცავდნენ მათ დანაბარებს.

მეორე თავში გადმოცემული იყო მაჰმადიანური რწმენის ძირითადი დებულებები, რომლებიც მუსლიმთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგრამ ხუთი ქალბატონი ათავისუფლებდა მუსლიმ ქალებს განბანვისგან, თუ მათ უკვე „დახატული“ ჰქონდათ სახე და გალამაზებულები იყვნენ. განბანვისგან თავისუფლდებოდნენ მაშინაც, როცა ქმარი შორეულ მგზავრობაში იყო წასული და ცოლისთვის აბანოს ფული დატოვებული არ ჰქონდა; მაშინაც, როცა მეუღლე არ შეუსრულებდა დანაპირებს — არ უყიდდა სამკაულს ან აბანოს წინსაფარს (ლუნგს). ჩამონათვალი გრძელდებოდა და ყველა წვრილმანი უაღრესი სერიოზულობით იყო განხილულ-დადასტურებული.

**სპარსი ქალი აბანოდან გამოდიოდა არამარტო განბანილი, სუფთა სხეულით და ყვავილივით სურნელოვანი, არამედ სულიერი ტვირთისგან დაცლილი ხანგრძლივი, გულახდილი და საინტერესო საუბრების მეშვეობით**

**მესამე თავში განხილული იყო შემთხვევები, როცა ქალს შეეძლო უარი ეთქვა ლოცვაზე — ნამაზზე.** აქაც გარკვეული თავისუფლება ეძლეოდა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მუსიკის ხმებს გაიგონებდა ან დაფდაფის ხმას („თუ განაგრძობთ ლოცვას, ულმერთოები და უწმინდონი იქნებით“).

ლოცვა არ უნდა ახსენო ნიშნობის დღესაც, ანუ ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს დღეს. ლოცვა, კოდექსის მიხედვით, უნდა დაუტოვო მოლას, ხოლო სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ზეიმში და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღონ დღესასწაულისგან. ლოცვა შეიძლება მეორე დღისთვის გადადო.

**ცოდვად მიაჩნდათ ლოცვა ქმრის მოგზაურობიდან დაბრუნების დღეს, რადგან მხოლოდ მას უნდა მიძღვნოდა წამი, რაიც სალმრთო საქმეა.**

ლოცვაზე უარის თქმა (რაც ყურანის მიხედვით დღეში ხუთჯერ, ერთსა და იმავე დროს უნდა წარმოითქვას), როცა ცოლთან შეიკრიბება საზოგადოებრიობა.

ქალს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა, უნდა ილოცოს თუ არა, როცა ბრჭყვიალა სამკაულით მოირთვება.

**მეოთხე თავში ჩამოთვლილია შემთხვევები, როცა ქალმა უნდა იმარხულოს და განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია სუსტი სქესისთვის ყველაზე მძიმე მარხვისადმი — დუმილის დაცვისადმი.** კოდექსის მიხედვით, როცა ამის დრო გადის, ქალი სამათხოვროდ უნდა წავიდეს. აკრძალვა ქმარსაც არ შეუძლია. ხის კოვზით ხელში უნდა გავიდეს ქუჩაში, ჯოხით შვიდჯერ დააკაკუნოს იმ სახლების კარებზე, რომლებიც გზად შეხვდება და მოწყალების გაღება ითხოვოს. ამ ხერხით მიღებული ფულით უნდა იყიდოს ბრინჯი, მაწონი და ინდისხურმა, ანუ ის პროდუქტები, რომლებიც ტკბილი ღვეზელის გამოსაცხობადაა საჭირო. ამ ნამცხვრის გასინჯვის შემდეგ მძიმე მარხვის დასრულება შეუძლია.

**მეხუთე თავში აღწერილია წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ნიშნობის დროს, გადმოცემულია რჩევა, როგორ უნდა იპოვოს ქალმა საქმრო.** ამისთვის საჭიროა, აილოს მწვანე ფერის ძაფი, გაუყაროს ნემსის ყუნწში და შეერიოს ცნობისმოყვარეებში, რომლებიც საპატარძლოს გარს ახვევიან. თუ მოახერხებთ და შეეხებით მას, შეუმჩნევლად უნდა გახვრიტოთ ფატა ამ ნემსით, გამოაძროთ ნემსი და საიმედოდ დამალოთ ძაფი საკუთარ მკერდზე.

მიუთითებენ იმასაც, თუ როგორ უნდა ალაგზნოს ცივტემპერამენტიანი ქმარი; მოთხრობილია, თუ როგორც უნდა მოექცეს ქმარი ათი, თორმეტი თუ თხუთმეტი ▶

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქალების ყურანი“ იყო ქალების საიდუმლო კოდექსი, ანუ კანონთა კრებული, რომელიც შექმნეს სპარსმა ქალებმა თავიანთი ყოფის შესამსუბუქებლად. იგი ჰარამხანის ძველებურ წეს-ჩვეულებათა, წარმართული რწმენის, ხალხური ცრურწმენისა და ისლამის დებულებათა თავსამტვრევ ნაზავს წარმოადგენდა. სპარსმა ქალებმა კოდექსის დებულებების მოქნილად გამოყენებით შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ერთგვარი თავისუფლება. „ქალთა ყურანი“ თავიდან ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, შემდეგ წერილობით დაფიქსირებაც მოხერხდა.**

◀ წლის ცოლს (რაც სპარსეთში ხშირად ხდებოდა). ამასთან, ყველა საგანი თავისი სახელით მოიხსენიებოდა.

**მეექვსე თავი ქორწინების პირველი ღამისადმია მიძღვნილი, როცა ახალგაზრდა ცოლი ქმრის სახლში პირველად შედის. ხშირად ქმარიც პირველად ნახულობს თავის კანონიერ მეუღლეს.** მომენტი, როცა ქმარი პირბადეს ჩამოხსნის ცოლს, ქალის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ეს პროცედურა გამოძალვის რთული სისტემაა, და რაც უფრო წარმატებით გადალახავს ახალგაზრდა ცოლი ამ სირთულეს, მით უფრო ამაღლდება მისი ავტორიტეტი ქალებს შორის, რომლებსაც საქორწინო ოთახის კარზე აქვთ ყური მიდებული. სპარს ქალებს ამგვარ ქცევას თავის გადარჩენის და გაყრის შემთხვევაში საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების ინსტინქტი კარნახობდა. **ქმრისგან მიღებული საჩუქრების სახით თავისებურ „დაზღვევას“ ქალი სწორედ პირველ ღამეს ახერხებდა. და ხუთი კანონმდებელი ქალბატონი ახალგაზრდებს ურჩევდა, უკეთ როგორ გამოეყენებინათ ახალგაზრდა ქმრის ხელგაშლილობა.**

მაშ ასე, ქმართან ერთად საძინებელში პირველად შესვლის დროს ცოლმა პირბადე უფასოდ არ უნდა ჩამოიხსნას. მანამდე კარგი საჩუქარი უნდა მოითხოვოს. მიღების შემდეგ მოითხოვოს მეორე, რათა დაიწყოს „კბილების მოძრაობა“, ანუ ლაპარაკი, და ეს მეორე საჩუქარი პირველზე ძვირფასი უნდა იყოს. ცოლი ჩუმად და გაუნძრევლად უნდა იჯდეს, ყურადღება არ უნდა მიაქციოს ქმრის ტკბილ სიტყვებსა და ალერსს, რადგან ქმრები სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც ხელმომჭირნენი არიან. როცა, მაგალითად, ცოლისთვის სოფლის ჩუქება აქვს გადაწყვეტილი, ჯერ ნაკლები ღირებულების საჩუქარს შესთავაზებს. გამოცდილებით დაბრძენებული კანონმდებლები ახალგაზრდებს ურჩევდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ თავისაზე და უცებ არ მოხიბლულიყვნენ პირველივე შეთავაზებით:

**„ხმა ამოიღე, ჩემო მეგობარო“,** — იტყვის კაცი; იყავი ჩუმად და შეიჭმუხნე შუბლი. **„მხოლოდ შემომხედე და თქვი კეთილი სიტყვა“,** — იყავ მდუმარე, როგორც საფლავი და თავი ისე დაიკავე, რომ თითქოს ძალიან გაბრაზებული ხარ. **„მოგწონს ბრილიანტისთვლიანი ეს ბეჭედი?“** — და იგი თითზე ჩამოგაცვამს მას, თან შენი სახის გამომეტყველებას აკვირდება. ამ დროს უნდა გახსოვდეს, რომ თვალებმა არ გაგთქვან, რომ მოგწონს ქმარიც და მისი საჩუქარიც. შენთვის უკეთესია, თუ წაიძრობ ბეჭედს, მოისვრი რაც შეიძლება შორს და უწინდელზე უფრო მეტად გაბრაზებულად მოაჩვენებ თავს. **„მაგრამ, ჩემო სულო (ჯანიმ),** — იტყვის იგი, — **განა მე ძუნწი ვარ, ასე რომ მექცევი? დამშვიდდი, ჩემს ხელში შენ ძალიან ბედნიერი იქნები, თავს დაგახვევ მონებსა და საჭურისებს. აი, ნახე! უპირველესად, გჩუქნი ახალგაზრდა ზანგ გოგოს. გამომართვი იგი“.** აქ შეიძლება ოდნავ შეარბილო შენი მრისხანება, მაგრამ განაგრძე დუმილი, პირი არ გახსნა. გახსოვდეს, რომ პირველი ღამე ერთადერთია, როცა კაცები ყველაფრისთვის არიან მზად. გამოიყენე იგი, რათა გაიმარჯვო შენი სილამაზითა და სულიერებით. გახსოვდეს, შენი საწოლის კართან და ფანჯრებთან ქალებისა და ქალიშვილების მთელი ბრბოა, რომლებიც ისმენენ ყველაფერს, რაც თქვენ შორის ხდება და მეორე დღეს, დილაადრიან ქალთა აბანოში ან დაგწყევლიან, ან ცამდე აგამაღლებენ იმის მიხედვით, როგორ მოიქცევი ამ ბედნიერ ღამეს“.

**ხუთივე კანონმდებელი ქალი მიიჩნევდა, რომ მიყურადებაში სასირცხვილო და არაეთიკური არაფერია. მეორე დილით სიძეს უფლება ეძლეოდა იმ ქალებისთვის, რომლებიც ქორწილს ესწრებოდნენ, დაეკოცნა სახე და ხელები, რადგან ძმად იყო მიჩნეული, ხოლო პირბადით მასთან ყოფნა ცოდვად ითვლებოდა.**

მეშვიდე თავი ორსულ ქალებსა და მშობიარეებს ეძღვნებოდა. მათ მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის თბილი და მზრუნველი იყო. მთავარი მიზანი იყო ქალისა და ბავშვის დაცვა **აალასგან,** დემონისგან, რომელიც მშობიარე ქალის ღვიძლით იკვებება.

მათ გასართობად ცეკვითა და მუსიკით მიდიოდნენ არამარტო მთელი მხარის ქალები და ბავშვები, არამედ ფოკუსის მკეთებლები. მხიარულება მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ამ კეთილი საქმის გაწევისთვის კოდექსი ყველას სამოთხის ცხოვრებას ჰპირდებოდა. მშობიარე, როგორც კი სრულიად გამოჯანმრთელდებოდა, აბანოში მიჰყავდათ და კვლავ მუსიკით ართობდნენ.

**მერვე თავი აღწერდა აბანოს — ჰამამს, რომელიც სპარსი ქალის ერთადერთი გასართობი იყო. აქ ის სავსებით თავისუფლად იგრძნობდა ხოლმე თავს.**

აბანოში მოდიოდნენ ქორწილამდე და მშობიარობის შემდეგ, იქ ეწყობოდა ზეიმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველაფერი, რაც აბანოს ეხებოდა, კოდექსში წვრილად იყო აღწერილი, დაწყებული იმით, რომ აბანოში ყოფნით ქმარი ავხორცობის ცოდვით არ აცდუნონ და დამთავრებული არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემით, რაც მიმზიდველობის შენარჩუნებაში გამოიხატებოდა და პირველთან კავშირში იყო წარმოდგენილი.

პირველ შემთხვევაში გათხოვილ ქალს ურჩევდნენ, აბანოში წაეყვანა ყველა ლამაზი მოსამსახურე და მონაქალი, რათა ქმარს ცოლის არყოფნის დროს ცოდვაში ფეხი არ ჩაედგა. მეორე შემთხვევაში კი სთავაზობდნენ იმ კოსმეტიკური რეცეპტების დეტალურ აღწერას, რომლებიც კანს ქათქათა სითეთრესა და აბრეშუმივით სიმსუბუქესა და სინაზეს მიანიჭებდა, აახალგაზრდავებდა ქალის სხეულს.

ამასთან, აბანოდან გამოსვლისას **ხეხტ-ხანაში** (აბანოს შესასვლელში) უნდა ყოფილიყო გაწყობილი მცირე სუფრა სხვადასხვა შარბათით, ასევე, კერძებით, რომლებსაც განსაკუთრებულ მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.



## ქალთა ყურანი ერთადერთი საიდუმლო იარაღი არ ყოფილა სპარსი ქალებისთვის. მათ შეიმუშავეს მისტიკური, საიდუმლო ენა, რომლისთვისაც ტკბილეულსა და აბრეშუმის ქსოვილს იყენებდნენ

მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში კანონმდებელი ქალბატონების პოზიცია ერთმანეთს არ დაემთხვა, და ამიტომ ქალებს მიეცათ უფლება, თავად აერჩიათ — ნანადირევი შემწვარი ბატი სჯობდა თუ დედალი ანტილოპას ხორცისგან დამზადებული შიშხინა მწვადი. და შემდეგ ჩაეკოკლოზინებინათ პირი ტკბილი ნესვითა და ვარდის ტკბილი წყლით.

**ფიზიკური სიამოვნება აბანოში სულიერებით უნდა ყოფილიყო შევსებული, ანუ გონებამახვილური საუბრით და... ჭორებით, ჭორებით, ჭორებით. ქალებს რეკომენდაციას აძლევდნენ, გამოწვლილვით განეხილათ ამა თუ იმ მეუღლის ცხოვრების დეტალები თავის ხარამხანაში, ექოთ ან ეგინებინათ იგი კაცის თვისებიდან გამომდინარე — უხვი იყო თუ წუწკი და ხელმომჭირნე თავის ცოლებთან ურთიერთობაში.**

**სპარსი ქალი აბანოდან გამოდიოდა არამარტო განბანილი, სუფთა სხეულით და ყვავილივით სურნელოვანი, არამედ სულიერი ტვირთისგან დაცლილი ხანგრძლივი, გულახდილი და საინტერესო საუბრების მეუღლეობით.**

ხუთი კანონმდებელი მუსიკასაც ეთაყვანებოდა და აბანოს ადარებდა მას. მუსიკას ყველა ზეიმზე დიდი როლი ენიჭებოდა: სწავლის დროსაც და, ცხადია, ქორწილშიც, მშობიარობის და მოგზაურებთან შეხვედრისას, მაგრამ განსაკუთრებულად რეკომენდებული იყო მისი მოსმენა აბანოში. **საათობით მუსიკის მოსმენა ითვლებოდა არამარტო სასიამოვნო დროსტარებად, არამედ სიკეთედ, რომელიც ოქროს ასოებით უნდა დაიწეროს ცის დაფაზე, სადაც ანგელოზები მოკვდავთა კეთილ საქმეებს აფიქსირებენ.** და, ვაი იმ ქალს, თუ მუსიკოსი მიატოვებს იმიტომ, რომ არასაკმარისად შეაფასებდა (მატერიალურად) მის ხელოვნებას.

**მეცხრე თავი მთლიანად მუსიკას ეძღვნება.** მიჩნეული იყო, რომ ყველა საქმე, რომელთაც ქალები მუსიკის თანხლებით აკეთებენ, საღმრთო საქმეა და ბედნიერების მომტანია. და ყველა ახალგაზრდა ქალს ურჩევდნენ, ესწავლათ დაკვრა... თუნდაც ნებისმიერი საგნის გამოყენებით, რომელიც ხელთ ჰქონდათ.

**მეათე თავმა, რომელშიც ლაპარაკია ცოლის ქმრისადმი დამოკიდებულებაზე, სპარსი მამაკაცების განსაკუთრებული გაავება გამოიწვია, რადგან იქ მოთხრობილი იყო, თუ როგორ უნდა დააკნინო მამაკაცის უფლება ქალზე.** ქალებს ურჩევდნენ, არავისთვის გაეზიარებინათ მეუღლის მათდამი სიყვარულისა და კეთილგანწყობის ამბავი. ეს გრძნობები ცოლის სრული საკუთრებაა და უზრუნველყოფს მის სრულ თავისუფლებას და ქმრის ნათესავებისგან (ქალებისგან) შემოტევის საწინააღმდეგო იარაღია. ეს უკანასკნელნი ცოლის მტრები და ჯაშუშები არიან.

**„შეუსვენებელი ბრძოლა, ომი სასიკვდილო, — მიუწოდებდა კოდექსი, — მიმდინარეობს გათხოვილ ქალსა და დედამთილს შორის. ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მიეცეს! დაე, უფრო გააფთრდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ! დაე, ფრჩხილებითა და კბილებით დაგლიჯონ ერთმანეთი! ის, რასაც ამბობს და აკეთებს ერთი, მეორემ დაუყოვნებლივ უნდა უარყოს და გააკეთოს საწინააღმდეგო“.**

რაც შეეხება ქმარს, სიყვარული და ერთგულება გარანტირებული ექნება მხოლოდ მანამდე, სანამ ყურადღებას არ მოაკლებს ცოლს და იმდენ ფულს მისცემს, რამდენიც აუცილებლად სჭირდება ტანსაცმლის შესაძენად და წვრილი ხარჯებისთვის. ქმარმა ცოლს არ უნდა აუკრძალოს აბანოში სიარული, დღესასწაულებზე დასწრება, ნათესავების მონახულება და სეირნობა. თუ იგი ავიწროებს ცოლს და უკრძალავს ზემოთ თქმულს, ქალს უფლება ეძლევა, არ დაემორჩილოს ქმარს, რადგან: **„ქალი ქმრის სარკეა. თუ მას (ქმარს) სურს, რომ მისი ბედნიერება მან (ცოლმა) აირეკლოს, იგი (ქმარი) მას (ცოლს) ისე უნდა მოეპყროს, რომ მან (ცოლმა) არ იგრძნოს სევდა და გაჭირვება, რათა მისი სული და სახე ბედნიერებისგან ბრწყინავდეს. ქმარი, რომელიც ცოლისთვის ყველაფერს აკეთებს, ყველა სიკეთით იქნება დაჯილდოებული იმქვეყნად. ბრძენის სახელს იმსახურებს ის ქმარი, რომელიც მხოლოდ ერთ ცოლს ირთავს“. „ქალი თაიგულია, თუ გსურს დათვრე მისი სურნელებითა და სილამაზით, ნუ დააჭკნობ, ნება დართე (ცოლს), სიამოვნება ერთი მეორის მიყოლებით იგემოს“.**

ზოგადი მსჯელობის შემდეგ ქალებს აძლევდნენ რეკომენდაციას, როგორ ემოქმედათ. ჯიუტი ქმარი უნდა აეძულებინათ, მიეტოვებინა ცოლი. ამის საშუალება ბევრი იყო: უნდა ეცემა მოსამსახურე, დაეშინებინა ბავშვები, დაემტვრია ავეჯი, და თუ ამას საჭირო ქმედება არ მოჰყვებოდა, მაშინ ტირანი უნდა მოეჯადოვებინა.

**მეთერთმეტე თავი ნაწილობრივ მეათესთან არის დაკავშირებული და ეძღვნება მზარეულის ხელოვნებას, უფრო ზუსტად, მისტიკურ გავლენას, რაც შეიძლება მოახდინოს ამა თუ იმ კერძმა ქალის ბედნიერებასა თუ უბედურებაზე.**

**მეთორმეტე თავში აღწერილია ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებები.**

**მეცამეტე თავში ლაპარაკია მეხრემეზე, ანუ კაცებზე, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად და დაუბრკოლებლად ეურთიერთონ ყველა ქალს, და არამეხრემებზე, რომელთაც ეს ეკრძალებათ.** ეს წესები საკმაოდ მკაცრი იყო, მაგრამ კოდექსში აკრძალვის უგულებელსაყოფი გზებიც იყო მითითებული: **„ჩემო ძვირფასებო! უწინარეს ყოვლისა, მამაკაცები უნდა განიხილოთ, როგორც არამეხრემები... ვისაც საქმე აქვს მეჩეთთან ან მედრესესთან; გეშინოდეთ მათი, როგორც შავი ჭირის. მაგრამ თუ მოლას ჰყავს ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟი, ზრდილობიანი და მხიარული, შეგიძლიათ პატივისცემით მოეპყროთ მამამისს — ოდნავ აიწიოთ პირბადე და დაანახოთ თვალები. უნდა ასევე მოერიდოთ სამხედროებსა და ერისკაცებს“.**

მაგრამ შემდეგ მითითებულია: **„ნუ დაუმალავთ სახეს ლამაზ ახალგაზრდას, რომელსაც წვერი ჯერ არ ამოსვლია. მეხრემებად მიჩნეულია: ახალგაზრდა ქმრები, სომხები, ებრაელები და, განსაკუთრებით, მუსიკოსები; მეხრემები არიან, აგრეთვე, პარიკმახერები, მექისეები, იუველირები... მათთან შეგიძლიათ დაიფაროთ ან არ დაიფაროთ სახე, ეს თქვენს სურვილზეა დამოკიდებული“.**

**მეთოთხმეტე თავში ქალიშვილებს ურჩევენ, როგორ გათხოვდნენ.** შელოცვები, რომლებიც ამ დროს უნდა წარმოთქვან, მაშოკირებელია.

**მეთხუთმეტე თავი ეძღვნება მიღებებსა და ვიზიტებს.** მისი მთავარი იდეაა უსაზღვრო სტუმართმოყვარეობა ყველას მიმართ, განსაკუთრებით, ღარიბებისადმი.

**მეთექვსმეტე, ბოლო თავი შვილის აყვანას ეძღვნება.**

**ქალთა ყურანი ერთადერთი საიდუმლო იარაღი არ ყოფილა სპარსი ქალებისთვის. მათ შეიმუშავეს მისტიკური, საიდუმლო ენა, რომლისთვისაც ტკბილეულსა და აბრეშუმის ქსოვილს იყენებდნენ.**

ამ ენის შესახებ ჩვენს წინა პუბლიკაციებში იყო ლაპარაკი.

ქმრები წვავდნენ ქალთა ყურანს, აძლიერებდნენ საჭურისების ზედამხედველობას, მაგრამ მათი „საყვარელი მეორე ნახევარი“ არ ნებდებოდა.



**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლითონის კიბე ორიგინალური სახელწოდებით „ვეფხვი და კუ“ მდებარეობს გერმანიაში. იგი 21 მეტრი სიმაღლისაა.

# მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი კიბეები

მსოფლიოში ბევრი გამორჩეული, ორიგინალური და ექსტრემალური ნაგებობა არსებობს. მათ შორის უდაოდ ეკუთვნის ადგილი ადამიანის ხელით შექმნილ რამდენიმე განსაკუთრებულ კიბეს.



ესპანეთის ერთ-ერთი კუნძულის გორაზე მდებარეობს ულამაზესი და თვალწარმტაცი 237 საფეხურისაგან შემდგარი კიბე. იგი აიგო ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში.



ეს კიბე კი აიგო 1881 წელს და მდებარეობს გერმანიაში. მას იყენებდნენ მტრისგან თავდასაცავად, რადგან უსაფრთხოდ მიეღწიათ ცენტრამდე. იგი 374 საფეხურისგანაა შემდგარი.



ეს განსაკუთრებული კიბე 95 მეტრი სიმაღლისაა. იგი ჩინეთში, ტაიანის მთის გასწვრივაა აგებული. აქ სეირნობა უყვართ დამწყებ მთასვლელებს და მათ, ვისაც სურს, გამოსცადოს საკუთარი ნერვები. ყველა ამსვლელმა დანამდვილებით უნდა იცოდეს, რომ ჯანმრთელი გული აქვს.



დიდი ჰანშინის მემორიალი იაპონიაში არის ყვავილებითა და კიბით დამშვენებული ულამაზესი პეიზაჟი ყველა მნახველისთვის.



ვორტ დე რუვერი აიგო მეჩვიდმეტე საუკუნეში. მტრისგან თავდაცვის მიზნით იგი მთლიანად წყლითაა გარშემორტყმული.



კანიონის განთქმული კიბე მდებარეობს ეკვადორში, დიაბლოს ჩანჩქერთან. თუ ოდესმე ეწვევით ამ ქვეყანას, არ გამოტოვოთ მისი ნახვის შესაძლებლობა.



ინდოეთის სოფელ აბანერში არსებობს უჩვეულო, ანტიკური ნაგებობა ჩენდ ბორი. ნაგებობა არსებობს მეცხრე საუკუნიდან და შედგება 13 რიგისა 3500 საფეხურისგან.



სანტორინის მოსახლეობამ, რათა მარტივად მიეღწიათ სანაპიროზე, 1715 წელს გორაკზე 1300 მეტრის კიბე ააგო.



ეს ულამაზესი კიბე ჰავაის კუნძულზე მდებარეობს. იგი აიგო 1942 წელს. მისი აგების მიზანი იყო ზღვის დონიდან 850 მეტრის სიმაღლიდან  საზღვაო სადგურთან დაკავშირება. იქ ამჟამად ხალხს არ უშვებენ.






www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ავსტრიის ქალაქ გრაცის ყველა წერტილიდან შეგიძლიათ დაინახოთ შლოზბერგის ანტიკური კოშკი. კოშკამდე მისაღწევად კი უნდა გაიაროთ 260 საფეხურისაგან შემდგარი, პეიზაჟთან შერწყმული კიბე.



პოტიომკინის საფეხურები ქალაქ ოდესის ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა. მისი საერთო სიგრძე 142 მეტრია, სიმაღლე კი — 27.



ორმა ინჟინერმა სისრულეში მოიყვანა გადაწყვეტილება და შვეიცარიის ორ მთის ფერდობს შორის ააგო 56-მეტრიანი ხიდი, რომელსაც საფეხურეობრივი ფორმა აქვს. თუმცა, სამწუხაროდ, იგი დღესდღეობით დანგრეულია მიწისძვრის შედეგად.



შოტლანდიაში, დემფრის ფერდობზე აშენებულია სცენის სამყარო. პავილიონამდე მისასვლელად უჩვეულო და ძალიან ლამაზი საფეხურების გავლაა საჭირო. ეს ადგილი წელიწადში მხოლოდ ერთხელ იღება მნახველთათვის.

# «ზონა 51» — ცსს-მ იდუმალი ბაზის არსებობა აღიარა

**ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა ოფიციალურად აღიარა საიდუმლო ობიექტის არსებობა, ოღონდ მისი დანიშნულებისა და დღევანდელი გამოყენების დეტალები კვლავ გასაიდუმლოებულია. ინფორმაცია იდუმალებით მოცულ სამხედრო ბაზაზე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია მწერალ-ფანტასტთა, კინემატოგრაფთა და უფოლოგთა შთაგონების წყაროს წარმოადგენს, ამას წინათ გამოჩნდა გამჟღანვებულ იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც მზვერავ-თვითმფრინავ U-2-ის შექმნას უკავშირდებოდა.**



იქვე განმარტებულია მისი კავშირი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან და კოსმიურ უცხო პლანეტელებთან.

დოკუმენტებში, რომლებიც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტმა მიიღო, ლაპარაკია 1955 წელს ნევადაში მიწის ნაკვეთის შეძენაზე საიდუმლო თვითმფრინავის გამოსაცდელად.

დამშრალი ტბის — გრუმლეიკის უდაბნო იმ პოლიგონთან უშუალო სიახლოვის გამო აირჩიეს, რომელთანაც ბირთვული ცდები ტარდებოდა.

**„თვითმფრინავი U-2 მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, — განაცხადა ბი-ბი-სისთან ინტერვიუში კრის პოკოკმა, რომელიც ცნობილი თვითმფრინავის ისტორიას სწავლობს — ისინი ასაიდუმლოებდნენ ყველაფერს, რაც კი ამ მფრინავ აპარატთან იყო დაკავშირებული“.**

საიდუმლო „ზონა 51“ მდებარეობს ნევადის უდაბნოში დამშრალი ტბის — გრუმ-ლეიკის ახლოს. თვითმფრინავი U-2 იქმნებოდა ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირის დასაზვერად. ის დღემდე გამოიყენება აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალებში. ცსს-ს საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1992 წლით და ეძღვნება U-2-ის ისტორიას, ოფიციალურად 1998 წელს გამჟღავნდა, თუმცა ნაწილობრივ.

მრავალი რამ, რაც მაშინ იყო დაფარული, დღეს გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, რადგან ამას წინათ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოების ეროვნულმა არქივმა გააკეთა ოფიციალური მოთხოვნა მათ მიღებაზე. U-2-ის გამოსაცდელი ადგილი 1955 წელს იქნა არჩეული, იმის შემდეგ, რაც ცსს-მ და სამხედრო საჰაერო ძალებმა ერთობლივად აწარმოეს ამ ადგილის აეროფოტოგადაღება.

დოკუმენტში დაფიქსირებული მონაცემებით, უდაბნოს მონაკვეთის შეძენა თვითმფრინავის გამოსაცდელად პირადად მოიწონა აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა. თვითმფრინავ-მზვერავის შექმნის ეტაპობრივი განვითარების ისტორიის გარდა, გამჟღავნებულ დოკუმენტებში ასევე ლაპარაკია ამოუცნობ მფრინავ ობიექტებსა და უცხოპლანეტელებზე, რომელთაც ასევე „ზონა 51“-ს უკავშირებენ.

დოკუმენტებში ნათქვამია, რომ 1950-იან წლებში იმ რაიონის მცხოვრებლებმა, რომელშიც გამოიცდებოდა თვითმფრინავი U-2, მაღლა აჭრილი თვითმფრინავი (იმ დროისთვის ამ სიმაღლეზე ფრენა არ შეეძლო არც ერთ კომერციულ ავიალაინერს) მიაჩნდათ არამიწიერ მფრინავ ობიექტად. ასე გაჩნდა ლეგენდები ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე. **„იმ დროს არავის სჯეროდა, რომ პილოტირებულ თვითმფრინავს შეეძლო ეფრინა 18 ათას მეტრზე მაღლა, ამიტომაც არავინ ელოდა, რომ მფრინავი აპარატი აფრინდებოდა ასე მაღლა“,** — განაცხადეს მწერლებმა გრეგორი პედლოუმ და დონალდ ველზენბაჰმა.

თავიდან მოთხოვნა იმ მონაცემების მიღებაზე, რომლებიც შესული არ იყო გაჟღერებულ დოკუმენტთა სიაში, გაიგზავნა 2005 წელს, მაგრამ პასუხი ეროვნული უსაფრთხოების არქივის მოთხოვნაზე მხოლოდ ახლა მოვიდა.

არქივის თანამშრომელი ჯეფ რიჩარდსონი მიიჩნევს, რომ აღსანიშნავია „ზონა 51“-ის გასაიდუმლოების ესოდენ ხანგრძლივი ვადა, რამეთუ მსოფლიოში ბევრმა დაივიწყა კიდეც მისი არსებობა. რიჩარდსონის აზრით, ცსს-მ მხოლოდ ახლახან მიიღო ამ საკითხისგან იდუმალების ფარდის მოხსნის გადაწყვეტილება. ინფორმაციის გაჟღერების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო მრავალმა ამერიკულმა სააგენტომ და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ U-2-ის შემუშავების პროგრამაში.

# მიქელანჯელოს თაღლითობა

**ოთხი საუკუნის წინ ფლორენციაში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. 21 წლის დამწყებმა მოქანდაკემ ეროტიკული სიყვარულის ღვთაების ქანდაკება შექმნა. შემდეგ ისე დააძველა, ძველბერძნულს მიამსგავსა, რომ შემდეგ რომში მომგებიანად გაეყიდა. მოქანდაკეს მიქელანჯელო ერქვა, ხოლო ქანდაკებას — „მძინარე კუპიდონი“.**




ეს ქანდაკება ლეგენდარული ხელოვანის უწყინარი თაღლითობაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ იდეის ავტორი თვითონ არ ყოფილა.

„მძინარე კუპიდონი“ მის სიცოცხლეშივე შედევრად ცნეს, მაგრამ იგი უკვალოდ დაიკარგა და მხოლო მე-20 საუკუნეში გამოჩნდა. დღეს ქანდაკება ნიუ იორკშია, მეხუთე ავენიუზე ერთი ოჯახის შადრევანს ამშვენებს.

მიქელანჯელო 1475 წელს ტოსკანის პატარა სოფელ კარეზეში დაიბადა. ერთხელ მან თავის ბნელ სახელოსნოში მარმარილოთი ნატურალური ზომის კუპიდონი გამოაქანდაკა. კუპიდონს ეროტიკული სიყვარულის ღვთაებაზე — ვენერაზე უფრო მეტად სცემდნენ თაყვანს.

ქანდაკება პირველად სახელგანთქმულმა ავანტიურისტმა ბალთაზარ დე მილანეზემ ნახა და აღფრთოვანებული დარჩა ახალგაზრდა მოქანდაკის ქმნილებით. მან სპეციალურად მოიწვია მედიჩი მის სანახავად. მედიჩიმ აღფრთოვანება ვერ დამალა, „მძინარე კუპიდონს“ გარს უვლიდა და ხოტბას ასხამდა.

მილანეზემ მედიჩის უთხრა, ეს ქანდაკება რომ დავაძველოთ, მას 200 დუკატად მივყიდი კარდინალსო. 200 დუკატი მაშინ კარგი ფული იყო. მედიჩის ეჭვი შეეპარა, მაგრამ მილანეზე არ მოეშვა, სანაძლეო დავდოთო. მიქელანჯელო ჩუმად ადევნებდა თვალს მათ დავას. ისინი 10 ოქროს დუკატზე დანაძლევდნენ. მილანეზემ თქვა, თუ მიქელანჯელო კუპიდონს ანტიკურ სახეს მისცემს, ბზარებს გაუკეთებს, მას კარდინალ სან ჯორჯესს მივყიდიო.

კარდინალ სან ჯორჯესს ანტიკური ნივთები ძალიან იზიდავდა. მედიჩის გაეცინა, არ დაუჯერა, მაგრამ მაინც დანაძლევდნენ. მილანეზემ მიქელანჯელოს უთხრა, — „მძინარე კუპიდონი“ მიწაში ჩამარხეო. საღამოს მიქელანჯელომ ქანდაკება გაახვია და ქალაქის ბოლოში ერთ ვენახში ჩამარხა. ერთი კვირის შემდეგ ეს ქანდაკება ვითომ შემთხვევით აღმოაჩინეს და ძველბერძნულად გაასაღეს. ამ აღმოჩენის შესახებ მილანეზემ კარდინალ სან ჯორჯესს უამბო. როდესაც კარდინალმა „მძინარე კუპიდონი“ დაინახა, აღფრთოვანდა და მილანეზეს უსიტყვოდ გადასცა 200 დუკატი. მიქელანჯელოს მილანეზემ სულ 30 დუკატი გადაუხადა. დანარჩენი კი თვითონ დაიტოვა. როდესაც კარდინალმა შენაძენის დასათვალიერებლად სტუმრები მოიწვია, ერთ-ერთმა სტუმარმა თქვა, რომ ეს ქანდაკება მიქელანჯელოს სახელოსნოში ჰქონდა ნანახი. კარდინალმა ყველაფერი გაარკვია. სენ ჯორჯემ მილანეზესა და მიქელანჯელოს მუქარის წერილები გაუგზავნა. მილანეზეს ფული დააბრუნებინეს, მიქელანჯელომ კი არ დააბრუნა.

მიქელანჯელოს ოსტატობას ყველა აქებდა, იმ პერიოდში მან უამრავი შეკვეთა მიიღო. რაც შეეხება ანტიკურ კუპიდონს, იგი ჯერ ჰერცოგ ვალენტინეს, შემდეგ ჩეზარე ბორჯიას ხელში მოხვდა. მან კი მანტუას მარკიზას აჩუქა. მარკიზამ ეს ქანდაკება მანტუაში წაიღო და მას შემდეგ იგი უკვალოდ გაქრა.

## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქორწილი აირწინაღებით

**დონეცკელმა ახალდაქორწინებულებმა უჩვეულო საქორწინო ფოტოსესია მოაწყვეს. წყვილმა ნიღბები გაიკეთა და ფოტოები გადაიღო. პატარძალს — აირწინაღი, მის მეუღლეს კი შემდუღებლის ნიღაბი ეკეთა.** წყვილს მხოლოდ გართობა არ დაუსახავს მიზნად. მათ საზოგადოების ყურადღება უკრაინის ეკოლოგიურ პრობლემებს მიაპყრეს.

# ძაღლების სერფინგი

**ამერიკულ ქალაქ უესტში ჩატარდა ძაღლების სერფინგის პირველი ჩემპიონატი. ასეთი ივენთები ხშირად ტარდება წყნარი ოკეანის სანაპიროებთან, ახლა კი პირველად ამ ჩემპიონატით ძაღლები ატლანტიკურ ოკეანესაც შეხვდნენ.**

მთლიანობაში მონაწილეების რაოდენობა 100-ს არ აღემატებოდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროცესი უკვე დაწყებულია. ჩემპიონატი ჩატარდა ადგილობრივ პლაჟ Jupiter Beach-ზე. ეს ამავე დროს იყო საქველმოქმედო კონკურსი, რომელშიც შეგროვებული მთლიანი თანხა გადაეცა მეზობელი დასახლების უსახლკარო ცხოველების თავშესაფარს.

როგორც ხვდებით, ძაღლები საკუთარი ნებით ნაკლებად დათანხმდებოდნენ დაფებზე ცურვას, ამიტომ მათთან ერთად მათი მფლობელებიც ცურავდნენ.







# შინდლერის დოკუმენტები აუქციონზე გაიყიდა

**ოსკარ შინდლერის დოკუმენტები აუქციონზე 122 ათას დოლარად გაიყიდა. ამის შესახებ Associated Press-ი წერს.** დოკუმენტებს შორის იყო 1944 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული შინდლერის წერილი. წერილში მეწარმე მისი საწარმოს პოლონეთიდან ჩეხოსლოვაკიაში გადატანის ნებართვას იძლევა. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ ცვლილების წყალობით გადარჩნენ საწარმოში მომუშავე პოლონელი ებრაელები. მეორე ლოტად გაიყიდა შინდლერის ორი რვეული, რომლებშიც ახალი საწარმოს მშენებლობის მონახაზები იყო. ეს დოკუმენტები 1943 წლით თარიღდება. ორივე ლოტი იყიდა ერთმა პიროვნებამ, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.




მეორე მსოფლიო ომის დროს შინდლერმა გამოიყენა თავისი მდგომარეობა და 1000-ზე მეტი ებრაელი საკონცენტრაციო ბანაკს გადაარჩინა. ის მოელაპარაკა საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას, რათა დაპატიმრებულ ებრაელთა ნაწილი მის საწარმოში სამუშაოდ გადაეყვანათ. შინდლერმა ჩამოწერა იმ პირთა სია, რომლებიც თითქოს საკუთარ ქარხანაში სამუშაოდ სჭირდებოდა. შედეგად, სიაში მოხვედრილი ებრაელები სიკვდილს გადაურჩნენ. მეწარმის ისტორია უფრო მეტად ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც სტივენ სპილბერგმა გადაიღო ფილმი „შინდლერის სია“.

# ვიეტნამელი მაუგლები

**ცოტა ხნის წინ ვიეტნამში აღმოაჩინეს მამა და შვილი, რომლებიც 40 წლზე მეტი ხნის განმავლობაში ჯუნგლებში ცხოვრობდნენ.**

სოფელზე, საიდანაც 1971 წელს უკვალოდ დაიკარგნენ ჰო ვან ტანა და მისი შვილი ჰო ვან ლანგა, ამერიკის არმიამ განახორციელა თავდასხმა, რის შედეგადაც მათი თითქმის ყველა თანასოფლელი და ყველა ნათესავი ამოჟლიტეს. მომხდარი ფაქტი 40 წელზე მეტს ითვლის.

ეს ოჯახი ომის დაწყებამდე ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. სოფლის მეურნეობაში იყვნენ დასაქმებული. მაგრამ ერთ დღეს დიასახლისი მუშაობის დროს ნაღმზე აფეთქდა. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში 42 წლის ოჯახის უფროსი ჰო ვან ტან ჰანი თავის 2 წლის შვილთან ერთად ტყეში წავიდა და უკან არ დაბრუნებულან. ტყეში ხეებზე სახლი ააშენეს, საკუთარი ხელით დამზადებული იარაღებით ნადირობდნენ და მოჰყავდათ სხვადასხვა მცენარეული კულტურები.

გამოსცადა რა დიდი ემოციური შოკი, კაცი წავიდა შვილთან ერთად ჯუნგლებში, რომ ბუნებასთან მაქსიმალურად დაემყარებინა კონტაქტი. მათ 40 წელზე მეტი დაჰყვეს ჯუნგლებში და ახლა მამა-შვილი შემთხვევით აღმოაჩინეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, რომლებმაც მაშველები მოიყვანეს. მათ მიერ აშენებული ხის ქოხი, რომელიც მიწიდან 6 მეტრ სიმაღლეზეა, მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 40 კილომეტრის დაშორებით.



ერთი ვერსიის მიხედვით, ორივე მამაკაცი ხალხთან კონტაქში თავისუფლად შედის: 82 წლის ჰო ვან ტანი ფლობს ერთ-ერთ ადგილობრივ დიალექტს, ხოლო მისმა შვილმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის. მეორე ვერსიის მიხედვით კი, მამა-შვილი ვერ საუბრობს ადგილობრივ ენაზე....

საკვების რაციონში ჯუნგლებში მათი ყოფნის განმავლობაში შედიოდა ძირითადად ბოსტნეული და ბალახეული. ხანდახან ისინი ხორცითაც იკვებებოდნენ, როდესაც ნადირს წარმატებით მოინადირებდნენ. ასევე მათ თავიანთი ქოხის შორიახლოს შაქრის ლერწამიც მოჰყავდათ;

თავისი წინანდელი ცხოვრების მანძილზე ჰო ვან ტანს დარჩა მხოლოდ შარვალი და შვილის პატარაობის დროინდელი ქურთუკი, დანარჩენი საყოფაცხოვრებო ნივთები მათ თავიანთი ხელით დაამზადეს.

82 წლის ვიეტნამელი მაუგლი იმდენად სუსტადაა, რომ მაშველებმა იგი საკაცით გამოიყვანეს. ამჟამად მამა-შვილი გადის სამედიცინო შემოწმებას და ყველა იმედოვნებს, რომ ნელ-ნელა თანამედროვე ცხოვრებას შეეგუებიან და ფეხს აუწყობენ ცივილიზებულ სამყაროს.












## ყველაზე საზიანო სასმელი

**ამერიკელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ყველაზე საზიანო სასმელი რძის კოქტეილია, არაქისის ნაღებითა და შოკოლადის ნაყინით.** ასეთი სასმელის ერთ ულუფაში ზრდასრული ადამიანისთვის მთელი დღე-ღამის განმავლობაში განკუთვნილი კალორიების რაოდენობა შედის. ამასთან, კოქტეილში ცხიმების რაოდენობა სამჯერ აჭარბებს დღიურ ნორმას. ასეთი რძის კოქტეილები, როგორც წესი, ფასტფუდის პროდუქტებთან ერთად იყიდება და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეინკარნაცია



**რაც უფრო ასაკში შედის კაცობრიობა, მით უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება უკვდავების თემით. ამასთან, სამყაროში იბადება იდეები, რომელთა მიხედვითაც ჩვენ, წესით, 100 წელი უნდა შევძლოთ სიცოცხლე.**

ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის გაზრდით უამრავი მეცნიერია დაინტერესებული, ამაზე უამრავი დრო და ფული იხარჯება, მაგრამ ვნახოთ, რას გვთავაზობენ მეცნიერები.

როგორც ისინი ამბობენ, მათ მიერ შემოთავაზებული ხერხი ძალიან მარტივია და ის რეინკარნაციას უკავშირდება. ეს არის ერთი სულის გადასვლა მეორე სხეულში. მათ ჩამოაყალიბეს ჰიპოტეზა, რომ ინფორმაცია ბავშვის ტვინში ხვდება დაბადებამდე რამდენიმე წამით ადრე, ხოლო ზოგადად ნაყოფში ხვდება ორსულობის მეხუთე თვეში (ზუსტად მაშინ, როცა ფორმულირდება თავის ტვინი). ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ფეხმძიმე ქალი და მომაკვდავი ადამიანი იმყოფებიან ერთმანეთისგან 2 ათასი კილომეტრის დაშორებით.

მეცნიერები ასკვნიან, რომ წრიულ 2 000 კილომეტრ რადიუსზე (რაც მთელი ზედაპირის 1/25-ია) არჩეულ მომენტში მიახლოებით იქნება 10 ფეხმძიმე ქალი. თუ გავიგებთ, რამდენ ხანში გამოდის ინფორმაცია მომაკვდავი სხეულიდან და რამდენ ხანში აღწევს იგი ნაყოფში, მაშინ დიდი სიზუსტით შეგვეძლება ვთქვათ, როდის და სად მოხდება რეინკარნაცია.

ბევრი ადამიანის აზრით, რეინკარნაცია სისულელეა, მაგრამ ეს ასევე ბევრისთვის რეალობაა. თვით ლენინის ბიბლიოთეკაშიც კი თუ მოითხოვთ წიგნებს რეინკარნაციაზე, მოგაწვდიან 70-მდე წიგნს და კიდევ რამდენიმე ათეულ სამეცნიერო ნაშრომს. ამერიკაში შექმნილია ასოციაცია სახელწოდებით „მუდმივი დაბრუნების ცენტრი“, რომელიც დაკავებულია იმ წყვილების შერჩევით, რომლებიც წინა ცხოვრებაშიც ცოლქმარნი იყვნენ.

როგორ ხდება ინფორმაციის გადაცემა?

ადამიანი გამცემი და ადამიანი მიმღები – ეს ისევეა, როგორც ორი რადიოსადგური, ხოლო თვითონ იფორმაცია – რადიოტალღები.



ინფორმაცია მომაკვდავიდან გადაიცემა ენერგეტიკული კოსმოსური არხის კავშირის მეშვეობით (ასეთი კავშირი ყველას აქვს), რომელსაც ელექტრომაგნიტური გამოსხივება აქვს. კავშირი შედის იონოსფეროში და ამის შემდეგ უკავშირდება მიმღებს (ყველაზე შესაფერისს. ხშირ შემთხვევაში ეს არის ჩვილი ან შეიძლება ეს ზრდასრული ადამიანიც კი).

ეს ცარიელი სიტყვები იქნებოდა, რომ არა მისი დამადასტურებელი თეორია. დიდი ხნის მანძილზე ვერავინ ხსნის იონოსფეროს ასეთ დიდ ელექტროგამტარობას, მაშინაც კი, როცა ღამეა და იქ არ ხვდება მზის სხივები. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთ ელექტროგამტარობას იწვევს ის ინფორმაციები, რომლებიც იონოსფეროში ხვდება ადამიანის რეინკარნაციის დროს.



# ყველაზე პატარა მანქანა დაბრუნდა

**გულწრფელად რომ ვთქვათ, რთული წარმოსადგენია, რომ ავტომობილების ბაზარზე შეიძლება გამოვიტანოთ Smart ForTwo an IQ Scion-ზე კიდევ უფრო მცირე ზომის ტრანსპორტი, მაგრამ ბრიტანელი ბიზნესმენები ასე არ ფიქრობენ. მათ შეძლეს ბრენდის აღდგენა-განახლება Peel-ის სახელწოდებით და მისი თაოსნობით გამოუშვეს ორი მოდელი — P50 და Trident (სამკაპი).**

ორივე მოდელი აღჭურვილია 49 კუბური სანტიმეტრის ორტაქტიანი ბენზინის ძრავით, 3,35 ცხენის ძალის სიმძლავრით.

მყიდველებისთვის, აგრეთვე ხელმისაწვდომია ორი ელექტროძრავის არჩევანი: მინიატურულ მოდელებს — P50 და Trident შეუძლიათ განავითარონ სიჩქარე 50-მდე მილი საათში. (მილი-სიგრძის ერთეული).

Trident იწონის მხოლოდ 130 ფუნტს, ანუ (59კგ), ხოლო P50-ის წონა აღწევს 198 ფუნტს, ანუ (89,6 კილოგრამი).

ავტომანქანის ფასი მერყეობს 10772 დოლარიდან 12000 აშშ დოლარამდე.











# ცნობილი ადამიანების ფოტოებს დემენციის დიაგნოსტირებისთვის გამოიყენებენ

**მეცნიერებმა მიაგნეს დემენციის გამოვლენის მარტივ ხერხს. დაავადების გამოსავლენად საკმარისია, ადამიანს აჩვენო ცნობილი მსახიობის ან მომღერლის ფოტო. თუკი ადამიანი ფოტოზე ვერ ამოიცნობს ელვის პრესლის ან პრინცესა დიანას, დროა, მან ექიმს მიმართოს.**

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ექსპერტებმა ეს მეთოდი 30 მოხალისეზე გამოსცადეს. აღმოჩნდა, რომ ადამიანებმა, რომელთაც პროგრესირებადი აფაზიის (დემენციის იშვიათი ფორმა) საწყისი ფორმა ჰქონდათ, ვერ ამოიცნეს ცნობილი ადამიანები შავ-თეთრ ფოტოებზე.



ტესტირების შედეგები ტვინის ტომოგრაფიამ დაადასტურა. დემენციით დაავადებულ მოხალისეებს აღმოაჩნდათ ნეირონების ნაკლებობა ტვინის იმ ნაწილში, რომელიც გამოსახულების ამოცნობას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა დემენციის ყველა ფორმაზე არ ვრცელდება.

დემენცია ტვინის ორგანული დაზიანების შედეგად განვითარებული პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც ინტელექტის, აზროვნების, მეხსიერების, აღქმის უნარის, მეტყველებისა და სხვა შემეცნებითი ფუნქციების დარღვევით გამოიხატება. დემენცია უპირატესად ასაკოვან ადამიანებშია გავრცელებული.

# პოლიტოლოგთა კლუბის «არასაოცნებო» კვლევა



ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი

**პოლიტიკური განწყობის კვლევა გრაფიკული ანგარიში**

**განა, რას უნდა დავაბრალოთ პარლამენტის მხრიდან პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამარტივების მორიგი მონდომება? ამდენი ხანია, იმპიჩმენტზე ხმა არ ამოუღიათ, ვინც საიმპიჩმენტო იყო, იმას დასავლეთის ხათრით თუ თავიანთი უნიათობით ძვრა ვერ უქნეს და ახლა გააქტიურდნენ ამ მიმართულებით. ვინც ეს ისურვა, ყველას დასცინა პოლიტიკურმა ელიტამ — ეს როგორი არაკომპეტენტურები ხართო, რა საჭიროა მიშას გაიმპიჩმენტება, იყოს, რას აშავებსო!**

პარლამენტში უკვე ჯერ არარჩეულ პრეზიდენტს ებრძვიან, შიშმა დაისადგურა მამაცი პარლამენტარების გულებში. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ გაიმართა, ბევრი მათგანი ხომ აღარავის გაახსენდება, მათ შორის არც ბიძინა ივანიშვილს. არადა, **„ქართული ოცნების“ კვლევით, მარგველაშვილი იმარჯვებს პირველივე ტურშიო, და დავიჯეროთ, მარგველაშვილს ებრძვიან ასე გააფთრებით პარლამენტის კულუარებში?! ესენი, მგონი, ამ წესიერ ფილოსოფოს კაცს ებრძვიან და, როგორც კი აირჩევენ, ეგრევე, გააიმპიჩმენტებენ.**

პრეზიდენტობის კანდიდატების კამპანიები ფინიშის სწორზე იწყებს გასვლას. ზოგიერთი პოლიტიკოსი რეიტინგულ ზრდას განიცდის, ზოგიერთი — რეიტინგულ კედელს აწყდება, ზოგიერთი კი — ისევ თავის წვენში იხარშება.

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა ახალი სოციოლოგიური კვლევები გაავრცელა და პოლიტიკოსთა საპრეზიდენტო რეიტინგები ასე გადანაწილდა:

**გიორგი მარგველაშვილი — 29,4%;**
**ნინო ბურჯანაძე — 27,9%;**
**დავით ბაქრაძე — 9,4%;**
**შალვა ნათელაშვილი — 2,3%;**
**გიორგი თარგამაძე — 1,8%.**

**კვლევა აგვისტოს პირველ ნახევარში შესრულდა და 3400 კაცი გამოიკითხა.**

ალსანიშნავია, რომ **იმავე პერიოდში „ქართული ოცნების“ მიერ დაკვეთილი სხვა კვლევის შედეგებით მარგველაშვილი პირველივე ტურში აგროვებდა 53% და ახერხებდა გამარჯვებას. ამ კვლევით კი აშკარაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია.**

თუ „ენდიაის“ კვლევებსაც გავითვალისწინებთ, ლეგიტიმურად ჩნდება კითხვა: **როგორ შეიძლება ერთსა და იმავე პერიოდში ჩატარებული კვლევები ასე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან?** ეს მხოლოდ ქართულმა სოციოლოგიამ იცის. „ქართული ოცნება“ ცდილობს, თავისი კანდიდატი პირველივე ტურში გააძვრინოს, თორემ რა იქნება მეორე ტურში, ღმერთმა უწყის. **მედიაში უკვე დაიწყო კომპრომატების და ძველი ამბების წამოწევა, ზოგი ბინძური და ზოგიც არაფრისმთქმელი. კომპრომატების სახის მქონე ინფორმაციებს, როგორც ჩანს, ყველა ჯგუფი ამზეურებს, თუმცა ზომიერების დაცვას მაინც ყველა ცდილობს. ვნახოთ, რა იქნება ფინიშზე, თუმცა განსაკუთრებულ ლაფის დასხმას არ ველოდები.** ერთი, რაც შეუიარაღებელი თვალით ჩანს, **ყველაზე დიდი ნადირობა ნინო ბურჯანაძეზე მიმდინარეობს, როგორც „ნაცების“, ასევე „ოცნების“ მხრიდან** (სალომე ზურაბიშვილიც კი ბურჯანაძეს აბრალებს, საპრეზიდენტო არჩევნებში რომ არ დაარეგისტრირეს).

**ბომბები არის ტელევიზიებშიო, — სხვადასხვა ასაკის ხალხი რეკავს 112-ში. იმის გარდა, რომ ყველა ეს მოქალაქე ყურის აწევის ღირსია, ამავე დროს ჩეხოვს დავესესხები და გაგახსენებთ, თუ თოფი დიდხანს კიდია კედელზე, ოდესღაც ისიც გაისვრის. ფრთხილად ვიყოთ! ბომბებთან ნუ ვთამაშობთ!**

შეუძლებელი იყო, არ გამოვხმაურებოდით ყველაზე აქტიურ „ფეისბუქ თემას“ — ქოლგებს, რომლებიც გადიდკაცებულთა თავებზე ამაყად წამოჭიმულა. შევახსენებ მათ, რომ შემთხვევით თუ რაღაც სხვა მანქანებით დეპუტატად ან სულაც, პრეზიდენტად არჩევა არ ნიშნავს მეფესთან ან მთავართან გათანაბრებას. ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და მექოლგეების შტატებით არ სცადონ დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყანაში, თორემ **საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იქნება თუ არა, ეგ შეიძლება საკამათო გახდეს, მაგრამ, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, ბევრი გადიდკაცებული და გაზულუქებული მისთვის საყვარელ დეპუტატის სკამს რომ ველარ იხილავს, ეს ორჯერ ორივითაა.**

**შალვა ალავიძე,**
პოლიტიკური მარკეტოლოგი













## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

## სიმაღლეში მომატება!



**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

**დაიჭირეთ ახლავე!**

574 47 39 04
0790 30 94 35

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894